# ალია

**50 თეთრი**

**გამოდის:**
ოთხშაბათი ალია
ხუთშაბათი ალია
პარასკევი ალია

N48/3364/ 4 მაისი 2016 წ
PRESS
ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან


## „ნაციონალებს“ „მაიდანის“ მოსაწყობად მომხრეების დამუშავება დაუწყიათ

**რას ამბობენ „ნაცმოძრაობის“ წევრები პირად საუბარში?**



7

**ნაკვეთი ბოტანიკურ ბაღთან ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა ფონდმა შეიძინა**



2

**„რესპუბლიკელებისა“ და ბესელიას დაპირისპირება გრძელდება, ბაღების რეფორმა კი ჰაერშია გამოკიდებული**

3

**რატომ დაუპირისპირდა გვარამია „ნაციონალ“ გურამ ჩალაგაშვილს - „შენიც და იმ პარტიისაც, ვინც კანდიდატად დაგაყენებს“**



8

**რას ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესია „დიდ და წმინდა კრებაზე“ გასატანი ექვსი საკითხიდან**



10

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ნინო ბურჯანაძემ ბიძინა ივანიშვილი ტყუილში გამოიჭირა

5



**საიდან „გააჩინა“ იუსტიციის მინისტრმა 700 ათასი ამომრჩეველი?**



## თსუ-ს სტუდენტები პრემიერისგან დაპირების შესრულებას ელოდებიან და მასშტაბური აქციისთვის ემზადებიან

11

## გივი კუზლაშვილი: „მილიონერი კალაძის ცოლის ძმა, თავისი მეგობრების სახელით, აფუძნებს კომპანიებს და შემოსავალს ბიუჯეტიდან იღებს“

9

**რა ტენდერები მოიგეს გიორგი არეშიძის მეგობრებმა?**





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

**რატომ უნდა ვიყოთ ფრთხილად მაღალპროცენტიან ანაბრებთან**



6

**თბილისის მერიის თანამშრომელმა თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვა**



13

**„დებატები იმაზე მიდის, პარლამენტში ვინ როგორ სკამს მოირგებს“**



12

**რუსუდან შარაძე: რამ გააბოროტა ეს ვითომ ლიბერალები, ასეთი რა უბედური ბავშვობა ჰქონდათ?**



11

## „რომ მქონდეს შესაძლებლობა, ბოტანიკური ბაღის გასხვისების აუქციონში მონაწილეობას მივიღებდი“



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი გუგული მაღრაძე პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ ბოტანიკური ბაღი კერძო მფლობელობაში გადავიდეს.

დეპუტატის თქმით, მთავარია, მისმა მფლობელმა აიღოს ვალდებულება, რომ ბოტანიკური ბაღი, როგორც კულტურული მემკვიდრეობა, ისე შეინარჩუნოს.

– მთავარია, რომ ბოტანიკური ბაღი არსებობდეს და ეს უფრო უკეთესად კერძო ინვესტორის ხელში გაკეთდება, თუ სახელმწიფოს ხელში, იმის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. არის ბევრი საქმე, რომელსაც კერძო ინიციატივა უფრო კარგად კეთდება და არის რაღაცები, რაც საჯარო მმართველობის ხელშია და არ კეთდება. რაც შეეხება აუქციონს, ამაზე დიდი ხანია იყო საუბარი. ბოტანიკურ ბაღს საკმაოდ უჭირდა თავისი თავის მოვლა. კადრებიც შეამცირეს, ორი-სამი კადრი დადიოდა მხოლოდ და ეს აუქციონის იდეა ახალი არ არის, - განაცხადა მაღრაძემ.მისი თქმით, აუქციონზე როცა გამოიტანენ რაიმეს, შეუძლია ყველამ მიიღოს მონაწილეობა, ვისაც ამის სურვილი აქვს.

– მე რომ მქონდეს შესაძლებლობა, მივიღებდი მონაწილეობას. ძალიან კარგი პროექტები და აზრები მაქვს, რა უნდა გაკეთდეს ბოტანიკურ ბაღში. ბოტანიკური ბაღის აუქციონზე გამოტანა და კერძო მფლობელობაში გადასვლა არაფერს ნიშნავს, - განაცხადა მაღრაძემ. (pia.ge)

## ლარი ისევ მყარდება!



1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2,2238 ლარი გახდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,2238 ლარი იქნება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,2309 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0071 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5756 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,5330 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0426 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

## ნაკვეთი ბოტანიკურ ბაღთან ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა ფონდმა შეიძინა






ბიძინა ივანიშვილის მიერ დაარსებული თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძემ დაადასტურა, რომ კრწანისი-შინდისის გზის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აუქციონზე ფონდმა შეიძინა.

ქარსელაძის განცხადებით, აუქციონში მონაწილეობა ფონდში შუამავალმა კომპანიამ მიიღო.

– გვინდა გავაკეთოთ განცხადება, რომელიც უკავშირდება გამოცხადებულ აუქციონს თაბორის მთაზე, 29 ჰექტარ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა თავისი შუამავალი კომპანიის მეშვეობით მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ აუქციონში, რომელიც საჯაროდ გამოცხადდა და დაფიქსირდა გამარჯვებულად. ბუნებრივია, შესაბამისი კანონით დადგენილი პროცედურების გავლით, ჩვენ გავაფორმებთ ხელშეკრულებას და ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავიწყებთ ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, მათ შორის თანხის გადახდას, - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

კრწანისი-შინდისის მშენებარე გზის მიმდებარედ 29 ჰექტარი მიწა აუქციონზე 6 326 495 ლარად გაიყიდა. აუქციონში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა სუბიექტმა მიიღო.

აუქციონის დასრულების შემდეგ თბილისის მერიასთან „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეებმა მიწის ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი კომპანიის მიერ შეძენა გააპროტესტეს.

ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, „ნებისმიერი მშენებლობა, თუკი რამ განხორციელდება რეკრეაციული, საზოგადო დანიშნულებით, განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სიღრმეში, ანუ, ეს არ იქნება აღქმული დედაქალაქის არც ერთი ხედიდან“.

– მიგვაჩნია, რომ ნამდვილად არის საჭიროება, ქალაქში ოჯახებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აღმოჩნდნენ ბრწყინვალე ბუნებაში, რომელიც იქნება მოვლილი, კეთილმოწყობილი და დაკავდნენ სხვადასხვა სპორტული მოქმედებით. აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სარბენი ბილიკები, ველობილიკები, სხვა რეკრეაციული ინფრასტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ჯანსაღ და სუფთა გარემოში კარგად გაატაროს დღე. ამ მომენტისთვის გარკვეული იდეის დონეზე გვაქვს მოსაზრება, რომ გავაკეთოთ გოლფის მოედანი, რომელიც მწირი რაოდენობით ითხოვს ნაგებობებს, თუ საერთოდ ითხოვს, - განაცხადა ირაკლი ქარსელაძემ.

როგორც ირკვევა, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში (48 თვის ვადაში) განახორციელოს არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა; ასევე, სასტუმრო კომპლექსისთვის უზრუნველყოს არანაკლებ 50 ერთეული სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა.

გარდა ამისა, ხელშეკრულების გაფორმებიდან საუქციონო პირობების შესრულებამდე პერიოდის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში განახორციელოს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

ჯერ კიდევ აუქციონის ჩატარებამდე არასამთავრობოების ნაწილი აქციებით იმუქრებოდა, ახლა კი, როცა უკვე შედეგი ცნობილია, მომდევნო დღეებში გამოსვლებს აშკარად უნდა ველოდოთ.

– პანორამა თბილისისა და ბოტანიკური ბაღის ქეისს, ისევე როგორც 30 ჰექტარზე გამოცხადებულ ტენდერს, განვიხილავთ ერთ კონტექსტში, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება ერთ ადამიანს, რომელსაც ჰქვია ბიძინა ივანიშვილი. გამომდინარე იქიდან, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული 3-ში, 30 ჰექტარ მიწასთან დაკავშირებით, ეს სამოქალაქო აქტივობა შეიძლება იყოს ძალიან მკაცრი ფორმით, - აცხადებდა აუქციონის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე „თბილისი ჰამქარის" გამგეობის წევრი ცირა ელისაშვილი.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის გასხვისებასა და აუქციონზე გატანილ 29 ჰექტართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა.

– ბიძინა ივანიშვილს პირადი კეთილდღეობის გარდა არაფერი აინტერსებს, ის თანდათანობით ხდება საშიში საზოგადოებისთვის და ქვეყნისთვის. ამიტომ, ეს, სრულიად განუკითხავი მოქმედებები უნდა შეჩერდეს. ჩვენ ვაჩვენებთ და გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ეს იყოს გასაჯაროვებული და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ივანიშვილმა ეს არ შეისყიდოს, - აცხადებდა რატიანი, თუმცა როგორც ვხედავთ, ჩანაფიქრის განხორციელება მან ვერ შეძლო.

აუქციონის შედეგთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმაც. მისი განცხადებით, ნარმანიამ ქალაქის ინტერესებს უღალატა.

– ივანიშვილი არის კაცი, რომელსაც თავისი ხუშტურები აქვს, იყურება აივნიდან და უნდა ყველაფერი შემოღობოს, მაგრამ ქალაქის მერი იმიტომ ავირჩიეთ და ხელფასს იმიტომ ვუხდით, რომ გაიგოს, რა არის ქალაქის ინტერესები, გაითავისოს და მერე კბილებით დაიცვას. ახლა რაც მოხდა, ეს არის ქალაქის ინტერესების ღალატი. ეს არის ყველას საკუთრების ერთი ადამინისთვის შემოღობვა და გადაცემა, თან „კაპიკებში“, - აღნიშნა ელისაშვილმა.

ნარმიანის ბრალეულობაზე საუბრობს საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ზაზა ვეკუა, რომელიც თბილისის მერიის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას არ გამორიცხავს, თუმცა ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ დავით ნარმანიას მხარს დაუჭერს.

– ყველაფერი, რაც ხდება დედაქალაქში, საბოლოო ჯამში, „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. ქალაქის არჩეული მერი მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა გამოირჩეოდეს დედაქალაქის მოსახლეობის მიმართ, თავისი ამომრჩევლების მიმართ, თუმცა იმაზე, რაც დღეს ხდება დედაქალაში, რეაქციაც არ აქვს. მიმაჩნია, რომ მას არ ესმის, არ იცის, არ უყვარს ეს ქალაქი. ალბათ, იმპიჩმენტზე იქნება საკრებულოში საუბარი თუმცა, როგორც ყოველთვის, ყველაფერი დასრულდება ისე როგორც უმრავლესობას უნდა, - განაცხადა ვეკუამ.

ბოტანიკური ბაღის გარშემო მიმდინარე მოვლენებს „პარტიზანი მებაღეების" წარმომადგენელი ნატა ფერაძე ეხმაურება.

მისი თქმით, შაბათს 24 არასამთავრობო ორგანიზაცია ტელეკომპანია „ჯიდიესთან“ საპროტესტო აქციას გამართავს და მოითხოვს შეჩერდეს „პანორამა თბილისის" პროექტი და „თანაინვესტირების ფონდის" მიერ ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ შესყიდულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი სასტუმროს მშენებლობა. ფერაძე ამბობს, რომ პროცესები პირდაპირ უკავშირდება ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს და საქმე სასამართლოშიც შევა. თუმცა მანამდე არასამთავრობოები მიმდინარე პროცესებს აქციებით გააპროტესტებენ.

– „ერთად" – არის ასეთი ერთობა არასამთავრობოების. შაბათს გვაქვს აქცია „ჯიდიესის“ სტუდიასთან და ვაპირებთ ამ პროექტის, პანორამასთან ერთად გაჩერებას. ტერიტორია „თანაინვესტირების ფონდმა" იყიდა. ეს ადასტურებს ეჭვს, რომ ეს არის „პანორამა თბილისის" შემადგენელი მშენებლობის გაგრძელება. ძალიან ბევრი კანონდარღვევა მოხდა, სანამ იქნება სასამართლო და ეს ყველაფერი კანონიერ ფარგლებში მოექცევა, მანამ სასამართლო იქნება, მანამდე კატეგორიულად და პრინციპულად მოვითხოვთ ამ ყველაფრის გაჩერებას. დიდი იმედი გვაქვს, რომ გვეყოფა რესურსი ფიზიკური ძალით შევაჩეროთ სამუშაოები და იქ ცოცხალ ჯაჭვად დავდგეთ, რათა არ მივუშვათ კომპანიის წარმომადგენლები სამუშაოდ. იმიტომ, რომ წლების მანძილზე შექმნილი კლდის ასე დაუფიქრებლად ჭრა და ქალაქის კონტურის ასე შეცვლა არის დაუშვებელი, - აცხადებს ნატა ფერაძე.

– არაადეკვატური, აუხსნელი და უტიფარი საქციელი - ასე აფასებს თანაინვესტირების ფონდის მიერ, კრწანისი-შინდისის გზის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის შეძენას საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიას" ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკა რურუა:

– ძალიან ძნელია, პასუხი გასცე შეკითხვას – რატომ უნდა მოგინდეს ააშენო ასწლოვან ბოტანიკურ ბაღში სასტუმრო და რატომ უნდა იყიდო ის, რაც ეკუთვნის მთელს ქალაქს და ხალხს. ჩემის აზრით, ეს ძალიან უტიფარი საქციელია, რბილად რომ ვთქვათ და მერიის ის პირობები, რომლითაც მან მიიღო მშენებლობის უფლება და ა.შ. ეს კიდევ გასაოცარი თავხედობაა. არაადეკვატურობასთან გვაქვს საქმე და ეს გაბუტვაც საზოგადოებასთან და პასუხის არგაცემა იმაზე, რატომ ართმევს ბოტანიკური ბაღის თუნდაც ნაწილს ქალაქს ეს ადამიანი არაადეკვატური და აუხსნელია. რატომ უნდა მოგინდეს, რაღაცას დრაკონივით დაეპატრონო და შეაზიზღო საბოლოოდ ყველას თავი, როცა ისედაც კარგად არ მიგდის საქმე, ეს არ მესმის. ჩემი აზრით, აქ მაამებლობის რაღაც ჩაკეტილ წრესთან გვაქვს საქმე, სადაც იმას არ ეუბნებიან რაც არ სიამოვნებს და ამდენად, ის მოწყვეტილია რეალობას, - განაცხადა ნიკა რურუამ. (presa.ge; interpressnews.ge; bpn.ge; news.ge; pirveliradio.ge;)

## „ვინმე სააკაშვილის რეჟიმის ქებას რომ დაიწყებს, ეს აჩვენეთ!

გამამართლებელი განაჩენები საქართველოში

| წლები | გამართლებულთა რაოდენობა %-ში |
|---|---|
| 1937-1940 | 10 |
| 1941-1945 | 10 |
| 1946-1950 | 9 |
| 1967-1970 | 1,0 |
| 2003 | 0,7 |
| 2005 | 0,8 |
| 2006 | 0,2 |
| 2007 | 0,05 |
| 2008 | 0,01 |
| 2009 | 0,01 |
| 2010 | 0,2 |
| 2011 | 2,5 |
| 2012 | 7,8 |
| 2013 | 2,0 |

„ფეისბუკის“ გვერდი „Politicano“ წინა ხელისუფლების დროს სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენების გამოტანის სტატისტიკას აქვეყნებს:

„ვინმე სააკაშვილის რეჟიმის ქებას რომ დაიწყებს, აი, ეს ანახეთ მარტო, სხვა არაფრის ჩვენება არ იქნება საჭირო.

ამ გრაფიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: სტალინის დროინდელ საბჭოთა საქართველოში ბევრად უფრო თავისუფალი სასამართლო იყო (10-ჯერ და უფრო მეტად), ვიდრე სააკაშვილის დროინდელ დამოუკიდებელ საქართველოში“. (რეპორტიორი)

## ლევან ბერძენიშვილი: უკვე რამდენი წელია პარლამენტის დარბაზში 113 კაცი არ მინახავს



„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი ლევან ბერძენიშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი ცვლილებას, რომელიც კონსტიტუციაში ქორწინების, როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობის განსაზღვრას ითვალისწინებს, ვერ მიიღებს.

მისი თქმით, აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებაზე საუბარი უშინაარსოა, რადგან სამოქალაქო კოდექსში ოჯახთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერები, აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად საკმარისია.

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს პარლამენტი ამ ცვლილებას კონსტიტუციაში ვერ შეიტანს. თუ ვინმეს უნდოდა ამის აკვიატება, რომ ასე უნდა იყოს, მოიყვანონ იმდენი ხალხი, რამდენიც საჭიროა და უყარონ კენჭი, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. პარლამენტის დარბაზში უკვე რამდენი წელია 113 კაცი არ მინახავს.

ოჯახს საკმარისი დაცვა აქვს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო ცვლილებები მივიღოთ იქ, სადაც საკამათოდ არის საქმე, თორემ ამაზე არავინ არ კამათობს, - აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა. (ipress.ge)

## „დედაშენს მოვკლავ... შენ მიგაჭრი კისერს და თავს ძაღლებს გადავუგდებო“ - რა მოხდა ქობულეთში




პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა 11 წლის გოგონას დედა, რომელიც ქობულეთში მცხოვრებ 65 წლის მამაკაცს პედოფილიაში ადანაშაულებს. ქალბატონის თქმით, მამაკაცი გოგონას კანფეტებს და მაქანით გასეირნებას სთავაზობდა, ხოლო ბიჭს კისრის მოჭრით და დედის მოკვლით ემუქრებოდა თუკი ის დას გასეირნებას აუკრძალავდა.

როგორც მან დაკითხვის შემდეგ განაცხადა, მამაკაცმა გოგონას ფულიც შესთავაზა იმის სანაცვლოდ, რომ დედისთვის არაფერი ეთქვა. ბავშვების დედა ამბობს, რომ ფაქტი დაახლოებით 10 დღის წინ მოხდა.

– 30 აპრილს აჩერებს ჩემს 12 წლის ბიჭს და ეუბნება — ბიჭო, მოდი აგერ, შენს დას რატომ უკრძალავ ჩემს მანქანაში დაჯდომას და ჩემს აფთიაქში შემოსვლასო. შენი და დამიჯინე მანქანაში, არ აუკრძალო, თორემ დედაშენს მოვკლავ ან დავაჭერინებ, შენ მიგაჭრი კისერს და შენს თავს ძაღლებს გადავუგდებო, - აცხადებს ქალბატონი.

ბავშვების ოჯახი მამაკაცის ქობულეთიდან გასახლებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ლინჩის წესით გასამართლებით ემუქრებიან.

მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს წინასაგამოძიებო მოქმედებები და დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში დაიწყება გამოძიება. (ნიუპოსტი)

## 26 მაისიდან 26 ივნისამდე მოქალაქეებს პირადობის მოწმობის აღება უფასოდ შეეძლებათ



იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ამომრჩევლების მონაცემების კიდევ მეტად დაზუსტებისათვის საქართველოს მოქალაქეები პირადობის მოწმობის აღებას 26 მაისიდან 26 ივნისამდე უფასოდ შეძლებენ.

– „საარჩევნო სიის სრულყოფის პროექტი-2“, 2016 წლის 26 მაისიდან ახალ კომპონენტსაც შეიძენს. კერძოდ, 26 მაისიდან 26 ივნისამდე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, პირადობის მოწმობის აღება იქნება უფასო, რაც პოტენციური ამომრჩევლების მონაცემების კიდევ მეტად დაზუსტებას შეუწყობს ხელს, - განაცხადა თეა წულუკიანმა. (pia.ge)

# „რესპუბლიკელებისა“ და ბესელიას დაპირისპირება გრძელდება, ბაღების რეფორმა კი ჰაერშია გამოკიდებული





ფრაქცია „რესპუბლიკელებსა" და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას შორის კონფლიქტი მწვავდება, სასწორზე კი ბაღების რეფორმა დევს.

იმ შემთხვევაში თუ, „რესპუბლიკელები“ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტთა პაკეტს მხარს არ დაუჭერენ, „ქართულ ოცნებას" ცვლილებების გატანისთვის 76 ხმის მობილიზაცია დასჭირდება, რაც პარლამენტში შექმნილი ახალი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, რთული იქნება.

ვლებულობთ, - აცხადებს დეპუტატი.

ებანოიძე განმარტავს, რომ მე-20 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციებით, „ვალდორფის ბაღსა" და „ტყის შვილებს" კანონიერად მუშაობის უფლება აღარ ექნებათ, რადგან მათი სწავლების მეთოდიკა ასაკობრივ განსხვავებას ითხოვს.

– 20 წელზე მეტია, ეს ბაღები არსებობს და იქ ბავშვების მოხვედრის დიდი კონკურსია. რა პოლიტიკური მიზანი უნდა გვქონდეს, თავი ერთი საბავშვო ბაღის კოლექტივს რომ მოვაწონოთ? ამომრჩეველი ბავშვები ხომ არ არიან? ჩემთვის გაუგეკომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი ეხმაურება.

ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ საკითხს თემურ ნერგაძე არ ეთანხმება, რომელიც ბავშვთა ფსიქოლოგიის ექსპერტია.

– „ვალდორფის სკოლებს" ვეთანხები, სადაც ლექციები წამიკითხავს. ძალიან კარგად ვიცი, რომ „ვალდორფის ბაღს" ეკა ბესელიას მსგავსი მოღვაწე ვერ აკრძალავს, რადგან ის მსოფლიო დონის ბაღია. რაც შეეხება ნერგაძეს, საუბარი კლასიკურ ფილოლოგიაზე რომ იყოს, მეც მეწყინებოდა, რომ აზრს არ მეკითხებიან. რეალურად თემურისში ყველა ჩართული იყო. მათ შორის, ექსპერტები, არასამთავრობო სექტორი და ყველა სამინისტრო. ყველა სიტყვაზე შეჯერება ხდებოდა. ის, რომ დასკვნები არ არის, არასერიოზულია, - აცხადებს ბესელია.

დეპუტატი ყურადღებას მე-20 მუხლზე ამახვილებს და ინტერესდება, პირველი კლასელი ბავშვი მესამე კლასელთან რატომ არ არის და სკოლაში ასაკობრივი დაყოფა რატომ ხდება.

– ბავშვებს ასაკობრივი სწავლება სკოლაში სჭირდებათ და ბაღში - არა? რომელიმე ბაღში პარაფსიქოლოგია რომ დაფუძნდეს, ეს უნდა დავუშვათ?

„რესპუბლიკელები“ ბაღების რეფორმას მიესალმებიან, თუმცა, კანონპროექტის მე-20 მუხლის პათოსს არ იზიარებენ, რომელიც ბაღებში ბავშვთა ჯგუფების ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ფორმირებას ითვალისწინებს. „რესპუბლიკელები“ მიიჩნევენ, რომ ალტერნატიულ პედაგოკასთან დაკავშირებით მსგავსი აკრძალვა არ უნდა იყოს, რადგან მსოფლიო დონის ბაღებს პრობლემები შეექმნება. მათ შორის, „ვალდორფის ბაღს".

როგორც for.ge-ს ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრმა, ნოდარ ებანოიძემ განუცხადა, ის რეფორმის განხორციელებას მხარს უჭერს, რადგან ეს დარგი ბედის ანაბარად არის მიტოვებული, თუმცა, ჯგუფების ასაკობრივი კატეგორიით დაყოფა არ უნდა მოხდეს.

კანონმდებელი აცხადებს, რომ მას ამ თემებთან დაკავშირებით შეხვედრა იუნისეფის წარმომადგენლებთან ჰქონდა და მათ ასაკობრივ ცენზზე აკრძალვები არ აქვთ.

– ეს კანონპროექტი მნიშვნელოვანია, შესაბამისად, მისი განმარტებითი ბარათი ასეთი შიშველი არ უნდა იყოს. „ვალდორფის ბაღის" აღზრდის პედაგოგიკა ამბობს, რომ როცა ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ბავშვია, უფროსი უმცროსზე ზრუნავს. თუმცა, ამ შემთხვევაში, პედაგოგიური სტანდარტი დაცულია. რაიმე გათვლა და დასკვნა არ არსებობს, არის თუ არა სისტემის შეცვლა დამაზიანებელი, ან პირიქით?! ასეთი ბაღები არის როგორც ავსტრიაში, გერმანიაში, ასევე, საფრანგეთში, შვეიცარიასა და ამერიკაში. ანუ იქ, სადაც ეს დარგი წარმატებულია. კითხვებს ჯიუტად არავინ არ სვამს, თუმცა, პასუხებს ვერ ბარია, ეკა ბესელია ასეთ წინააღმდეგობას რატომ წევს. თუკი დასკვნები არსებობს, რომელიც ჩემს მოთხოვნას აქარწყლებს, წამაკითხოს, ყრუ და ბრმა არ ვარ, რომ არ გავითვალისწინო. ახირება არ მაქვს, მაგრამ კითხვას ვსვამ და პასუხებს ვითხოვ. თუკი საკითხზე ხმის მიცემა არ მინდა, მაშინ ფინანსური გაანგარიშების დადებას მოვითხოვ. კერძოდ, ამ რეფორმას ფინანსურად როგორ უზრუნველყოფენ?! ეს ცვლილებები ძალაში 2017 წლიდან შედის და ის უფრო სრულყოფილი უნდა იყოს, - აცხადებს ებანოიძე, რომლისგან განსხვავებული პოზიცია აქვს მის თანაფრაქციელ თემურ ნერგაძეს.

ნერგაძე ამბობს, რომ განსხვავებული ასაკის ბავშვების ერთად ყოფნა ცუდია და ეს ფსიქოლოგიური ამბავია.

მისი განმარტებით, კლასიკური ფსიქოლოგიის კორიფეები ამბობენ, რომ პატარა ასაკის ბავშვებს შორის განსხვავება დიდია.

– 3-4 წლის ბავშვებს შორის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე 25-26 წლის ადამიანებს შორის. თუკი სპეციფიკური გარემო და პროგრამა არ იქნა აღზდის კუთხით, სხვადასხვა ასაკის ბავშვების ერთად ყოფნა რეკომენდებული არ არის. ჩემი ფრაქციელები ამბობენ, რომ ვინც კანონპროექტი შემოიტანა, მას სპეციალისტების დასკვნა უნდა წარმოედგინა. ჩემი ფრაქციის წევრებს ჰკითხეთ, რა უნდათ, მაგრამ ამავე დროს, ისინი ამბობენ, რომ სასწავლო პროცესი რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება, მით უფრო კარგი იქნება. ამის თაობაზე მე ცოტა სხვა აზრის ვარ, - დასძენს ნერგაძე, რომელსაც ევროინტეგრაციის აზრი არაფერს არ შეცვლის, - აცხადებს ბერძენიშვილი.

კანონმდებელი ბესელიას მოუწოდებს, „რესპუბლიკელების“ მიერ წარდგენილი ალტერნატიული წინადადება გაითვალისწინოს, რომლის მიხედვითაც, ალტერნატიული პედაგოგიური პრინციპების სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროგრამის მქონე დაწესებულება უფლებამოსილია, მათი პედაგოგიკის საფუძვლებიდან გამომდინარე მრავალასაკიანი ჯგუფები ჩამოაყალიბოს.

– მხარეებს ვთავაზობთ, რომ ჩვენი ალტერნატივა გაიზიარონ. ბევრი ბაღი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება, მათ შორის, „ვალდროფის ბაღი". ეს მეთოდიკა მსოფლიოში აკრძალული არსად არ არის და საქართველომ რატომ უნდა აკრძალოს? - ეს პოლიტიკური საკითხი არ არის, არამედ პრინციპის ამბავია. ბესელიას მიაჩნია, რომ იმუშავა, საკითხი იცის და სხვების აზრი არ აინტერესებს, - ამბობს ბერძენიშვილი.

„რესპუბლიკელების“ პოზიციას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია არ იზიარებს და ირწმუნება, რომ არც ერთი ბაღი არ დაიხურება და ყველას ვადა ექნება, რომ ავტორიზაციამდე ინფრასტრუქტურა კანონის შესაბამისად მოაწესრიგოს.

ბესელია ფიქრობს, რომ „რესპუბლიკელების“ მხრიდან არასწორი განცხადებები გაკეთდა.

– არ ვიცი, ეს შეგნებულად კეთდება თუ იმის გამო, რომ ამ რეფორმის არსი არ იციან?! ამ კანონპროექტზე მუშაობა ორი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და მათი მხრიდან ინტერესი არ იყო. ამ ცვლილებებზე გაეროს სპეციალისტები ძალიან დიდი ხანი მუშაობდნენ და ამ პროცესბავშვებზე ვლაპარაკობთ თუ რაზე? „ვალდორფის ბაღმა" ითხოვა, რომ შერეული ჯგუფები 25-მდე გაზრდილიყო. ეს არ შეიძლება, რადგან შერეული ასაკის ბავშვები ისედაც არსებობს და მაშინ რა რეფორმას ვატარებთ? - ეს რეფორმა იმიტომ გვინდა, რომ სწავლება ბავშვის ინდივიდუალურ განვითრებას მოვარგოთ. სწავლება სხვადასხვა ასაკის ბავშვებმა ერთად როგორ უნდა გაირონ? ჩემთვის ბევრი კითხვა არის, რესპუბლიკელები აქამდე სად იყვნენ? ამ ერთი ფორმულირების გამო, ამხელა რეფორმას ხმას არ აძლევენ? რეალურად, თუ მათ შეთანხმება უნდათ იმ პრინციპების ფარგლებში, რაც მივიღეთ, მზად ვართ, ვისაუბროთ, - აცხადებს კანონმდებელი.

ბესელია საკითხზე საუბრისას აქცენტს პოლიტიკურ მხარეებზეც აკეთებს და კითხვის საპასუხოდ ამბობს, რომ შეიძლება ითქვას, პარლამენტში საკანონმდებლო პროცესი პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა.

დათმობაზე წასვლა „რესპუბლიკელებს“ მოუწევთ თუ ბესელიას, ეს კენჭისყრაზე გამოჩნდება, მაგრამ ხუთშაბათის რიგგარეშე სხდომაზე, საკანონმდებლო პაკეტი კენჭისყრაზე არ დადგა. როგორც ჩანს, შესაბამისი გადაწყვეტილება ფრაქცია „ქართულ ოცნებაში" მიიღეს, თუმცა, საკითხზე კონსესუსის მიღწევა რამდენად მოხდება, ამის პროგნოზი რთულია, რადგან თავდაპირველად, ცვლილებების თაობაზე ერთმანეთს ბესელია-ებანოიძე დაუპირისპირდნენ, პროცესში კი, უკვე „რესპუბლიკელების“ მთელი ფრაქცია ჩაერთო, ვინაიდან, ხუთშაბათის ბიუროს სხდომაზე, ბესელიასთან კონფლიქტში ძმები ბერძენიშვილები შევიდნენ. (for.ge)

## „ბავშვი ღრმა ძილს ეძლეოდა უშუალოდ დედის ვიზიტის შემდეგ...“ - იაშვილის კლინიკაში მომხდარი სკანდალური ფაქტი



სოციალური ქსელის მომხმარებელ ნესტან აბდუშელიშვილის მიერ „ფეისბუკის“ გვერდზე გამოქვეყნებულ პოსტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმე ეხება იაშვილის კლინიკაში მომხდარ სკანდლურ ფაქტს.

– ბოლო წლებში ზედმეტად გახშირდა ექიმებზე აგდებული და შეურაცხმყოფელი ლაპარაკი - როგორი უცოდინარი, უგულო, ფულზე გაყიდული ხალხია. მშობლები და ახლობლები აზიარებენ ღვთის იმედად დარჩენილი მომაკვდავი ბავშვების ფოტოებს. ისე „წააკლავენ“ ხოლმე ექიმს ნებისმიერ პრობლემას, უკან არ მოიხედავენ. თუ ავადმყოფი გამოჯანმრთელდა - „დიდება უფალს", მაგრამ თუ საქმე ცუდად წავიდა - მიდის ექიმებზე ლაფის დასხმა.

სულ ცოტა ხნის წინ იაშვილის კლინიკის კრიტიკული მედიცინის დეპატრამენტში მოთავსდა 10 წლის ბავშვი უჩვეულო ძილიანობით. ძილი გრძელდებოდა მთელი დღეღამე - ირღვეოდა სასიცოცხლო ფუნქციები და თან ახლდა მხედველობითი ჰალუცინაციები. ბავშვს ჩაუტარდა მრავალმხრივი გამოკვლევა როგორც აქ, ისე, ევროპაში, მაგრამ მიზეზი ვერ იქნა ნანახი.

პარალელურ რეჟიმში დედა და ნათესავები ახდენდნენ მედპერსონალის ტერორიზებას. იყო წივილ-კივილი, რომ უცოდინარი ექიმები დიაგნოზს ვერ ადგენენ, რომ ბავშვს უკლავენ. პერიოდულად იძახებდნენ პატრულს, მოჰყავდათ ტელევიზიები, ხანგამოშვებით მღვდლები აკურთხევდნენ განყოფილების კედლებს, მუდმივ რეჟიმში იხდიდნენ პარაკლისებს. ეს გრძელდებოდა თვეები. აგრესიული განწყობა გადაედო სხვა მშობლებსაც. მოსაცდელებში და გასასვლელებში ხვდებოდი უძილო, გადაღლილ, დათრგუნულ ექიმებს და „სამართლიანი მრისხანებით“ აღსავსე მშობლებს.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს „გია ექიმმა“ მიაგნო ერთ უცნაურ კანონზომიერებას - ბავშვი ღრმა ძილს ეძლეოდა უშუალოდ დედის ვიზიტის შემდეგ. უჩუმრად ჩატარდა ტოქსიკოლოგიური სკრინინგი და აღმოჩნდა, რომ... ამ უჩვეულო ძილს იწვევდა დედა... რომელიც შვილს „კვებავდა“ დიდი რაოდენობით დიმედროლით...

დაისვა დიაგნოზი Munchausen's syndrome by proxy

რატომ, რისთვის აძინებდა დედა შვილს, ეგ პროკურატურის საქმეა.

ექიმებისთვის ბოდიში არავის მოუხდია.

ისე და, რა თქმა უნდა, „დიდება უფალს“.

მაგრამ იქნებ მაინც... ექიმსაც არ აწყენდა მადლობა, ზოგჯერ

კაი გრძნობაა მადლიერება, - წერს ნესტან აბდუშელიშვილი. (ნიუპოსტი)

## გიორგი კვესიტაძე: სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს, 90 აკადემიკოსს კი არავინ არაფერს ეკითხება



– სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს, 90 აკადემიკოსს კი არავინ არაფერს ეკითხება, - ამის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ პარლამენტის მეცნიერების, კულტურისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილურაძის მიერ მომზადებული ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით განაცხადა.

კვესიტაძის თქმით, ივანე კილურაძის მიერ მომზადებული „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონპროექტში" ცვლილებები მეცნიერებათა ეროვნული აკადემიასთან შეთანხმებული არ ყოფილა.

– ბატონ ივანე კილურაძის კანონპროექტის ახალი ვარიანტი გამოქვეყნდა. „აკადემიის შესახებ კანონი შეცვლილია" და იგი მეცნიერებათა აკადემიისთვის მიუღებელია. უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკითხებიან უნივერსიტეტის ბედ-იღბალს. აქ კი არის 90 აკადემიკოსი და მათ არავინ არაფერს ეკითხება. როგორ შეიძლება?!, - განაცხადა კვესიტაძემ და დასძინა, რომ ცვლილებათა პროექტი აკადემიის წევრობისთვის ასაკობრივ ცენზს აწესებს.

– ვანო კილურაძის ქმედება პირად ანგარიშსწორებას უფრო ჰგავს. მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა არც ჩვენთან აქვს, არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და არც კულტურის მინისტრთან, - აღნიშნა გიორგი კვესიტაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## გიორგი პაპუაშვილი: ხელისუფლება ცდილობს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები შეამციროს

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის ინფორმაციით, ხელისუფლება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო, არ ასაჯაროვებს.

– საკანონდებლო ცვლილებების მიზანი, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შემცირებაა. პროცედურული საკითხების ისე გადაკეთება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ეფექტური არ ყოფილიყო. პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო და სამწუხაროდ, პირველი მოსმენის შემდგომი ტექსტი არც ჩემთვისაა ხელმისაწვდომი. იმედია, ჩვენს უცხოელ მეგობრებს მაინც მისცემენ ტექსტს, რომ ასე დამალულად არ მიმდინარეობდეს მუშაობა, - განაცხადა პაპუაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „ალიას" სტატიები ძალიან დაგვეხმარა და ამისთვის მადლობას გიხდით"

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგს" ვანში საავადმყოფოს აშენების ვალდებულება ჯანდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით ჰქონდა აღებული. ხელშეკრულების მიხედვით, 9-საწოლიანი სტაციონარის აშენება მიმდინარე წლის 1-ელ მაისს უნდა დამთავრებულიყო, ძლევი, რომ ვანის მოსახლეობას არ დავტოვებთ სამედიცინო ინფრასტრუქტურის გარეშე, წელსვე ამას აუცილებლად მოვაგვარებთ, მეორე, იმედი მაქვს „ჯიპიაის" მენეჯმენტს ოდნავ სალი აზრი მაინც აქვს შერჩენილი, საკუთარ თავს და საკუთარ ბიზნესს არ შეუქმნიან საფრთხეს იმითი, რომ ყველაზე ძვირფასი რაც არის, განსაკუთრებით სადაზღვევო კომპანიისთვის – საკუთარი სანდოობისა და რეპვიდრე დაიხარებოდა ამ პროექტის განხორციელებაში და რაც მთავარია, ჩვენ ცალსახად დავკარგავთ სანდო პარტნიორს არა მხოლოდ მარტო ჯანდაცვის სამინისტრო, არამედ ვფიქრობ, მთელი ქვეყანა, — აცხადებდა მინისტრი სერგეენკო.

იმ შემთხვევაში, თუ „ჯიპიაი" ნაკისრ ვალდებულებებს დროულად, დადგენილ ვადებში არ შეასრულებდა, ხელშეკრულების დარღვევის გამო მას დაეკისრემართლაც დასრულებულია და ამ ან მომდევნო კვირაში უკვე მისი გახსნაც იგეგმება:

– დიახ, საბედნიეროდ, „ჯიპიაიმ" მოახერხა და დაასრულა ვანში საავადმყოფოს მშენებლობა, ახლა უკვე მიდის იმ თარიღის დადგენა, როდის მოხდება მისი გახსნა და პაციენტების მიღება. სხვათა შორის, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, „ალიას" სტატიები ძალიან დაგვეხმარა და ამისთვის მადლობას გიხდით.




წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას ფულადი სანქციების დაკისრება ემუქრებოდა. „ჯიპიაისთვის" ამის შეხსენება, თავის დროზე, თავად ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს დასჭირდა, რადგან კომპანია მშენებლობის პროცესს ძალიან აჭიანურებდა: „მართლაც გასაოცარი იყო ასეთი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება „ჯიპიაისგან", რომლის მინიმალური ვალდებულება იყო ამ პროექტის დასრულება. შემოგვითვალეს, რომ გადაიფიქრეს ამის გაკეთება. ამიტომ, პირველი – სიტყვას ვიუტაციის შენარჩუნება, საკუთარი ხელით არ გაუთხრიან სამარეს. ჩვენ ყველა პროექტის მონტორინგს ვახორციელებთ. ეს გამოჩნდება უახლოეს დღეებში, თუ კომპანია სამცვლიან რეჟიმში დაიწყებს თავისი ვალდებულების შესრულებას. ვანის საავადმყოფოსთან მიმართებაში, თუ 1 მაისამდე არ მოხდა ისეთი ინფრასტრქუტურის ჩაბარება, რომელიც შეესაბამება სანებართვო პირობებს, ჩაერთვება ფინანსური სანქციების მზარდი კასკადით და მძიმე, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიადგება მათ, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ბოდა ფინანსური ჯარიმა 125 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო თუ ვალდებულებას შეასრულებდა, მაგრამ დათქმულ ვადას გადააცილებდა, ასეთ შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე ჯარიმა 3 ათასი ლარი იქნებოდა.

**„ალიამ" გადაამოწმა, შეასრულა თუ არა „ჯიპიაი ჰოლდინგმა" ნაკისრი ვალდებულება და დასრულდა თუ არა ვანში ახალი სტაციონარის მშენებლობა?**

როგორც ჩვენთან საუბარში ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა ნინო მამალაძემ აღნიშნა, საავადმყოფოს მშენებლობა უკვე

**„ალია" სხვა კიდევ ძალიან ბევრ საქმეს გაჰყოლია ბოლომდე და ძალიან სასიხარულოა, თუ ჩვენმა გაზეთმა თავისი წვლილი შეიტანა ვანის საავადმყოფოს აშენების საკითხში და პროცესი დააჩქარა, რადგან ადგილობრივებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმედს ვიტოვებთ, რომ ნებისმიერი კომპანია, რომელიც ხალხის წინაშე კონკრეტულ ვალდებულებებს აიღებს, თავის საქმეს პროფესიონალურად, წესიერად და რაც მთავარია — დროულად გააკეთებს, თუ არა, კიდევ ძალიან ბევრ საქმეს გავყვებით ბოლომდე!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბაია პატარაია: პრემიერ-მინისტრი საჯაროდ არ უნდა ფორთხავდეს არც ერთ ეკლესიაში





უფლებადამცველი ბაია პატარაია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს და საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს აკრიტიკებს:

– რწმენის თავისუფლება ადამიანის აბსოლუტური უფლებაა, ანუ ადამიანს რასაც უნდა. იმას დაიჯერებს და ეთაყვანება. რელიგიის თავისუფლება ნიშნავს, რომ ადამინს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი რწმენა სხვადასხვა კანონიერი ფორმით.

მაგრამ(!) მუხლებზე დაცემული პრემიერ-მინისტრს როცა ვუყურებ, არ მიმაჩნია ეს მისი რელიგიის თავისუფლების გამოხატულებად, არამედ მიმაჩნია სეკულარიზმის კრიზისად, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება მლიქვნელურად ემორჩილება საეკლესიო ხელისუფლებას (მლიქვნელურად იმიტომ, რომ ყველა ხელისუფლებას სურს იყოს ავტონომიური და არ ემორჩილებოდეს მეორეს).

რა თქმა უნდა, ადამიან გიორგი კვირიკაშვილს აქვს სრული უფლება იყოს ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი და ჩოქვით შემოიაროს ნებისმიერი სამლოცველო, მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრი საჯაროდ არ უნდა ფორთხავდეს არც ერთ ეკლესიაში, რადგან ის სახელმწიფო ხელისუფალია.

ვისაც ჯიუტად არ მოუნდება ამ სტატუსის სწორად წაკითხვა, მათთვის კდევ ერთხელ ვიტყვი — რწმენა და რელიგია ადამინის პირადი ცხოვრების ნაწილია და სრულად თავისუფალია მასში. მაგრამ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების/მთავრობის საჯარო ქცევა ნებისმიერ სამლოცველოში — პოლიტიკური აქტია და არა პირადი. თორემ გიორგი კვირიკაშვილი რომელ მოძღვართან დადის და რამდენად გულმხურვალე მორწმუნეა, ნამდვილად მისი პირადი საქმეა და არა ჩვენი მანამ, სანამ ასე არ გაასაჯაროებს, — წერს ბაია პატარაია.

ბაია პატარაიას ამ განცხადებას ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი ეხმაურება და სოციალურ ქსელში წერს:

– ყველა თავისებურად „ფორთხავს". ზოგი სად და ზოგიც – სად...

ისტორიის მანძილზე, საქართველოს ყველა თავკაცს „უფორთხია" ეკლესიაში - სამშობლოსათვის ლოცვისას, მაგრამ ასე სამარცხვინოდ, ომიანობისას, ბრძოლის ველიდან მოშორებულს შიშით ეფორთხოს - მხოლოდ სააკაშვილმა მიხეილმა მოახერხა. და მერე დამქაშნი მისნი გვიმტკიცებდნენ მთელ საქართველოს, რომ ეს ომი მოვიგეთ და მთავარსარდალი გმირიაო...

ახლაც იგივე აზრზე არიან - ამიტომაც ლოცვას, ფორთხვად ასაღებენ.

კომპლექსები - დამღუპველია... (amboben.primetimenews.ge; info9.ge)



## ლევან ბერძენიშვილი: მიდგომა, რომ თუ რაღაცას ქიბროწაშვილი იყიდის - დასაშვებია, თუ ივანიშვილი - დაუშვებელი, არასწორია



– მიდგომა, თუ რაღაცას ქიბროწაშვილი იყიდის - დასაშვებია, ხოლო თუ ივანიშვილი - დაუშვებელი, არასწორია, - ასე ეხმაურება ბოტანიკური ბაღის გარშემო მიმდინარე პროცესებს დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი.

ბერძენიშვილი დისკრიმინაციულ მიდგომაზე საუბრობს.

– მე ვხედავ ასეთ პრობლემას: - თუ ქიბრონაშვილი შეიძენს - კარგია, თუ შეიძენს ივანიშვილი - ცუდი. ეს არის მოქალაქის უფლების დისკრედიტაცია. ივანიშვილი ისეთივე მოქალაქეა, როგორც სხვა. თუ კანონი არ ილვევა - იყიდოს, თუ ირღვევა - საერთოდ არ გაყიდონ და ვინც ყიდის, იმას მიხედონ, ივანიშვილი რა შუაშია? ვიღაცას დანაშაული ჰგონია ის, რომ მდიდარმა კაცმა ზებრა იყიდა. მე ეს ასე არ მგონია და ასე ლაპარაკი ძალიან არასერიოზულია. მე სახლში მაქვს ერთი-ორი ისეთი წიგნი, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ არის და ამის გამო ნუ დამიჭერთ! - განაცხადა ბერძენიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ეს არის მცდელობა, წარუმატებლობები რაღაც თემით გადაფარონ" - ბოკუჩავა ოჯახის ცნების განსაზღვრებაზე



„ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების განცხადებით, ოჯახის ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიდან ყურადღების გადატანის მიზნით ხდება:

„აღნიშნული დისკუსია და განხილვები პარლამენტში არის უბრალოდ მცდელობა ხელისუფლების მხრიდან, რომ წინასაარჩევნოდ ცარიელ ადგილზე შექმნან თემა და ის წარუმატებლობები გადაფარონ რაც მათ მთავრობას ქონდა, ესაა უმუშევრობა, ლარის კურსის ვარდნა, ესაა ეკონომიკური კრიზისი და ის რეალური პრობლემები რაც ხალხს აწუხებს."- განაცხადა თინათინ ბოკუჩავამ.

ოჯახის ცნების განსაზღვრებასთან დაკავშირებით მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს დღევანდელ ბიუროს სხდომაზე განიხილავენ. უკვე ხუთშაბათს კი საკითხს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტზე წარადგენენ. (ნიუპოსტი)

## ქართველი არქიტექტორი, რომელსაც აშშ-ში სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, გაათავისუფლეს



ქართველი არქიტექტორი კოკა (ნიკოლოზ) გეგეჭკორი, რომელიც უკვე 21 წელია ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლელობისთვის იხდის სასჯელს, გაათავისუფლეს. ამის შესახებ სოციალურ ქსელში არქიტექტორის და ნინო გეგეჭკორი, ასევე, ამერიკაში მცხოვრები ქართველები წერენ.

ნინო გეგეჭკორი (კოკა გეგეჭკორის და): გაათავისუფლეეეეეს! მალე ჩამოვა!!!!

ნინო ფურცელაძე (ამერიკაში მცხოვრები ქართველი): მთელ საქართველოს გაეხარდება ვიცი და გატყობინებთ, რომ კოკა გეგეჭკორი გაათავისუფლეს!

კოკა გეგეჭკორი ნიუიორკის ცნობილ ციხეში, სინგსინგში 1994 წლიდან პატიმრობაში იყო იმ დანაშაულისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. ამბობენ, რომ სასჯელს სხვის გამო იხდიდა. როდესაც ახლობლებს უკითხავთ, რატომ? უპასუხა, რომ სიყვარულის გამო. ცნობილია, რომ ქართველმა არქიტექტორმა პატიმრობის პერიოდში ფრანგ ქალზე იქორწინა. როგორც ამბობენ, ფრანგმა მეუღლემ კოკას არა მხოლოდ მორალური, არამედ, მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება გაუწია.

წლების განმავლობაში გეგეჭკორის გათავისუფლებისა და საქართველოში დაბრუნების თხოვნით უამრავი ხელმოწერა შეგროვდა, თუმცა უშედეგოდ. 21-წლიანი პატიმრობის შემდეგ, 60 წლის არქიტექტორი ახლა უკვე თავისუფალია.

არქიტექტორ გეგეჭკორის ისტორიასთან დაკავშირებით რეჟისორმა დავით კანდელაკმა დოკუმენტური ფილმი „ამერიკა ერთ ოთახში“ გადაიღო. ფილმის პრემიერა 2007 წლის დეკემბერში თბილისის მერვე საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა. (ambebi.ge)

## სოციალური ქსელების მომხმარებლები ,,დისნეის“ მულტფილმში ლგბტ-პრინცესის გამოჩენას ითხოვენ

ინტერნეტის მომხმარებლები ითხოვენ, რომ „დისნეის“ მულტფილმში „ცივი გული" მთავარი გმირი ელზა პირველი ლგბტ-პრინცესა გახდეს, —წერს „ინდეფენდენტი".

„ტვიტერში“ გამოჩნდა ჰეშთეგი #GiveElsaAGirlfriend. მომხმარებელთა აზრით, ელზა კარგი ვარიანტია ამისთვის, რადგან მას მუდმივ შიშში უწევს ცხოვრება და ის იძულებულია ხალხისგან საკუთარი ჯადოსნური ნიჭი დამალოს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს „დისნეიმ“ „ცივი გულის" გაგრძელება დააანონსა. 2013 წელს მულტფილმი „ოსკარის" ლაურეატი ნომინაციებში — „საუკეთესო ანიმაციური ფილმი" და „საუკეთესო სიმღერა" გახდა. (plus.kvira.ge)

# ნინო ბურჯანაძემ ბიძინა ივანიშვილი ტყუილში გამოიჭირა

## საიდან ,,გააჩინა“ იუსტიციის მინისტრმა 700 ათასი ამომრჩეველი?



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37




უკვე კაი ხანია, ოპოზიციის, ექსპერტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი ირწმუნება, რომ „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებს გააყალბებს, რადგან არჩევნების პატიოსნად მოგების რესურსი აღარ დარჩათ, მათთვის ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთი გზა არჩევნების გაყალბებაა და ამაზე უკან არ დაიხევენო. მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებამდე 5 თვით ადრე იწყებს მის გაყალბებას და როგორც ამ დროს ხდება, გაყალბების პროცესი საარჩევნო სიებით იწყება. უკვე სახეზე გვაქვს ერთიან საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა რაოდენობით მანიპულირება და ამას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ისევე უსინდისოდ აკეთებს, როგორც თავის დროზე „ნაციონალები“, ხალხს თვალში ნაცარს აყრიან, ატყუებენ და თავიანთი უნამუსო ტყუილის ბოლომდე გატანას ცდილობენ. იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში პოტენციურ ამომრჩეველთა რიცხვი 3 მილიონ 500 ათას ადამიანს შეადგენს. ოპოზიცია აცხადებს, რომ საქართველოში 3.5 მილიონი ამომრჩეველი არაფრისდიდებით არ შეიძლება იყოს და ამ ციფრის დასახელება იუსტიციის სამინისტროს მიერ არჩევნების გაყალბებისთვის მზადებაა. „ორი არჩევნები ძველი სიით უკვე ჩატარდა, ახლა აპირებენ, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს იმ სიით, სადაც 3 მილიონ 500 ათასი ამომრჩეველია. ყველამ იცის საქართველოში, რომ 3 მილიონ 500 ათასი საქართველოში მოსახლეც კი არ არის. დღეს სრულიად ნათელია, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მოგვატყუა უკვე საარჩევნო სიასთან დაკავშირებით და სრულიად ნათელია, რომ დაახლოებით 700 ათასი ხმით მანიპულირებას აპირებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ეს კი ნამდვილად ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს“, – აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მოდით, ჯერ იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფიქსირებული სავარაუდო ამომრჩეველთა რაოდენობაზე, ამ 3.5 მილიონ ადამიანზე ვთქვათ. როდესაც „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ ებრძოდა 2011-2012 წლებში, მაშინ მისი ლიდერები აცხადებდნენ, რომ „ნაციონალთა“ ცესკო-ს მიერ დაფიქსირებული 3.6 მილიონი ამომრჩეველთა რაოდენობა ბლეფი და აბსურდი იყო, რადგან ქვეყნიდან მინიმუმ, 1.5 მილიონი ადამიანი იყო გასული. „დღეს საქართველოში 3 მილიონ 600 ადამიანიც კი არ ცხოვრობს და საიდან იქნება ამ რაოდენობის ამომრჩეველი? ეს არის უსინდისო ტყუილი. 3 მილიონიც კი არ ცხოვრობს საქართველოში რეალურად. მილიონ ნახევარი ადამიანი მაინც არის წასული ქვეყნიდან, ჩემი მონაცემებით, მეტიც... არც აქამდე აკლებდნენ, მაგრამ ფაქტია, „ნაცმოძრაობა“ ემზადება არჩევნების არნახული გაყალბებისთვის“, – აცხადებდა 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ზვიად ძიძიგური. ახლა რაღა ხდება? ისე ააწყო „ოცნებამ“ ამ ქვეყანაში საქმე, რომ ის 1.5 მილიონი ადამიანი უკან დაბრუნდა? მე აქ დაბრუნებული ვერავინ ვნახე ბოლო 3.5 წლის მანძილზე, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კლუბი, „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში, აქედან წასული კი ძალიან ბევრი ვიცი. რეალურად, ემიგრაციის მასშტაბებმა არათუ იკლო, იმატა ამ პერიოდში. როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ იმას გააკეთებს, რასაც ჯერ „მოქკავშირი“, მერე „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა არჩევნების მოსაგებად.

იუსტიციის სამინისტრომ ხომ ძალიან უსინდისოდ იცრუა, როცა საქართველოში პოტენციურ ამომრჩეველთა რაოდენობად 3.5 მილიონი ადამიანი გამოაცხადა, აი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურმა – „საქსტატმა“ უარესი ქნა, იმხელა ტყუილი გამოაცხო, თავად „ნაციონალებსაც“ კი არ უკადრიათ. „საქსტატის“ მონაცემებით“ საქართველოსი 3.700 000 პოტენციური ამომრჩეველია რეგისტრირებული, 200 000 ადამიანით მეტი, ვიდრე იუსტიციის სამინისტროს აშკარა ტყუილშია დაფიქსირებული“. „საქსტატმა“ ამ განცხადებას განმარტებაც მოაყოლა: „განსხვავება არის იმის გამო, რომ სიების შედგენისას გამოიყენება ორი სხვადასხვა მეთოდი. საარჩევნო სიების მომზადებისას, იუსტიციის სამინისტრო აკვირდება ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, ანუ ეს არის ის ადამიანი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ხოლო „საქსტატი“ თვლის მუდმივ მოსახლეობას, ანუ იმ მოსახლეობას, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე“, – განაცხადა ,,საქსტატის ალმასრულებელი დირექტორის მოადგილემ თენგიზ ცეკვავამ. „საქსტატის“ დირექტორის ნათქვამიდან გამოდის, რომ საქართველოში 200 000 მიგრანტია, რომლებიც ქვეყანაში მუდმივად არ ცხოვრობენ და საარჩევნო ხმის უფლება არ გააჩნიათ. კარგი, დავიჯეროთ, რომ დღეს ასეა, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ ამ 200 000 ადამიანს არჩევნების წინ ხელისუფლების წარმომადგენლები არ დაარეგისტრირებენ კონკრეტულ მისამართებზე და მათ ამომრჩევლებად არ აქცევენ? ზუსტად ამას აკეთებდა „ნაცმოძრაობა“, ეს ერთ-ერთი მეთოდი იყო ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდისა, „ქართული ოცნება“ კი დიდი ხანია მათ გზას მიჰყვება. ნინო ბურჯანაძის თქმით, ეს 200 000 კაცი, რომლებიც შესაძლოა, ამომრჩევლებად იქცნენ ოქტომბერში, არჩევნებზე ხმების მინიმუმ 8%-ს, მაქსიმუმ, 10%-ს წაიღებენ და ეს 8 თუ 10 პროცენტი, ცხადია, „ქართულ ოცნებას“ მიემატება. ეს კი ხმების ის რაოდენობაა, რომელმაც საბოლოოდ „ქართული ოცნებას“ შეიძლება, ვერ გაამარჯვებინოს, მაგრამ მიღებული ხმების რაოდენობას ამხელა პროცენტი თუ დაემატება, სამარცხვინო მარცხს ნამდვილად გადაურჩება. ცხადია, ეს იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ეს 200 000 ხმა მიითვისა ივანიშვილმა.

ორი სახელმწიფო უწყება ერთდროულად გვიმტკიცებს, რომ საქართველოში, მინიმუმ, 3.5 მილიონი ამომრჩეველია, ორივე ასრულებს „ქართული ოცნების“ დაკვეთას და წინასაარჩევნოდ ქმნიან ისეთ ფონს, ისეთ საარჩევნო ვითარებას, რომ ბიძინა ივანიშვილის პარტიას არჩევნების გაყალბება არ გაუჭირდეს. ეს კი ზუსტად ის გზაა, რომელსაც სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივყავართ. ეს ხელისუფლება ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა და არა მგონია, გაყალბება შეარჩინონ. „ქართული ოცნება“ ვა-ბანკზე მიდის და ხალხისა და ქვეყნის ბედი ნამდვილად ფეხებზე ჰკიდიათ მის ლიდერებს, უპირველესად, ბელადს, ბიძინა ივანიშვილს. ასე რომ არ იყოს, პირველები ისინი გააპროტესტებდნენ იუსტიციის სამინისტროსა და „საქსტატის“ გამოქვეყნებულ ამ მონაცემებს და განაცხადებდნენ, რომ ეს ციფრები ისეთივე ტყუილია, როგორც „ნაცმოძრაობის“ დროს გაცხადებული ანალოგიური სტატისტიკა, იტყოდნენ იმავეს, რასაც 2012 წლის არჩევნებამდე ზუსტად ამ ციფრებზე აცხადებდნენ. არა, ხმას არ იღებენ, რადგან დღეს აწყობთ ის, რასაც გუშინ ტყუილს, სიყალბესა და უნამუსობას ეძახდნენ. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, ვინ გამიყალბებს არჩევნებს – „ნაცმოძრაობა“ თუ „ქართული ოცნება“? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ წაართმევს ქართველ ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლებას – სააკაშვილი თუ ივანიშვილი?

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ბრაზილიელი მეცნიერები: ,,ზიკას“ ვირუსი იმაზე სახიფათოა, ვიდრე აქამდე ეგონათ

ბრაზილიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ „ზიკას" ვირუსი იმაზე სახიფათოა, ვიდრე აქამდე ეგონათ. ვირუსით ინფიცირება არა მარტო ახალშობილების მიკროცეფალიას, არამედ სხვა სახის ნევროლოგიურ დარღვევებსაც იწვევს.

ვირუსის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის ნერვულ სისტემაზე მისი მოქმედება შეიძლება წლების განმავლობას არ გამოჩნდეს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ადამიანების დიდი ნაწილი უკვე დაავადებულია ამ ვირუსით და ამის შესახებ არ იციან.

ვირუსით გამოწვეული გართულებები, ძირითადად, ქალებს ემუქრება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ვირუსი შეიძლება უფრო აქტიურად გავრცელდეს.

პოტენციური რისკის ზონაში 2 მილიარდ 200 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. (kvira.ge)

## ,,რასაც ,,რუსთავი 2,, აკეთებს, დანარჩენებიც მიჰყვებიან იმას და რატომ?“ - გუგული მაღრაძე




„ქართული ოცნების“ წევრი გუგული მაღრაძე „რუსთავი 2“-ს აკრიტიკებს. დეპუტატი მიიჩნევს, რომ მედიასაშუალება არასწორ აქცენტებს სვამს და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს სათანადოდ არ აშუქებს.

– რასაც რუსთავი 2 აკეთებს, დანარჩენებიც მიჰყვებიან იმას და რატომ? გვარამიას დამოკიდებულება ჩემდამი ვიცი, მაგრამ არ მგონია, გვარამიას ხელი წვდებოდეს ყველა ტელევიზიაზე. შეიძლება „ვანოს შოუს“ წვდება და თავის თანამშრომლებს, ამიტომ მე მიკვირს, რატომ ვერ ნახულობენ ხოლმე ჟურნალისტები ისეთი ტიპის საკითხების გაშუქებას, რაც არის მნიშვნელოვანი, მარტო ევროსაბჭოზე არ არის ლაპარაკი, ნებისმიერი შიდა და გარე საკითხი. არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, რომელსაც რატომღაც ვერ აგნებენ ჟურნალისტები. უბრალოდ გული მწყდება, რომ საქართველოს მოსახლეობას არ მიეწოდება ეს ინფორმაცია, გინდა ქვეყნის შიგნით, გინდა ქვეყნის გარეთ, სათანადოდ არ მიეწოდება, - აცხადებს გუგული მაღრაძე. (rustavi2.com)

## სააღდგომო ვახშამზე საჭმელში თმის პოვნის გამო, 36 წლის კაცმა ცოლს დანით სკალპი ააცალა



ბელორუსიაში, ბობრუისკის მაცხოვრებელმა 36 წლის მამაკაცმა, ცოლს სკალპი დანით ააჭრა მას შემდეგ, რაც სააღდგომო ვახშმისას საჭმელში თმა იპოვა.

ქალი მაშინათვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განცხადებით, სასწრაფო დახმარების დაგვიანების შემთხვევაში, ინციდენტი ტრაგიკულად დასრულდებოდა.

როგორც 45 წლის ტატიანა ყვება, გაბრაზებულმა ქმარმა სამზარეულოს დანით ჯერ თმის ბლუჯა მოაჭრა, შემდეგ კი კანზე დარჩენილი თმის დანით ათლა დაიწყო.

ტატიანას თქმით, ისინი 13 წელია ერთად ცხოვრობენ და მის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს არ აპირებს, თუმცა მასთან ცხოვრების სურვილი აღარ აქვს. (ნიუპოსტი)

## კიმ ჩენ ინმა დაკრძალვები და ქორწილები აკრძალა



ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ქვეყნის ტერიტორიაზე ქორწილები და დაკრძალვები აკრძალა. აკრძალვა 6 მაისამდე იმოქმედებს, რა დროსაც პარტიული სხდომა ტარდება. გადაწყვეტილების მიზანი სხდომისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე უსაფრთხოების განმტკიცებაა.

ამასთან, 6 მაისამდე ქვეყნიდან გასვლა და ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაც აკრძალულია.

კორეის შრომის პარტიის სხდომა 36 წლის განმავლობაში, პირველად ტარდება. ლონისძიებისთვის საგანგებოდ ემზადებიან. (info9.ge)

## იენს სტოლტენბერგი: მოსკოვი საერთაშორისო სამართალს არღვევს



– მოსკოვმა ყირიმის უკანონო ანექსია მოახდინა, მხარს უჭერს სეპარატისტებს უკრაინის აღმოსავლეთში და არღვევს საერთაშორისო სამართალს'' — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ევროპული გამოცემებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც გამოცემასთან სტოლტენბერგი აღნიშნავს, ალიანსი რუსეთის ქმედებებზე „დამაჯერებელი შემაკავებელი ფაქტორების საშუალებით" უნდა რეაგირებდეს, რაც ბალტიისპირეთში ალიანსის სამხედრო პოტენციალის გაზრდას ითვალისწინებს.

– მოსკოვმა ყირიმის უკანონო ანექსია მოახდინა, მხარს უჭერს სეპარატისტებს უკრაინის აღმოსავლეთში და არღვევს საერთაშორისო სამართალს. სწორედ ამიტომ, ჩვენ გავაფართოვებთ ჩვენს სამხედრო ყოფნას ალიანსის აღმოსავლეთ საზღვრებზე, - ამბობს სტოლტენბერგი.

მისივე თქმით, ამჟამად განიხილება გეგმა, რომლის თანახმადაც, ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანასა და პოლონეთში გაიგზავნება საერთაშორისო ბატალიონი, რომელიც როტაციული პრინციპით იმოქმედებს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ალიანსის წევრი ქვეყნებში ივლისში, ვარშავის სამიტზე მიიღებენ. (kvira.ge)

# რატომ უნდა ვიყოთ ფრთხილად მაღალპროცენტიან ანაბრებთან





საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ფინანსურ პრობლემებს განიცდის, თუმცა, ფულის დაბანდების მსურველების რიცხვი არც ისე მცირეა.

ქვეყანაში ფინანსური რესურსების შენახვის რამდენიმე გზა არსებობს.

ექსპერტების შეფასებით, მათგან ყველაზე უსაფრთხო ბანკებია, თუმცა, მოქალაქეები მაღალი სარგებლის მიღების მიზნით, ხშირად სხვა სახის საფინანსო კომპანიებს მიმართავენ, რომლებიც მომხმარებელს თანხის შენახვის სანაცვლოდ უჩვეულოდ მაღალ საპროცენტო სარგებელს სთავაზობენ.მსგავს ორგანიზაციებთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ ეროვნულმა ბანკმა გამაფრთხილებელი განცხადებაც კი გაავრცელა:

„ბოლო პერიოდში გახშირდა სხვადასხვა იურიდიული პირების მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის ან თამასუქის სახით მოზიდვის რეკლამირება. დაბანდებული თანხების დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, ეროვნული ბანკი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება. თანხის დაბანდებამდე კი აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს ასევე მაღალ რისკს".

**როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, სანამ თანხის დაბანდებას მსგავსი ტიპის ორგანიზაციაში გადაწყვეტს და რა საფრთხის შემცველია ეს ნაბიჯი. ამ შეკითხვებით ALLNEWS.GE არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელ გიორგი კეპულაძეს ესაუბრა:**

– ჩვენ, როგორც მომხმარებლები ვიღებთ გადაწყვეტილებას სად განვათავსოთ ჩვენი თავისუფალი თანხა. შესაბამისად, უნდა დავფიქრდეთ, ვის ვაბარებთ ამ ფულს და რამდენად ლოგიკურია ის, რომ კომპანია ამხელა მოგებას გვპირდება. როცა ეს მოგება ზედმეტად მაღალია, შეიძლება პატარა თაღლითური სქემის არსებობაზეც გაგვიჩნდეს ეჭვი.

გავცეთ პასუხები კითხვებზე, რამდენად სანდოა მათი შემოთავაზება, რამდენი ხანია, რაც არსებობს ეს ორგანიზაცია და როგორია მისი გამოცდილება, ვკითხოთ აზრი სხვებსაც. გადაწყვეტილება კი მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არის თანხის დაბანდების ბევრი გზა და ფასიანი ქაღალდების ბაზარი ნაკლებად განვითარებულია. თუმცა, არსებობს რამდენიმე სანდო ფინანსური ინსტიტუტი ამ კუთხით და რა თქმა უნდა, სანდოობის თვალსაზრისით პირველ ადგილზეა ბანკები.

**— მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან დაკავშირებით ფინანსური პირამიდების არსებობაზეც საუბრობენ, ამის შესახებ რას იტყვით?**

– აქ ფინანსური პირამიდების არსებობას არ გამოვრიცხავ, თუმცა, არ მგონია, რომ ეს იყოს მასშტაბური. საერთოდ კი, ძალიან საეჭვოა ის საპროცენტო განაკვეთები, რასაც ეროვნული ბანკის მიერ არარეგისტრირებული, მსგავსი ტიპის ორგანიზაციები მეანაბრეებს ჰპირდებიან.

მეანაბრეების რაღაც ნაწილი მიიღებს საგებელს, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ფული გათავდება. საქართველოში საფინანსო ბიზნესიდან იმხელა მოგების ნახვა, რომ ანაბარზე 25 და 30 პროცენტიანი სარგებელი გასცე, შეუძლებელია. არცერთ ნორმალურ ქვეყანაში ამხელა მარჟები არ არსებობს.

ჩვენ გამოვიარეთ 90-იანი წლები, როდესაც არსებობდა ე.წ ბანკები. კლასიკური ფინანსური პირამიდის სქემასთან გვქონდა საქმე. ეს მწარე გამოცდილება გაკვეთილი უნდა იყოს მოქალაქისთვის, რომელიც თავისი ფინანსების დაბანდებას გადაწყვეტს.

**— როგორია ამ კუთხით უცხოეთის გამოცდილება. იქაც თუ არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც რეგულაციების გარეშე მუშაობენ და მაღალი საპროცენტო განაკვეთით იზიდავენ მომხმარებლებს?**

– მსგავსი ორგანიზაციები უფრო გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. განვითარებულ, დასავლურ ქვეყნებში ფულის დაბანდების საშუალება მრავალნაირია. მაგალითად, ფასიან ქაღალდებში, ბირჟებსა თუ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებში.

ეს ყველაფერი რეგულირებადია და მოსახლეობისა თუ ბაზრის სხვადასხვა მონაწილის მხრიდან ნდობით სარგებლობს. სამწუხაროდ, საქართველოში ამდენი არჩევანი არ გვაქვს.

**— ანაბარზე რამდენი პროცენტის შეთავაზება შეუძლიათ ბანკებს და ასევე, ამ ტიპის ორგანიზაციებს?**

– საერთოდ, ამ ყველაფერს ბაზარი თავად განსაზღვრავს. მაგალითად, თუ ბანკი მომხმარებელს წლიურად ლარში 12-13 %-იან სარგებელს სთავაზობს, ჩვენ გვინახავს რეკლამები, როცა ამ ტიპის არარეგულირებადი ორგანიზაციების მხრიდან 20-დან 30 %-მდე სარგებელზეა საუბარი. რა თქმა უნდა, ბანკებს არ აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გასცენ მეტი სარგებელი, რადგან ისინი მკაცრად რეგულირდებიან.

იმ კომპანიებს კი, რომლები მუშაობენ თანხების მოზიდვაზე, ზოგჯერ ამას თამასუქსაც ეძახიან, ეს რეგულაციები არ აქვთ და შესაბამისად, მეტი ხელგაშლილობით გამოირჩევიან. თუმცა აქ საყურადღებოა ის, რომ მათზე ეროვნული ბანკი პასუხისმგებლობას არ იღებს.

**— მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკი არ არეგულირებს და შესაბამისად პასუხისმგებლობასაც არ იღებს ამ ორგანიზაციებზე, მათი საქმიანობა კანონგარეშედ არ ითვლება..**

– რა თქმა უნდა, ამ ორგანიზაციების არსებობა კანონით ნებადართულია. ისინი უკანონო საქმიანობას არ ეწევიან. ბიზნესისა და საბაზრო წესების საწინააღმდეგოც აქ არაფერი არ არის. უკანონო იქნება მაშინ, თუ ის ხელშეკრულების პირობებს დაარღვევს და მომხმარებელს დააზარალებს. ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისი ფული ვისაც უნდა იმას მისცეს.

**— ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ გამაფრთხილებელ განცხადებას რა რეაქცია მოჰყვა ხალხის მხრიდან?**

– ეროვნული ბანკი არის ავტორიტეტული ფინანსური ინსტიტუტი და შესაბამისად მისი განცხადება ნებისმიერ ფინანსურ თემასთან დაკავშირებით მოსახლეობისთვისაც და ბაზრისთვისაც, რა თქმა უნდა, ყურადსაღებია.

მართალია, ეროვნული ბანკის განცხადებიდან ჯერ ერთი თვეც არ გასულა. შესაბამისად, რთულია რაიმე რეალურ და ძირეულ ცვლილებებზე ვისაუბრო ამ კუთხით, თუმცა რაც შეეხება თავად მოსახლეობის განწყობას, შეცვლილია. გადაწყვეტილების მიღებისას ადამიანები უფრო ფრთხილობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მომართვიანობა ჩვენთანაც გაიზარდა. (allnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აი, არავინ გაბედოს ქართველების გალანძღვა! ეს ამბავი კი ყურადღებით წაიკითხეთ!!!




„ფეისბუკის“ მომხმარებელი გიორგი მაჭარაძე განცხადებას ავრცელებს, რომელსაც თუ გულდასმით წაიკითხავთ, ძალიან კარგს იზამთ!

– ქრისტე აღდგა! გთხოვთ გაავრცელოთ, თუ არ შეწუხდებით.

ნაპოვნია ფოტოზე მოცემული ნივთები! შავი ფერის CROPP-ის დასახელების ტყავის საფულე, რომელშიც დევს ფული - 530 ლარის ოდენობით, ჯვრისწერის გრავირებული ბაჯაღლოს რგოლები. შედარებით პატარა რგოლი მე არ მერგება კარგად, დიდი ზომის კი ძალიან დიდი მაქვს. არ ვიცი რამდენი გრამია, თუმცა საკმაოდ დიდი და მძიმეა ორივე. ასევე, საფულეში დევს მცირე ზომის ორი ფურცელი, რომლებიც დასათაურებულია შემდეგნაირად: „ცოცხალთათვის“ და „გარდაცვლილთათვის“. შესაბამისად ადამიანთა სახელებია ფურცლებზე ჩამოწერილი, რომელსაც ალბათ ლოცვის დროს იყენებს პატრონი. საფულეში ასევე დევს რამდენიმე „ვიზიტკა“. ესაა და ეს, მეტი არაფერია საფულეში.

საფულე არის საკმაოდ ახალი, ან საუკეთესოდ მოვლილი, პატრონი აშკარად არ იდებდა შარვლის უკანა ჯიბეში, რაც საფულეს ერთ თვეში აფუჭებს. საფულეს როგორც ხედავთ მამაკაცისაა. არანაირი პირადი საბუთი არაა მასში, არც პლასტიკური ბარათი.

მთავარი!

ეს ყველაფერი ვიპოვე პირადად მე, 18 აპრილს, საღამოს, ნავთლუღის ბაზარში...

მოკლედ, 18 აპრილის მერე ყოველდღე ვრეკავდი და ვკითხულობდი საინფორმაციოებსა და დაკარგულ ნივთებში, თუ გამოჩნდებოდა პატრონი, ჩემთან დაეკავშირებინათ, მაგრამ დღემდე არავის მოუკითხავს ეს ნივთები. სპეციალურად არ განვათავსე აქ, ფეისბუქში, რადგან შესაძლოა აღმოჩნდეს ბევრი არაკეთილსინდისიერი და სხვისი ნივთების მითვისება მოინდომოს!!! გთხოვთ მთელი გულით, ასეთი რამ არავინ იკადროთ, უბრალოდ დამეხმარეთ პატრონის პოვნაში.

წინასწარ დიდი მადლობა! ღმერთმა გადაგიხადოთ ათასმაგად ეს სიკეთე!

ქრისტე აღდგა! (ფეისბუკი)

## საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობამ მოიმატა და 223-ს მიაღწია



საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რაოდენობამ მოიმატა, - ამის შესახებ „საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძემ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, თუ 2002 წელს ასეთი სოფლების რაოდენობა 162 იყო, დღევანდელი მონაცემებით 223 სოფელია გაუკაცრიელებული. ასევე, იკლო ხალხმრავალი სოფლების რაოდენობამაც.

– ხალხმრავალი სოფელი, სადაც 5000-ზე მეტი პირი ცხოვრობდა, იყო 28, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ასეთი 12 სოფელია. ამ 12 სოფელში შედის წეროვანი და ლტოლვილებით ჩასახლებული სოფლებიც, რომელთა ზრდაც არა ბუნებრივი მატებით მოხდა, არამედ შიდა მიგრაციით, - განაცხადა თამარ ჩიბურდანიძემ.

თამარ ჩიბურდანიძის განცხადებით, მომატებულია იმ სოფლების რაოდენობაც, სადაც 1-დან 5 კაცამდე ცხოვრობს, ასეთი სოფლები 2002 წლის მონაცემით 74 იყო, ხოლო დღეს 157 სოფელია. (bpn.ge)

## თბილისში ავარიის შედეგად 7 ადამიანი დაშავდა, მათ შორის არიან ბავშვებიც



თბილისში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 7 ადამიანი, მათ შორის, ბავშვები დაშავდნენ. შემთხვევა ვეფხისა და მოყმის ძეგლთან მოხდა.

ერთმანეთს „სუბარუსა“ და „მაზდას“ მარკის ავტომობილები შეეჯახნენ, რის შედეგადაც ერთ-ერთი ავტომობილი ამობრუნდა.

ყველა დაშავებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. როგორც მკურნალმა ექიმმა გიორგი ვარშანიძემ განაცხადა, დაშავებულებს ტრავმატოლოგიური პირველადი დახმარება გაეწიათ, რის შედეგადაც გადაწყდება გახდება თუ არა საჭირო ქირურგიული ჩარევა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. (kvira.ge)

## „2002-დან 2013 წლამდე, საქართველოს მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა“



დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარე თამარ ჩიბურდანიძის განცხადებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით მდგომარეობა იმაზე მძიმეა, ვიდრე ეს გაეროს მოსახლეობის ფონდს ჰქონდა ნავარაუდევი.

ჩიბურდანიძე განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არსებული დინამიკა გაგრძელდება, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობას 28 პროცენტზე მეტი კლება ექნება.

– 2002 დან 2013 წლამდე, საქართველოს მოსახლეობა 15 პროცენტით შემცირდა. 2014 წლის მონაცმეებით, ეს არის 3 713 804 კაცი, რაც 657 731 ით ნაკლებია, ანუ 15 პროცენტით არის შემცირებული მოსახლეობა. გაეროს მოსახლეობის ფონდმა 2010 წელს გამოაქვეყნა მოსახლეობის კვლევები საქართველოში, რის მიხედვითაც გვიწინასწარმეტრყველა, რომ თუ მოსახლეობის კლება იმავე დინამიკით გაგრძელდებოდა, 2050 წლისთვის მოსახლეობა კიდევ 28 პროცენტით შემცირდებოდა, ჩვენ კი, უფრო მძიმე შედეგბი მივიღეთ, - განაცხადა თამარ ჩიბურდანიძემ.

მისივე ინფორმაციით, მოსახლეობის კლება ყველა რეგიონში შეინიშნება, გარდა თბილისისა.

ჩიბურდანიძის განმარტებით, საქართველოს რეგიონებს შორის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში.

– მოსახლეობა ყველა რეგიონში იკლებს, გარდა თბილისისა, ეს კი გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ თბილისს შემოუერთეს მიმდებარე სოფლები და რ-ნები: მცხეთის, გარდაბნის სოფლები, სადაც, დიდი მოსახლეობა ცხოვრობს. ყველა დანარჩენ რეგიონი კლებაა. მძიმე მდგომარეობაა რაჭა-ლეჩხუმში, ქვემნო სვანეთში, სადაც 2002-20013 წლის მონაცემებით მოსახლეობამ 37 პროცენტით იკლო. შემდგომ არის, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც მოსახლეობამ იკლო 29 პროცენტით, ყველაზე ნაკლები კლება აჭარაში შეინიშნება, ეს არის 10 პროცენტი, მაგრამ აჭარის მოსახლეობაში კლება თითქმის არასდროს შეინიშნებოდა. ბოლო წლებში მცირედით იყო კლება, მაგრამ 10 პროცენტიანი კლება აჭარისთვის სერიოზული კლებაა. ყველაზე ხალხმრავალ რეგიონებს რაც შეეხება, იმერეთის რეგიონში არის 166 ათას კაციანი კლება. საქართველოს დიდ ქალაქებს შორის ყველაზე მძიმე მდომგმარეობაა ქუთაისში, მოსახლეობამ 28 ათასით იკლო. ეს მძიმე შედეგებია, - განაცხადა ჩიბურდანიძემ. (pia.ge)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



უფლებადამცველი ალექსანდრე კობაიძე ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შესაძლო დესტაბილიზაციის მოწყობაზე საუბრობს: „ნაციონალური მოძრაობის“ მოწყობილი „მაიდანი“ არ გაიშვას არსად... მაგრამ მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ მათ ხელთ არსებული ფინანსებითა და მხარდამჭერებით სერიოზული პროვოკაციები ნამდვილად არ არის გამორიცხული და ხელისუფლებას დიდი ყურადღება მართებს“.

## „ნაციონალებს“ „მაიდანის“ მოსაწყობად მომხრეების დამუშავება დაუწყიათ

### რას ამბობენ „ნაცმოძრაობის“ წევრები პირად საუბარში?



„ალიას“ ალექსანდრე კობაიძე ესაუბრა:

– მაქვს ურთიერთობა „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე წევრთან, რომლებიც პირად საუბარში აღნიშნავენ, რომ აპირებენ გამოსვლას, არ აპირებენ, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში დარჩეს. თავის წევრებს უკვე აგუებენ იმ აზრს, რომ 2016 წელს არჩევნები გაყალბდება და ამისთვის ხალხი უნდა დაირაზმოს, უნდა მოხდეს გამოსვლა, მზადდება ნიადაგი, მოხდეს არეულობის პროვოცირება. მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერზე საჯაროდ უნდა ვისაუბრო სწორედ ახლა, რადგან ღმერთმა დაიფაროს და, „ნაციონალების“ ეს იდეა რომ განხორციელდეს, ძალიან ცუდ და უმართავ შედეგებს მიიღებს საზოგადოება. ჩვენ ვიცით, რა ძალაა „ნაციონალური მოძრაობა“, რა პროვოკაციების განხორციელება შეუძლია. მოვუწოდებ ხელისუფლებას, გულისყურით ადევნონ თვალი ნებისმიერ მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს, რაზეც „ნაცმოძრაობას“ უკვე დაწყებული აქვს მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა „ნაციონალურ მოძრაობას“ კი არა, თვითონ ხელისუფლებას დაეკისრება.

**— „ნაცმოძრაობს“ ის წევრები, რომლებმაც მოგაწოდეს ინფორმაციები, რას ამბობენ რა სახის აქციების დაწყებას აპირებენ?**

– ის არ უთქვამთ, იარაღი უნდა ჩავიდოთ ჯიბეში და ვისროლოთო, მაგრამ აქციებს აპირებენ, რომელიც შეიძლება არეულობასა და დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს. სამწუხაროდ, ერთხელ უკვე გაუვიდათ, როდესაც რევოლუცია მოახდინეს 2003 წელს. როგორც ჩანს, ახლაც აპირებენ, მსგავსი ქმედებები განახორციელონ და აუცილებელია, ეს სიბოროტე არ გაღვივდეს. მიჩვეული ვარ, როდესაც ასეთი ტიპის განცხადებებს ვაკეთებ ხოლმე, მერე გაისმის ზარი, მირეკავენ, მივყავარ „მოდულში“ და მკითხავენ. აქედან გამომდინარე, მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით ვთქვა: დასამატებელი არაფერი მაქვს და რაც ვიცი, იმაზე ვსაუბრობ.

**— ბევრჯერ დაუბარებიხართ?**

– ინტერესდებიან ხოლმე, კი... მაგათ საერთოდ ფორმალურად იციან ხოლმე, არაერთხელ მივუყვანივარ ჩემს განცხადებებზე, რაღაც გამოკითხვა გაუკეთებიათ, რაც შედეგის მომტანი არ ყოფილა და ახლაც თუ ასე აპირებენ, ნამდვილად არ ვითანამშრომლებ მათთან. თუ რეალურად აინტერესებთ, მაშინ კი ბატონო, მე მზად ვარ, ვითანამშრომლო სამართალდამცავ ორგანოებთან და მივაწოდო ის ინფორმაცია, რაზეც ახლა გესაუბრებით.

**— „ნაცმოძრაობის“ „მაიდანური“ სცენარზე დიდი ხანია საუბრობენ, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებაც რომ ამოუვიდა ხალხს ყელში, ამას რა ვუყოთ?**

– სწორედ ეგ უნდათ, რომ გამოიყენონ. „ნაციონალურ მოძრაობას“ სერიოზული ფინანსური ბერკეტი აქვს.

**— „ნაცმოძრაობა“ რაც არის, ვიცით, მაგრამ ესენი რით ჯობიან იმათ? დაპირებები დაპირებებად დარჩა და ხალხი გაღატაკდა.**

– გეთანხმები იმაში, რომ უამრავი პრობლემა აქვს დღევანდელ ხელისუფლებას და ეს ჩვენ ღიად არაერთხელ გვითქვამს, არაერთხელ გაგვიკრიტიკებია სამწუხაროდ, კვლავ ძალიან ბევრი პრობლემაა, ისევ არის ჩადებები, უამრავი სიბოროტე, მაგრამ ეს ყველაფერი იმ დოზით აღარ არის, რა დოზითაც წინა ხელისუფლების დროს იყო.

**— და ეს უნდა გვიხაროდეს?**

– ჩვენი, უფლებადამცველების, იდეა რა არის? – ყველაფერი უფრო მეტად გამოსწორდეს, უფრო განვითარებული ქვეყანა ვიყოთ. ადრე გვქონდა დიდი სიბოროტე, ახლა გვაქვს შედარებით პატარა სიბოროტე, მაგრამ სიბოროტე რომ სიბოროტეა, ამაშიც ვთანხმდებით. ყველაფერში უნდა ვიბრძოლოთ, რაშიც ამის საჭიროებაა და თვალი არ უნდა დავხუჭოთ.

**— იუსტიციის სამინისტრომ ამომრჩეველთა სიები ცესკო-ს გადაუგზავნა. თურმე, 3 მილიონ 530 ათასი ამომრჩეველი ყოფილა... ამდენი მცხოვრებიც არ არის ქვეყანაში და არ ფიქრობთ, რომ „ოცნების“ ხელისუფლება უკვე ემზადება არჩევნების გასაყალბებლად?**

– ეს პოლიტიკური სპეკულაციის საგანია ხოლმე. ვფიქრობ, სიების საკითხი ახლა უფრო აქტუალური გახდება. არჩევნები მოდის და ყველა პოლიტიკური, მით უმეტეს, ოპოზიციური ძალა ეცდება, რომ ამით მოახდინოს სპეკულაცია, ისევე, როგორც ამას ეცდება ხელისუფლებაც. ეს საკითხი უნდა დაიხვეწოს და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მორჩეს ამით მანიპულირება, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას აწყობს ამ სიების ქონა და ფაქტია, ეს პრობლემა არ გამოსწორებულა.

**— სამი მილიონი ამომრჩეველი კი არა, ადამიანი თუ ცხოვრობს ამ ქვეყანაში, ესაა საკითხავი.**

– გეთანხმებით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყანა არჩევნების არგაყალბების გზას. თუკი თავზე დაგვამხობენ და გააყალბებენ არჩევნებს, ამაზე „ნაციონალური მოძრაობა“ კი არა, მთელი ქართველი ხალხი დადგება გარეთ, შეეწირებიან ამას.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ირაკლი შოთაძე: ეროსი კიწმარიშვილის საქმის გამოძიება დასკვნით ეტაპზეა



მთავარი პროკურორის განცხადებით, ბიძინა კუჭავასა და ეროსი კიწმარიშვილის საქმეებზე გამოძიება დასკვნით ეტაპზეა. ირაკლი შოთაძე გამოძიების დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ როგორც კი დასრულდება გამოძიება და დადგენილ გარემოებებს სამართლებრივი შეფასებები მიეცემა, საზოგადოება დეტალურ ინფორმაციებს მიიღებს.

ირაკლი შოთაძის განმარტებით, პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობისა და ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობის საქმეების გაერთიანების საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს არის ორი ინდივიდუალური გამოძიება.

– ეს ორი საქმე არ გაერთიანდება, რადგან სხვადასხვა ეპიზოდებია. ერთ შემთხვევაში არის ჩვენი პროკურორის მკვლელობის საქმეზე გამოძიება, მეორე შემთხვევაში კი - ბიძინა კუჭავას დაკავების მომენტში თვითმკვლელობის ფაქტზე გამოძიება. ეს არის ორი ინდივიდუალური და დამოუკიდებელი გამოძიება და ამ ეტაპზე საფუძველი, რომ გაერთიანდეს, არ არსებობს, - აღნიშნა ირაკლი შოთაძემ. (რეპორტიორი)

## და თქვენი იმედი რომ ჰქონდა, იმ გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს რა ხეირი?!



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ბოტანიკური ბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილს ბუნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს.

მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოებას არასწორ ინფორმაციას აწვდის. მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილი ბოტანიკურ ბაღს და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს წლების განმავლობაში საკუთარი სახსრებით ინახავდა.

– ბიძინა ივანიშვილს ბუნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და ეს მისი პირადი განწყობისთვის არ კეთდება. პროცესი მიმდინარეობს, რაც ჩვენთვის არის ცნობილი, თავად ბოტანიკური ბაღისთვის უკეთესი და უფრო სასარგებლო პირობებით. მოტივაცია არის ერთადერთი, რომ სარგებელი ნახოს ყველა იმ ადამიანმა, ვისთვისაც ღირებულია ბაღი და ბუნება, - განაცხადა ეკა ბესელიამ. (რეპორტიორი)

## „რატომ დავდივარ ბებია-ბაბუების საფლავებზე — პრადვინუტების საქილიკოდ იქცა“



სააღდგომო ტრადიციების შესახებ ინგა გრიგოლია ვრცელ პოსტს აქვეყნებს და მიაჩნია, რომ ის, რაც წინაპრებმა ასწავლეს, სიცოცხლის განმავლობაში სულ გააკეთებს, შემდეგ კი ამ ყველაფერს მისი შვილი გააგრძელებს.

– რატომ დავდივარ ბებია-ბაბუების საფლავებზე და რატომ განვაგრძობ ტრადიციას, რომელიც რატომღაც „პრადვინუტების“ საქილიკოდ იქცა... იმიტომ, რომ სწორედ მათგან მაქვს ნასწავლი, ვის საფლავებზეც დღეს მე ავდივარ ხოლმე წითელი კვერცხებით, პასქით და ღვინით, მათგან ვიცოდი მთელი ცხოვრება, რომ ეს იყო წასული ადამიანების სიყვარულის და მოგონებების საუკუნოვანი ტრადიცია... ყოველთვის ვიცოდი, რომ საჭმელი, რომელიც ჯერ მათთან ერთად მიგვქონდა და ეხლა უკვე მათ საფლავებზე მიმაქვს ხოლმე, გაჭირვებული ადამიანებისთვისაა რეალურად... მიმაქვს, ვტოვებ კარგად შეფუთულს და ვიცი, რომ მას აუცილებლად წაიღებს ის, ვისაც ყველაზე მეტად შია და სჭირდება...

არ მივიღებ არასოდეს ჩემი ტრადიციების დაცინვას და არც იმას, რომ თუ მე ან რომელიმე ჩემი ოჯახის წევრი იქ ერთ ან სამ ჭიქა ღვინოს დალევს, თურმე, სიბნელეა და ღრეობა. ასე იქნება ჩემს სიკვდილამდე და მერე ჩემს შვილსაც აუცილებლად ეცოდინება, რომ ესაა სიყვარულის და მოგონების ჩვენეული ტრადიცია, რომელიც არასოდეს უნდა დაივიწყოს... მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ტრადიციები, მიყვარს და ორგანულია ჩემთვის მიცვალებულის მოსახსენებელ დღეებში ჩემების საფლავებზე დატვირთული ასვლა. ჩემი წამოსვლოდან ხუთ წუთში ვიღაც უცხოებს რომ მიაქვთ ეს საჭმელი. მიყვარს იქ კვერცხის გადაგორებაც და ერთი ჭიქა ღვინის დალევაც, რადგან ძალიან უყვარდათ ეს ყველაფერი მათ, ვინც ამ ტრადიციებით გამზარდა და მიყვარს ასე საფლავზე ჩამომჯდარი მათთან ჩემთვის ბუტბუტი... ხოდა, ძალიან მაღიზიანებენ ამ ტრადიციებზე მოქირქილე და მოლადავე ადამიანები და მომავალ აღდგომასაც ასე მოგილოცავთ - „ქრისტე აღსდგათქო", მომავალ წელსაც ავალ საჭმელებით სავსე ხელჩანთით სასაფლაოზე, ავიტან ღვინოსაც და კიდევ ერთხელ მოვეფერები იმ ადამიანებს, ვინც აღარ მყავს და ვინც ჩემი ქვენის ყველა ტრადიცია შემაყვარა, - წერს ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (ნიუპოსტი)

## „რომელი „ეტიკეტი“ დაარღვია, თუ ასე მოუნდა ლოცვა?“ - ნანუკა ჟორჟოლიანი



აღდგომის დღესასწაულზე გადაღებულ პრემიერ-მინისტრის ფოტოს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საზოგადოების ერთი ნაწილისთვის გიორგი კვირიკაშვილი კრიტიკის ობიექტი გახდა. ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანისთვის ასეთი კრიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა.

„აი, რატომ არა?! მართლა ვერ ვიგებ. რატომ არ შეუძლია აკეთოს ის, რაც უნდა. რომელი „ეტიკეტი“, „ნორმა“, „სტანდარტი“ დაარღვია, თუ ასე მოუნდა ლოცვა.

P.S. ჩემი საყვარელი ფოტოა ობამას თათბირის დროს მაგიდაზე ფეხები რომ აქვს შემოლაგებული. ამერიკელებს ალბათ, მაგრად კიდიათ ეგ ამბავი იმიტომ, რომ ამერიკა არის ჩემთვის თავის-უფალი ქვეყანა, სადაც ერთმანეთს ქცევას არ უზღუდავენ, - წერს ჟორჟოლიანი. (ნიუპოსტი)

## გედევან ფოფხაძე: ბიძინა ივანიშვილს ნებისმიერ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს

– სურვილის შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილს ნებისმიერ აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვს, - აღნიშნულის თაობაზე საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გედევან ფოფხაძემ ბიძინა ივანიშვილის მიერ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის შესაძლო შესყიდვის კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისეთივე მოქალაქეა, როგორც ქვეყნის ნებისმიერი მკვიდრი და თუკი მას რომელიმე აუქციონში მონაწილეობის მიღების სურვილი ექნება, მასაც აქვს უფლება, რაღაც იყიდოს, მით უმეტეს, რომ მას ამ ქვეყნისთვის ბევრი აქვს გაცემული.

– თუ პროცედურებში ვინმე რამე ხარვეზს ხედავს, უნდა დაასაბუთოს, - განაცხადა პარლამენტარმა. (kvira.ge)

## ორ დღეში ხმელთაშუა ზღვაში 113 ადამიანი დაიხრჩო

მიგრაციის საერთაორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, ხმელთაშია ზღვაში ორი დღის განმავლობაში 113 ადამიანი დაიღუპა. ისინი ლიბიიდან იტალიაში გადასვლას ცდილობდნენ. ამის შესახებ „როიტერი" იუწყება. მთლიანობაში 30 აპრილს და 1-ელ მაისს ხმელთაშუა ზღვაში ოთხი ნავი ჩაიძირა. ერთ შემთხვევაში იტალიის სავაჭრო გემმა 26 ადამიანის გადარჩენა შეძლო. მთლიანად კი წლის დასაწყისიდან ხმელთაშუა ზღვაში 1357 მიგრანტი და ლტოლვილი დაიღუპა. 29 593-მა ადამიანმა იტალიაში ჩასვლა შეძლო, ხოლო 154 862 მიგრანტი საბერძნეთში ჩავიდა. (kvira.ge)

## რატომ დაუპირისპირდა გვარამია „ნაციონალ“ გურამ ჩალაგაშვილს - „შენიც და იმ პარტიისაც, ვინც კანდიდატად დაგაყენებს





„მართმადიდებლების უდიდეს ნაწილს სწამთ და სჯერათ, რომ ცეცხლი სასწაულებრივად და თავისთავად ჩნდება იესო ქრისტეს საფლავზე და მათ აქვთ უფლება ასე სწამდეთ და მათი რწმენა პატივისცემას იმსახურებს. თუმცა, თვითონ ქრისტიენებს შორის არის ბევრი ისეთიც, ვინც დარწმუნებულია, რომ არანაირ ზებუნებრივ მოვლენას აქ ადგილი არა აქვს და ეს მხოლოდ ცეცხლის კურთხევის უძველესია რიტუალია, რომელსაც, ალბათ, წარმართული ფესვები უფრო მეტი აქვს, ვიდრე ქრისტიანული, ისევე, როგორც, მაგალითად კვერცხების ღებვის ტრადიციას.

შემთხვევითი არ არის, რომ თავად იერუსალიმის პატრიარქი, რომელსაც საკუთარი ხელით გამოაქვს ცეცხლი ხალხთან, პრაქტკულად, არასდროს უწოდებს ამ მოვლენას სასწაულს და არც არასდროს ახსენებს ცეცხლის გარდამოსვლას.

ის უბრალოდ ამბობს, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, სიმბოლური დატვირთვის მქონე ცერემონია, რითაც თეოფილოს მესამე, შეიძლება ითქვას, ირიბად აღიარებს, რომ დიდი შაბათის წმინდა ცეცხლის ანთებაში არ არის არაფერი სასწაულებრივი, არაფერი ზებუნებრივი და არაფერი ზეციური.

ვინ ვინ და იერუსალიმის პატრიარქმა ეს ყველაზე კარგად იცის" – ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის წამყვანის, გიორგი გაბუნიას მიერ, ტელეეთერიდან გაკეთებული ეს განცხადება „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის, გურამ ჩალაგაშვილისა და „რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელის, ნიკა გვარამიას მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდა.

საქმე იმაშია, რომ გაბუნიას ეს განცხადება გურამ ჩალაგაშვილმა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე გააზიარა მინაწერით:

„არასწორი და ტუტუცი. მერა, რომ რუსთავი 2-ა. ბოდიში, მაგრამ ამის...“

ჩალაგაშვილის ამ სტატუსს უპასუხა ნიკა გვარამიამ:

„გამოიხედე ერთი, აქეთ, ვისი ამის და რა? შენიც და იმ პარტიის კიდე, ვინც, შე ბნელო, არჩევნებზე სადმე კანდიდატად დაგაყენებს. შენნაირი ბნელების ადგილი თუა ნაციონალურ მოძრაობაში, ნამდვილად აღმოჩენა იქნება ჩემთვის. არასასიამოვნო აღმოჩენა“, – წერს გვარამია.

ტელეკომპანიის ხელმძღვანელის ამ კომენტარს ჩალაგაშვილმა მხოლოდ მოკლედ უპასუხა:

„ბრავო ნიკა".

თუმცა, კონფლიქტი ამით არ ამოწურულა:

**ნიკა გვარამია:** „მე გაჩვენებ შენ ბრავოს, შე უზრდელო და თავხედო. აგინე შენი ოჯახის წევრები“.

**გურამ ჩალაგაშვილი:** „ვერ მივხვდი, მაგრამ მაინც ბრავო“.

**ნიკა გვარამია:** „რას ვერ მიხვდი? თავს ი...ლევებ თუ მე მა...ლევებ?“

**ნიკა გვარამია:** „ს ვინც დაწერა იმის... რას ნიშნავს, ბებიაჩემი მიხვდა და რაც იგულისხმე, იმას ნიშნავს. არ გაგიტარებ მაგას, ტყუილად აგდებ ბანზე სიტყვას“.

**გურამ ჩალაგაშვილი:** „შენი ნებაა. არ ხარ მართალი, თორე სუ მკიდია“.

**ნიკა გვარამია:** „რაში არ ვარ მართალი, მოყევი აბა“.

**გურამ ჩალაგაშვილი:** „კაი ნიკა, აქ სალაპარაკო არ მგონია იყოს. სხვაგან ნებისმიერ დროს“.

**ნიკა გვარამია:** „როსტა ბნელი რომ ხარ და სასწაულებრივი ცეცხლის გჯერა, ეგ მეც მკიდია. შენი პირადი საქმეა და იმ პარტიის პრობლემა, რომელიც შენნაირ ბნელს პარლამენტში შეიყვანს. შენ ის მოყევი ამის... რას ნიშნავს. მიდი, აბა, მოყევი“.

ჩალაგაშვილის და გვარამიას დაპირისპირებაში სხვა ცნობილი სახეებიც ჩაერთდნენ. ზოგმა ისიც გაიხსენა, რომ ჩალაგაშვილი ბევრ საკითხში „ბნელია", ზოგმა კი ორივეს რჩევა მისცა, რომ მსგავსი გარჩევები პირად სივრცეში გადაიტანონ და ხალხის დასაცინს ნუ გახდიან „ნაციონალურ მოძრაობას“.

„ყველას აქვს სიტყვის და პოზიციის, გამოხატვის და რწმენის თავისუფლება. საკუთარ ფბ-გვერდზე მაინც. გურამმა შეურაცხყოფა მიაყენა და ნიკას გაცხარება ბუნებრივია, მაგრამ თუ პერსონალურად ვინმე შეურაცხგვყოფს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარტია და პოლიტიკური პარტნიორები ავამხედროთ მის წინააღმდეგ.

ნუ გადაგაქვთ ეს ამ ჭრილში, არ გვაქვს ეს ფუფუნება.. გამარჯვება გვჭირდება და ერთად დგომა. ზოგს ქრისტესი სწამს, ზოგს ალლაჰის და ზოგსაც ოდინის“, – წერს ნინუკა ბორჩხაძე. (gurianews.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის პროცესი გრძელდება

აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის პროცესი გრძელდება. საქმე ეხება სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და გადაადგილების უფლებებს.

აღნიშნულის შესახებ ნათქვამია საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშის იმ ნაწილში, სადაც ასახულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა უფლებრივი მდგომარეობა.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ რეგულარული ხასიათი აქვს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და ასე შემდეგ.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, გალის რაიონში განსაკუთრებით მწვავედ დგას მშობლიურ ენაზე განათლების უფლებისა და მისი ხელმისაწვდომობის პრობლემა.

2015-2016 სასწავლო წლიდან გალის რაიონის იმ 11 სკოლაში, სადაც სასწავლო პროცესი ჯერ ისევ სრულად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა,



1-4 კლასებში სწავლა რუსულ ენაზე გადავიდა, ხოლო დანარჩენ კლასებში შემცირდა ქართული ენისათვის დათმობილი საათები. ამ ცვლილების გამო რამდენიმე ოჯახი იძულებული გახდა, მშობლიურ ენაზე სწავლის გასაგრძელებლად ბავშვები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოეყვანა. სწავლების რუსულ ენაზე გადასვლამ მნიშვნელოვნად გააუარესა განათლების ხარისხიც. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მანანა კობახიძე: იქნებ ადამიანად ყოფნის უფლებაც წავართვათ პრემიერს?!




კავშირ „საფარის" ხელმძღვანელ ბაია პატარაიას მიერ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირკაშვილთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ „ფესიბუკის“ პოსტს ვიცესპიკერი მანანა კობახიძე ეხმაურება. კობახიძისთვის პრემიერის მისამართით გამოთქმული კრიტიკა მიუღებელი და უსაფუძვლოა.

– ტაძარში, ლოცვისას რატომ დაიჩოქაო და მთავრობის სხდომაზე ხომ არ დაიჩოქა?! ეკლესია ის ადგილი არაა, სადაც სანთელსაც ანთებ, ლოცულობ და იჩოქებ კიდეც?! იქ ყველა თანაბარია, იქ არც პრემიერი ხარ და არც პრეზიდენტი, იქ ადამიანი ხარ, ცოდვილი და ჩვეულებრივი მოკვდავი! იქნებ ადამიანად ყოფნის უფლებაც წავართვათ პრემიერს?!

ერთხელ ხომ წავართვით, როცა წინა დღით დედა დაკრძალა და მეორე დღეს პარლამენტში დავიბარეთ! მოვიდა და იდგა, როგორც სალი კლდე! საუბრობდა ჩვენს ქვეყანაზე, ხალხზე, მათ პრობლემებზე, სამთავრობო პროგრამაზე და არა პირად, ძალიან მძიმე ადამიანურ ტრაგედიაზე!

აი, ასეთია პრემიერი, მას შეუძლია ყველაზე მძიმე წუთებშიც კი პირადი გვერდზე გადადოს და ქვეყანაზე და საქმეზე იფიქროს, ჰოდა, ტაძარში მაინც ნუ დავუშლით ადამიანად ყოფნას, ეს უსამართლო კრიტიკაა და უბრალოდ, სირცხვილია! — წერს მანანა კობახიძე.

შეგახსენებთ, რომ უფლებადამცველმა ბაია პატარაიამ სტატუსი გამოაქვეყნა, სადაც პრემიერი სააღდგომო ლიტურგიაზე დაჩოქვის გამო გააკრიტიკა. პატარაიამ დაწერა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი საჯაროდ არ უნდა „ფორთხავდეს" არც ერთ ეკლესიაში, რადგან ის სახელმწიფო ხელისუფალია. (kvira.ge)

## FBI-ის ყოფილმა აგენტმა 136 ათასი დოლარის მოპარვა აღიარა




FBI-ის ყოფილმა აგენტმა სკოტ ბოუმენმა 136 ათასი დოლარის მოპარვის ფაქტი აღიარა. ის ნარკოტიკების ბრუნვაში ეჭვმიტანილებისგან ჩხრეკის დროს ამოიღეს. სკოტ ბოუმენმა ეს თანხა 2014 წელს მოიპარა, როდესაც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ოპერატიულ ჯგუფში შედიოდა.

ფულის მოპარვის შემდეგ ბოუმენმა ორი სპორტული ავტომობილი შეიძინა, ცოლს პლასტიკური ოპერაცია დაუფინანსა და ლას-ვეგასში საყვარელთან ერთად გაისეირნა. ბოუმენმა აღიარა, რომ ფულის მოპარვის შემდეგ დოკუმენტების ფალსიფიცირება მოახდინა, ის ხელმძღვანელობას ყალბ ანგარიშებს წარუდგენდა და ხელმოწერებს აყალბებდა, რათა საქმე მიეჩქმალა. გარდა ამისა, მან პოლიციელს ყალბი ჩვენების მიცემასსთხოვა. ბოუმენი FBI-ში 10 წელი მუშაობდა. (kvira.ge)

## ქალის განზრახ მკვლელობა შესაძლოა, სპეციალური მუხლით დასჯადი ქმედება გახდეს



გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა შესაძლოა, „სისხლის სამართლის კოდექსის“ სპეციალური მუხლით დასჯადი ქმედება გახდეს. კოდექსს ახალი მუხლი ემატება, რომლის მიხედვით, ფემიციდი, იგივე გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულში გადადის.

პარლამენტარების: თამარ კორძაიასა და თამარ ხიდაშელის მიერ პარლამენტში ინიცირებული პროექტი, რომლის თანახმად, ფემიციდი მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის, ან ოჯახის სხვა წევრის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 11-დან 14-წლამდე. თუ იგივე ქმედება ჩადენილია ორსული ქალის, არასრულწლოვანის, ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, სასჯელი იქნება თავისუფლების აღკვეთა ვადით 13-დან 17 წლამდე. პროექტის თანახმად, აღნიშნული ქმედება ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით; შეკვეთით — დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

ცვლილებები ასევე ითვალისწინებს გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად აღიარებას ისეთ დანაშაულებთან მიმართებაში, როგორიც არის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე და მსუბუქი დაზიანება, ცემა, ძალადობა, იძულება და მუქარა. (kvira.ge)

## რას ყვებიან ახლობლები სამეგრელოში მომხდარ მკვლელობაზე — მოტყუებით ხელი გადახვია და დანა დაარტყა



სამეგრელოში ნათესავის მიერ მოკლული ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობის მოტივად გარდაცვლილის ახლობლები წლების წინ მომხდარ დაპირისპირებას ასახელებენ.

მათი ინფორმაციით, ნათესავ მამაკაცებს შელაპარაკება 4-5 წლის წინ მოუვიდათ, თუმცა ეს ამბავი ჩავლილი იყო და შერიგებულებიც იყვნენ.

როგორც გარდაცვლილის ახლობლები ყვებიან, ბრალდებულმა გარდაცვლილს დანა იმ დროს დაარტყა, როდესაც ხელი მოტყუებით გადახვია.

– ასულა სახლში, დანა აუღია. მერე ხელი გადახვია მოტყუებით და დანა დაარტყა. მიზეზი იყო სიმთვრალე. გარდაცვლილს კონფლიქტი სოფელში არავისთან ჰქონია. სერიოზული და პატიოსანი კაცი იყო.

ადამიანი მოკლეს მუხანათურად. ისე, რომ მაგას ადამიანობა არ ჰქვია. მოტყუებით, ხელის გადახვევით და მერე უცბად დანის დარტყმით. მათ შორის იყო ადრინდელი პატარა შეკამათება, 4-5 წლის წინ, რომელიც ჩვეულებრივად ჩავლილი იყო და შერიგებულები იყვნენ, - აცხადებენ ახლობლები.

ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სამეგრელოში, სოფელ კურუზში ნათესავმა 30 წლის ახალგაზრდა ცივი იარაღით მოკლა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს, რადგან მამაკაცს არტერია ჰქონდა გადაჭრილი. გარდაცვლილი სოფელში აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით რამდენიმე დღით იყო ჩასული.

მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია. (kvira.ge)

## ფრანგი ჟურნალისტი „ისლამურ სახელმწიფოს“ 3 თვის განმავლობაში ფარული კამერით უღებდა

ფრანგი ჟურნალისტი 3 თვის განმავლობაში „ისლამურ სახელმწიფოს“ ბანაკში იმყოფებოდა და განვითარებულ მოვლენებს ფარული კამერით იღებდა. ჟურნალისტი დაჯგუფებაში საიდ რამზის სახელით გაწევრიანდა. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებთან დაკავშირება კი სოციალური ქსელით მოახერხა.

6 თვის შემდეგ, რეპორტიორმა მებრძოლების ნდობა მოიპოვა, რათა მათი მოტივების შესახებ უფრო მეტი გაეგო.

ჟურნალისტის თქმით, მებრძოლების უმეტესობა არიან ადამიანები, რომლებსაც მძიმე წარსული აქვთ და თვითმკვლელობისკენ სწრაფვა ახასიათებთ. მისივე თქმით, ტერორისტებს სამყაროს შეცვლა სულაც არ სურთ და ისინი ადვილად კონტროლირებადი ახალგაზრდები არიან. (epn.ge)




დიანა ლიპარტელიანი

571 80-40-80


# გივი კუბლაშვილი: „მილიონერი კალაძის ცოლის ძმა, თავისი მეგობრების სახელით, აფუძნებს კომპანიებს და შემოსავალს ბიუჯეტიდან იღებს“

## რა ტენდერები მოიგეს გიორგი არეშიძის მეგობრებმა?

**მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებულ კორუფციულ გარიგებებზე საუბრობს. რაში ამხელს კახა კალაძის ცოლისძმას და ვის და რა გზით ერიცხება ათასობით ლარი?**

**„ალია“ „მედიატორის“ დამფუძნებელს, გივი კუბლაშვილს ესაუბრა:**





– მინდა, მივაწოდო გზავნილი ვიცე-პრემიერის, კახა კალაძის ცოლისძმის სამეგობროს – უფრთხილდნენ ამ ბიჭს, თორემ დაღუპავს მთელ სამეგობროს. დაწვრილებით გეტყვით, რასაც ვგულისხმობ – მას მერე, რაც გიორგი არეშიძე მერიას ჩამოაშორეს, მან ფულის კეთების ახალი გზა მოიფიქრა. გზა, რომელიც ადრეც ჰქონდა დატესტილი. კონკრეტულად, ეს ადამიანი თავის სამეგობროს აფუძნებინებს ორგანიზაციებს და მერე, პირადი ინტერესების გათვალისწინებით, აგებინებს ტენდერებს. ამ შემთხვევაში საუბარი მაქვს იუმორისტ თემო მჟავიას ძმაზე, ლევან მჟავიაზე. ლევან მჟავიამ, 2016 წლის პირველ აპრილს დააფუძნა შპს. ის გახლავთ ამ ორგანიზაციის დირექტორი, ანუ ყველაფერს ის განაგებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პირველ აპრილს შექმნილმა კომპანიამ, დაახლოებით ორ კვირაში მოიგო 9 500 ლარის ღირებულების ტენდერი. ტენდერი ეხებოდა საფეხბურთო, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც სამგორის გამგეობამ გამოაცხადა. ეს კომპანია ამ ტენდერის ერთადერთი მონაწილე იყო.

მეორეჯერ ტენდერი ამავე კომპანიამ უკვე დიდუბის გამგეობაში მოიგო. აქ უკვე ორი ტენდერი მოიგო – ერთი 5 900-ლარიანი, ხოლო მეორე 3 900-ლარიანი. ჯამში, დაახლოებით 10 ათას ლარზეა საუბარი. საერთო ჯამში კი, ამ კომპანიამ 20 ათასი ლარი წაიღო.

ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ არც ერთი გამგეობა არ ითხოვს არანაირ გამოცდილებას ანალოგიურ საქმიანობაში, კომპანიის არანაირ ისტორიას. მსგავსი არაფერი მოუთხოვიათ არც დიდუბის და არც სამგორის გამგებლებს. ის ფაქტი, რომ ლევან მჟავია და გიორგი არეშიძე არიან მეგობრები, დასტურდება მათივე „ფეისბუკების“ მეშვეობით. ფოტო საზაფხულო ბანაკიდანაა. სხვამ თუ არა, კალაძემ მაინც უთხრას, რომ გაჩერდეს. შეეშვას ამ საქმიანობას. პირადად მე ვურჩევდი – წავიდეს საზღვარგარეთ სასწავლებლად, განათლება მიიღოს, მით უმეტეს, რომ დიპლომი არ აქვს. გაიგოს, რა არის ბიუჯეტი, რისთვის და როგორ ხდება მისი მოხმარება. იმდენი მაინც ეცოდინება, რომ ბიუჯეტის ფული არ არის კონკრეტული ადამიანის ჯიბის ფული, თორემ ამ პატარა ბავშვს აშკარად არ ესმის, რაოდენ მნიშვნელოვან საკითხებს ეთამაშება. არ იცის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი მისი გასართობი თანხა არ არის. მაშინ, როდესაც ათიათასობით ადამიანი სიღარიბის ზღვარზეა და უფასო სასადილოების რიგში დგას, რომ სახლში ლუკმაპური მიიტანოს, მილიონერი კალაძის ცოლის ძმა, თავისი მეგობრების სახელით, აფუძნებს კომპანიებს და შემოსავალს ისევ ბიუჯეტიდან იღებს.

**— რომ მოგედაოთ გიორგი არეშიძე, დაუმტკიცებთ, რომ ამ ორგანიზაციების უკან თავად დგას?**

– ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის ავადსახსენებელი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, გიორგი არეშიძემ თავის მეგობარს დაფუძნებინა ააიპ-ი და გადაურიცხა 95 ათასი ლარი. ანუ ეს არ არის პირველი ფაქტი, მას აქვს საამისო გამოცდილება. ეს ადამიანი გაუშვეს მერიიდან, მაგრამ ამ საქმიანობას არ ეშვება და მის გარეშე ვერაფერი კეთდება. ჩვენ არეშიძის „სივი“-დანვე ვიცით, რომ ეს ადამიანი გახლდათ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ჰქონდა სპორტული ტურნირების ჩატარების გამოცდილება. ანუ მას აქვს ამ ტურნირების ჩატარების გამოცდილება, მაგრამ თვითონ ხომ ვერ გამოჩნდება?! შესაბამისად, ყველაფერს აკეთებს ისე, რომ თავად არ ჩანს.

ამ ყველაფრის 100%-ით გადაჭრით თქმა თავისთავად არ შეგვიძლია, იმიტომ რომ ეს გახლავთ სამართალდამცავი სტრუქტურების მოკვლევის საქმე. ეს სტრუქტურები კი რას აკეთებენ – შეხედეთ. იმ 9 ათას ლარზე ამდენი თვის მერეც მარტო მე ვარ დაკითხული და წინ ვერ წაიწია ამ საკითხმა, გააჩერეს, არ გაუჭირდებოდა ლობისტების გამონახვა მთავრობაში, იცით.

ამიტომაც თქვენი გაზეთის მეშვეობით, კიდევ ერთხელ მივმართავთ საგამოძიებო სტრუქტურებს – დაინტერესდნენ ამ საკითხებით, თორემ სხვადასხვა ორგანიზაციები დავაყენებთ რადიკალურ მოთხოვნას – გადადგნენ სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელები. ამ მოთხოვნებით დავიწყებთ გამოსვლებს. არავის არ უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ საკუთარი გემოვნებით განკარგავდნენ სახელმწიფოს ბიუჯეტს. ვდებთ საფუძვლიან ვარაუდს – თუ ჩვენ ვცდებით, მაშინ რატომ არ დებენ გამგეობები სატენდერო მოთხოვნებში საკვალიფიკაციო მოთხოვნებს?! აქედან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი, ვთქვათ, რომ ისევ ჩართულია ის შავი სქემა, რომელიც ყველაზე დამანგრეველია ქვეყნისთვის.

აქ უკვე საუბარია სისტემურ დანაშაულზე. საფუძვლიანი გამოძიების შემთხვევაში, აუცილებლად დადგება სამგორისა და დიდუბის გამგებლების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან ისინი არიან უშუალოდ ბიუჯეტის განმკარგავები. თუ ამ საკითხს ვერ განკარგავენ, მაშინ რისთვის აირჩია ისინი ხალხმა და რისთვის ვუხდით ხელფასებს?!

იმის ნაცვლად, რომ ბიუჯეტს ხალხის საჭიროებებს ახარჯავდნენ, უდიდეს თანხას იმ ადამიანების საკომპენსაციოდ მიმართავენ, რომლებიც თავის დროზე უკანონო ბრძანების საფუძველზე გაათავისუფლეს, ათობით ადამიანმა უკვე მოიგო სასამართლოები და მათ დასაკმაყოფილებლად გვიხდება ბიუჯეტიდან ათობით ათასობით ლარის გადახდა და რის გამო? იმიტომ, რომ დავით ნარმანიამ თავის დროზე, პოლიტიკური ინტერესის გამო, უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რათა ნათესავები და აქტივისტები დაესაქმებინა. ამ ყველაფერზე პასუხს ისევ და ისე ბიუჯეტი აგებს და არა ის ადამიანი, რომელიც უშუალოდ იღებს არასწორ გადაწყვეტილებას. ამიტომაც უნდა დარეგულირდეს ეს საკითხი კანონით, თორემ ყველა არასწორი გადაწყვეტილების გამო თუ ბიუჯეტმა აგო პასუხი, ეს შორს ვერ წაგვიყვანს. პასუხი უნდა აგოს იმან, ვინც შეცდომა დაუშვა და ეს უნდა მოხდეს საკუთარი ჯიბიდან, საკუთარი თანამდებობით და ა.შ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გირჩის“ ოფისი დაარბიეს

თბილისში ახალი პოლიტიკური ცენტრ „გირჩის" ჩუღურეთის რაიონის ოფისი დარბეულია. ამის შესახებ ინფორმაციას პარტიის წარმომადგენლები ავრცელებენ.

– ღამით დაარბიეს ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩუღურეთის რაიონის ოფისი. ჩამსხვრეულია პრაქტიკულად ყველა მინა. დათვალიერებით ჩანს, რომ ეს ვანდალური აქტი ჩაიდინა ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით მივიდა ოფისთან აგურებით, ასფალტის ბელტებითა და არმატურებით შეიარაღებული.

მოვუწოდებთ სამართალდამცავ სტრუქტურებს, სასწრაფოდ მოხდეს აღნიშნული ფაქტის გამოძიება და დამნაშავეები დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით, - აცხადებენ პარტიაში. (info9.ge)



## ანი მიროტაძეს აინტერესებს, რატომ ჭიანურდება გამოძიების პროცესი ფარულ კადრებთან დაკავშირებით



„ეროვნული ფორუმის„ ერთ-ერთი ლიდერის ანი მიროტაძის განცხადებით, ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით, სასჯელის გამკაცრების პროცესი დაწყებულია. მიროტაძის თქმით, მისი ინიციატივა ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით, უკვე დარეგისტრირდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.

რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება კანონი, მიროტაძე მიიჩნევს, რომ ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად გამოიყენებენ ამ კანონს შესაბამისი სტრუქტურები.

– იმედი მაქვს, მსგავსი ფაქტების გავრცელება აღარასდროს მოხდება. ასევე, იმედს ვიტოვებ, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაიხსნება ეს ფაქტები. თუმცა ძალიან აგვიანებს. გამახსენდა ის წამზომი, რომელიც სახალხო დამცველმა ჩაურთო პროკურატურას. ვფიქრობ, ეს თემა უკვე აქტუალურია, რადგან გავრცელებულ ვიდეოებთან დაკავშირებით, გამოძიებას არანაირი მოკვლევა არ მიუწოდებია საზოგადოებისთვის. ეს ექვემდებარება იმას, რომ დაისვას კითხვები, რატომ ჭიანურდება ამ ხნის განმავლობაში გამოძიება, - განაცხადა მიროტაძემ. (პია.გე)

## „ამას იყენებენ ჩემ წინააღმდეგ“



„ფეისბუკში“ გვერდმა სახელად Anouki areshidze სააღდგომო მილოცვა გაავრცელა – „ქრისტე აღსდგა! გილოცავთ შობას“...

ანუკი ამის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვა. დიზაინერს უამრავმა ადამიანმა დასცინა. აღნიშნული გვერდი არ ეკუთვნის თავად ანუკის, ის უბრალოდ არეშიძის ფან კლუბის მიერაა შექმნილი.

მომხდართან დაკავშირებით დიზაინერი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს:

– ერთადერთი გვერდი ამ დედამიწის ზურგზე, რაც მართლა მეკუთვნის მე, არის ეს! რომელსაც ძალიან იშვიათად ვიყენებ, დანარჩენი არცერთი ფბ გვერდი თავიანთი უამრავი მოწონებით არ არის ჩემი!

უამრავი შემთხვევა მაქვს, როდესაც გასაუბრებაზე დაუბარებიათ ხალხი სამსახურის დაწყებაზე, ან ჩემი სახელით და გვარით ავრცელებენ დაუზუსტებელ ინფორმაციებს და მერე ამას იყენებენ ჩემს წინააღმდეგ. ბოლო შემთხვევა რაც იყო აღდგომის დღესასწაულთან ერთად შობის მილოცვა, ამ ადამიანმა თავადაც მომწერა, რომ სიჩქარეში აერია და ძალიან ინერვიულა ამის გამო, - წერს ანუკი არეშიძე. (etanews.ge)

## ოფიციალური უქმე დღეები - ანუ როდის ისვენებთ



ა) 1 და 2 იანვარი — ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;

ბ) 7 იანვარი — იესო ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული;

გ) 19 იანვარი — ნათლისღება — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების — ანუ, ნათლიღების დღე;

დ) 3 მარტი — დედის დღე;

ე) 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე;

ვ) 9 აპრილი — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

ზ) სააღდგომო დღეები — დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე — აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);

თ) 9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

ი) 12 მაისი — საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;

კ) 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;

ლ) 28 აგვისტო — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

მ) 14 ოქტომბერი — მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;

ნ) 23 ნოემბერი — გიორგობის დღე.

ოფიციალური უქმე დღე ნიშნავს იმას, რომ ისვენებს ყველა! როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უწყება და ფრაზა: „ჩვენზე შრომის კოდექსი არ ვრცელდება და უფროსი როგორც იტყვის, ისე იქნება“ — არის უკანონო.

თუ მაინცდამაინც სხვა გამოსავალი არ არის და გიწევს ამ დღეს მუშაობა, დამსაქმებელი ვალდებულია გადაგიხადოს ზეგანაკვეთური შრომის საფასური, რომელიც უნდა ანაზღაურდეს ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით.

კოდექსი არ აკონკრეტებს რაოდენობას, მაგრამ თუ შენი საათობრივი ანაზღაურება არის 5 ლარი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება უნდა იყოს ამ თანხაზე მეტი, მაგრამ რამდენით, კანონი არ აკონკრეტებს და ეს მხარეთა შეთანხმების საგანია.

მხარეები შეიძლება, ასევე, შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. როგორც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე ხელშეკრულების დადების მომენტშიც. (pink.ge)

## რას ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესია „დიდ და წმინდა კრებაზე“ გასატანი ექვსი საკითხიდან





16-27 ივნისს კუნძულ კრეტაზე მსოფლიოს ყველა, 14-ივე საყოველთაოდ აღიარებული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია „დიდ და წმინდა კრებას“ პირველად ატარებს და ეს მართლმადიდებელ სამყაროში დიდი მოვლენაა.

კრებაზე გასატანი საკითხების ირგვლივ დიდი დაპირისპირებაა. ერთ-ერთ საკითხზე შეუთანხმებლობის გამო კი მსოფლიოს, იგივე კონსტანტინოპოლის და საქართველოს ეკლესიები ერთმანეთის ბრალდებებით აღსავსე საჯარო წერილებით აკრიტიკებენ.

კრებაზე სულ 6 საკითხი უნდა გაიტანონ და ამ ექვსიდან, წინასწარი ინფორმაციით, საქართველოს ეკლესია არსებული სახით ორი თემის გატანას ეწინააღმდეგება — სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან შერეულ ქორწინებას და დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობას. ორი ეკლესიის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხის გამო განსაკუთრებით გამწვავდა.

საკმაოდ უხეში ფორმით ბრალდებები პირველად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან გაისმა. მსოფლიო საპატრიარქოს დიდმა პროტოპრესვიტერმა გიორგი ცეცისმა 3 მარტს ბერძნულ საეკლესიო სააგენტო Amen.gr-ის ვებგვერდზე დაწერა, რომ საკითხების განხილვებისას „ქართველი ძმების ხისტი და სქოლასტიკური ქცევა გამაღიზიანებელი და ჩიხში შემყვანია“. უფრო მეტიც, მან საქართველოს ეკლესია „ფუნდამენტალიზმში“, „შუა საუკუნეებში დაბრუნების სურვილსა“ და „სხვა ეკლესიების ზეგავლენის ქვეშ" ყოფნაში დაადანაშაულა.

მართალია, „სხვა ეკლესია“ დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ აქ რუსეთის ეკლესია იგულისხმება, რომელთანაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაძაბული ურთიერთობა აქვს.

ბერძენი სასულიერო პირის ეს წერილი საქართველოს საპატრიარქომაც გაავრცელა. საპასუხო წერილის ავტორია წმინდა და დიდი კრების სამდივნოში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი, გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა, რომელიც წერს, რომ შეეცდება მამა გიორგი ცეცისის მხრიდან „სტატიაში გაჟღერებულ შეურაცხყოფას“ მოთმინებით მოეკიდოს და მხოლოდ ფაქტებით ილაპარაკოს.

ქართული მხარე საუბრობს იმაზე, რომ დოკუმენტების განხილვისას წლებია, დაძაბული ვითარებაა და რომ საქართველოს დელეგატებს არ ეძლევათ პოზიციების დაფიქსირების უფლება.

„უფრო მეტიც, კენჭისყრაზე დააყენეს საკითხი, საერთოდ მისცემოდა თუ არა საქართველოს დელეგაციას სხდომების მუშაობაში სრულფასოვანი ჩართულობის უფლება, რის გამოც საქართველოს წარმომადგენლებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. საბოლოოდ, ეს უფლება საქართველოს დელეგაციას „მოენიჭა“, თუმცაღა დოკუმენტის მხოლოდ ნაწილის განხილვაში შეძლეს ქართველებმა სრულყოფილად მონაწილეობის მიღება", — წერია წერილში.

DFWatch-ი ეცადა საპატრიარქოში გაერკვია, მოგვარდა თუ არა კონფლიქტი და კონკრეტულად რა იყო დაპირისპირების საგანი, თუმცა ამაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა არავინ ისურვა.

პატრიარქის მდივანი, მამა მიქაელ ბოტკოველი აცხადებს, რომ ის დეტალებში არ ერკვევა, თუმცა საუბარია მხოლოდ გარკვეული დოკუმენტების შეუთანხმებლობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა, რაღაც საკითხი დაიბლოკოს, მაგრამ კრების ჩაშლის საფრთხე არ არსებობს. პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე ამბობს, რომ კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიებს შორის დაპირისპირება არაა, უბრალოდ, საქართველომ „ტყუილებს პასუხი გასცა".

აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურები იანვრის ბოლოს შვეიცარიაში, შამბეზიში შეთანხმდნენ შეჯერებულიყო წარსადგენი ტექსტები. წინასწარი კამათი-მსჯელობის შემდეგ განსახილველ საკითხთაგან ამოღებულია დიპტიხის, კალენდრისა და ავტოკეფალიის მინიჭების საკითხები.

განსახილველად გადის ექვსი დოკუმენტი: 1. მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე სამყაროში; 2. მართლმადიდებლური დიასპორა; 3. ავტონომია და მისი გამოცხადების წესი; 4. ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები; 5. მარხვის მნიშვნელობა და მისი შენახვა დღეს; 6. მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან.

როგორც წინასწარ ცნობილია, გადაწყვეტილება კონსესუსის გზით უნდა მიიღონ და ერთი ეკლესიის წინააღმდეგობაც იმას ნიშნავს, რომ საკითხი დაიბლოკება.

საქართველოს ეკლესიამ ერთი საკითხის — „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“ — არსებული სახით გატანას ხელი არ მოაწერა. მეორე საკითხი, „მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან“, შესწორდა და პატრიარქმა ილია I მას ხელი მოაწერა. თუმცა დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ჩატარდა წმინდა სინოდის კრება, სადაც ქართველმა მღვდელმთავრებმა ეს შესწორებული დოკუმენტიც დაიწუნეს, რის გამოც საკითხის განსახილველად სპეციალური კომისიის შექმნა გადაწყდა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პროტოპრესვიტერი გიორგი ცეცისი ამ „უკანდახევის" გამო უკმაყოფილოდ წერს, რომ ქართველმა დელეგატებმა მათ „სული ამოხადეს“, სანამ დოკუმენტში არაერთი ცვლილების შეტანას არ მიაღწიეს და შემდეგ ცვლილებას ხელიც მოაწერეს და კითხვას სვამს, წმინდა სინოდის კრებაზე ეს თანხმობა რატომ უარყვეს. დაპირისპირებაც ამ უარყოფიდან დაიწყო.

რატომ უარყვეს ხელმოწერილი დოკუმენტი ქართველმა მღვდელმთავრებმა და რა შინაარსისაა ის დოკუმენტი, რომლის გამოც კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ამაზე პასუხის მიღება საპატრიარქოდან ვერ მოხერხდა.

თეოლოგების თქმით, საქართველოს ეკლესია შერეულ ქორწინებებს არ ეთანხმება. ასევე, მისთვის მიუღებელია ე.წ. „ეკუმენური ურთიერთობების“ საკითხიც, განსაკუთრებით კათოლიკურ სამყაროსთან. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში, იმავე ე.წ. ეკუმენურ ორგანიზაციაში, სადაც ქრისტიანული კონფესიები არიან გაერთიანებული, საქართველო 1962 წელს შევიდა, 1997 წელს კი საქართველოს საპატრიარქოში არსებული დიდი წინააღმდეგობის გამო საბჭო დატოვა.

ცეცისი თავის წერილში საქართველოს მიერ საბჭოს დატოვებას ქართველი ფუნდამენტალისტების გამარჯვებად აფასებს.

თეოლოგიის დოქტორი ვაჟა ვარდიძე აცხადებს, რომ დოკუმენტები საჯარო არ არის და უთანხმოებაზე ვერ იმსჯელებს, თუმცა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიას გარკვეული საკითხებისადმი უკიდურესად კონსერვატიული და ფუნდამენტური დამოკიდებულება აქვს. მაგალითად, მიიჩნევს, რომ სხვა ქრისტიანული კონფესიის წარმომადგენელთან ჯვრისწერა დაუშვებელია სანამ ის მართლმადიდებლად არ მოინათლება. სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები კი პრაქტიკაში გამონაკლისის სახით ასეთ ჯვრისწერას უშვებენ ხოლმე.

ვარდიძის თქმით, ასევე განსხვავებულია მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულება დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან. საქართველოში ყველანაირ განსხვავებულ კონფესიას უარყოფენ და მათთან არ თანამშრომლობენ, მიუღებელია ე.წ. ეკუმენიზმი, რაც სხვა კონფესიებთან კეთილგანწყობილ ურთერთობასა და ერთობლივ ლოცვას გულისხმობს.

– სხვა კონფესიებისაგან მტრის ხატის შექმნა იმის შთაბეჭდილეაბს ტოვებს, რომ ეს ვიღაცის პოლიტიკურ ინტერესზე ასხამს წყალს, - ამბობს ვარდიძე.

მისივე თქმით, ბევრი ქართულ ეკლესიას ადანაშაულებს იმაში, რომ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ის რუსული ეკლესიის ინტერესებს ატარებს; ამ დაპირისპირებაში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კონფრონტაციული პოზიციით საქართველოს ეკლესია, ნებსით თუ უნებლიედ, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, რომლესაც სრული დომინანტობისა და „მესამე რომის“ სტატუსზე აქვს პრეტენზია, ხოლო რადგანაც ეს კრება კონსტანტინოპოლის ინიციატივით ტარდება, რუსეთის სურვილია ის ჩაიშალოს. (dfwatch.net)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „დააფასეთ ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს რისკავენ“




გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი სახელმწიფოს მეთაურებს დამოუკიდებელი მედიის საქმიანობის დაცვისა და ჟურნალისტებისთვის თავისუფალი, დამოუკიდებელი და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნისკენ მოუწოდებს.

– პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მეთაურებს, პოლიტიკოსებს, კომპანიებსა და მოქალაქეებს მოვუწოდებ, დავაფასოთ ჟურნალისტები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლეს რისკავენ და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფენ. დავიცვათ დამოუკიდებელი მედიის საქმიანობა, - ნათქვამია გაეროს გენერალური მდივნის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1993 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, 3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორის დღე აღინიშნება. (pia.ge)

## ნავთობის ფასი ზრდას განაგრძობს



მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის ზრდა გრძელდება.

დღევანდელი ვაჭრობის შედეგად, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის ღირებულება 0,92 პროცენტით გაიზარდა და ბარელზე 45,19 აშშ დოლარი შეადგინა.

0,89 პროცენტით გაიზარდა „ბრენტის" მარკის ფასი ლონდონის ბირჟაზე და ბარელზე 46,24 აშშ დოლარს მიაღწია. (bpn.ge)

## სტომატოლოგიაში ოქროზე მოთხოვნა 60 პროცენტით შემცირდა



ჩასმული ოქროს კბილებისა და გვირგვინების ეპოქა სრულდება, ძვირადღირებულ ლითონზე მოთხოვნა სტომატოლოგიაში 60 პროცენტით შემცირდა.

ოქროს მსოფლიო საბჭოს ანგარიშის თანახმად, ჯერ კიდევ 10 წლის წინ დანტისტები ყოველწლიურად 67 ტონა ოქროს გამოიყენებდნენ, რაც დღევანდელი ფასის მიხედვით, დაახლოებით 2,7 მილიარდი ევროს ტოლია. 2015 წელს სტომატოლოგიაში ოქროზე მოთხოვნამ 18,9 ტონა შეადგინა. (bpn.ge)

## მიგრანტების მიღებაზე უარისთვის, ერთ ლტოლვილზე ჯარიმა 250 000 ევრო?



ევროკავშირის წევრი ქვეყნები, რომლებიც უარს იტყვიან მიგრანტების მიღებაზე დაჯარიმდებიან. Financial Times-ის ინფორმაციით, ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა გაინაწილოს მიგრაციის ტვირთი და ევროპის ტერიტორიაზე ჩასული თავშესაფრის მაძიებლები შესაბამისი კვოტის მიხედვით გადაინაწილოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა შესაძლოა, ერთ ლტოლვილზე 250 000 ევროთი დაჯარიმდეს. (bpn.ge)

## რუსუდან შარაძე: რამ გააბოროტა ეს ვითომ ლიბერალები, ასეთი რა უბედური ბავშვობა ჰქონდათ?



რუსუდან შარაძე „ფეისბუკის“ გვერდზე ბაია პატარაიას განცხადებას ეხმაურება.

– კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრი რომ გახდა, მის პირად ნაცნობებს, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ვკითხე, ცხოვრებაში რა კაცია-მეთქი და პირველი, რაც ყველამ მითხრა, მორწმუნეო. ამიტომ იყო, რომ როდესაც ეკლესიაში დაჩოქილი ვნახე, არ გამიკვირდა და არც გამაღიზიანა. ზოგადად, მაღიზიანებს ხოლმე რწმენისა და პირადი ცხოვრების სათუთი დეტალების გამოფენა, ზედმეტი ფიცი¬მტკიცი, მით უმეტეს, პოლიტიკოსების მხრიდან...

მე ის მიკვირს, რამ გააბოროტა ეს ვითომ ლიბერალები, ასეთი რა უბედური ბავშვობა ჰქონდათ, ჩვენ რომ არ ვიცით? თუთბერიძეებზე, კიკინებიან დეგენერატებზე და ვიღაც ჯღან ქალებზე არ ვამბობ, თავის დამკვიდრებისთვის რომ იბრძვიან. მეტნაკლებად ჭკვიან ხალხზე მაქვს ლაპარაკი, ქართველებზე, ნაკლებ გოიმებად რომ გამოიყურებოდნენ. ეს შინაგანად თავისუფლები. მაინცდამაინც, ქრისტეზე და მართლმადიდებლებზე აიწყვიტეს, რაღაც, არ გამიგია ამათგან სხვა რელიგიების „კრიტიკა“ და მასხრად აგდება. ეს ორმაგი სტანდარტები, „ფეისბუკში“ სხვის დასანახად... რა სასაცილოა... მე თუ რამე მწამს, თუნდაც ბრმად, შენ რას გიშლი, შენ, ლიბერალო და თავისუფალო დეგენერატო? მე თუ გავალ სასაფლაოზე და იქ ღვინოს დავლევ, დავაყოლებ კვერცხს და პასკას, მეზობელ საფლავებზე გასულ ხალხს მივესალმები და კვერცხს მივუჭახუნებ, ვის რა აკლდება ამით? თუნდაც, არ შევიარო ეკლესიაში? ასე რომ, ცივი წყალი დალიეთ! ცოტა სარკეშიც ჩაიხედეთ და ცოტა სხვისი თვალითაც შეხედეთ საკუთარ თავებს - რას ჰგავხართ?! - წერს რუსუდან შარაძე. (რეპორტიორი)

## „კომედი შოუს“ მსახიობი მეოთხე ოპერაციის შემდეგ სუნთქვის აპარატზეა შეერთებული



„კომედის შოუს" მსახიობ გიორგი გოცირიძეს 2 მაისს მეოთხე ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. მსახიობს ამჯერად ოპერაცია მუცლის ღრუში ლაპარასკოპიული მეთოდით ჩაუტარდა. პაციენტი სუნთქვის აპარატზეა შეერთებული. გოცირიძის მდგომარეობა კვლავ დადებითად მძიმეა. მსახიობის ჯანმრთელობა 4 ოპერაციის მიუხედავად არ გაუარესებულა, ის მკურნალობას „კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის" რეანიმაციაში აგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ „კომედი შოუს" მსახიობს 27 აპრილს მანქანა დაეჯახა, რის შემდეგაც გოცირიძე საავადმყოფოში იმყოფება. (plus.kvira.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# თსუ-ს სტუდენტები პრემიერისგან დაპირების შესრულებას ელოდებიან და მასშტაბური აქციისთვის ემზადებიან



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 11 მაისს გასამართი აკადემიური საბჭოს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, საბჭოს წევრობის კანდიდატთა განაცხადების შეტანა შეწყდა.

საბჭოს არჩევნები, რომელიც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დარეჯან თვალთვაძის გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრთა ბის მხრიდან ზეწოლა უპირველესად საბჭოზე და მის წევრებზე მოდის, ყველა პოლიტიკური პარტია ცდილობას თავისი ლობის გამოყენებას და უნივერსიტეტის ავტონომიურობაში ამ ფორმით შეჭრას.

ამჯერად საბჭოს წევრობაზე 34 კანდიდატის განაცხადია შეტანილი. პრეტენდენტები უმეტესწილად სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები არიან, თუმცა რამდენიმე ნაცნობ პარტიულ თუ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ გვარს ამ სიაშიც ვხვდებით:

პაატა იმნაძე – დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

აპოლონ სილაგაძე – პარლამენტის ყოფილი წევრი;

ქეთი ხუციშვილი – 2008 წლიდან ხელმძღვანელობს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“;

ირინე დარჩია – დასაქმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი 2015 წლამდე;

ირინე ქურდაძე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე 2010-2012 წ. პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“. საპარლამენტო საქმიანობა: ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები“. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი;

**„ალია“ 11 მაისს გასამართ აკადემიური საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, უფრო ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, თსუ-ს სენატის წევრს, „აუდიტორია 115“-ელ ლევან ლორთქიფანიძეს დაუკავშირდა:**

**— რაც შეეხება პოლიტიკურ გავლენებსა თუ წარსულს, იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლები, „ნაციონალების“ დროს ყველა სადღაც ნამუშევარია, მათ შორის შაშკინის სამინისტროში და ვისი გავლენა ექნება, ალბათ, ხვდებით.**

ჩვენ ვითხოვდით და ვითხოვთ აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტების წარმომადგენლებისთვის კვოტების გაზრდას. ამჯერად, იმ საბაბით, რომ კანონის ცვლილება არ მოესწრო, ქალბატონმა დარეჯანმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა საბჭოს შემადგენლობა კვლავ 14 დარჩენილიყო, თუმცა 14 ივლისიდან სხვა კუთხით მაინც იზრდება საბჭოში წევრების რაოდენობა, რადგან ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოს უმაღლესი განათლების კანონში ჩაიწერა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც შეუერთდნენ უნივერსიტეტს, უნდა იყვნენ წარმოდგენილი აკადემიურ საბჭოში თითო წევრით, ამიტომ 14 ივლისს კიდევ აირჩევენ 14 კაცს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, მანამდე მივაღწიოთ კვოტების გაზრდას ფაკულტეტებისთვის, რადგან „აუდიტორიელების“ ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ ეს იყო. ვინაიდან საბჭო არის უმთავრესი მმართველი რგოლი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებს არანაირი ხელფასი არ აქვთ. საბჭო ამტკიცებს წესდებაში ცვლილებებს, ბიუჯეტი ამ საბჭოს გავლით მტკიცდება. მოკლედ, გავლენებზეა აქ საუბარი, რომელსაც რექტორზე მეტი უფლებები აქვს. ამიტომ არის ასეთი მნიშვნელოვანი მისი წევრობაც და რაოდენობაც. ვთვლით, რომ საფაკულტეტო დონეზე უფრო წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი უნდა იყოს.

ჯერ არ შევკრებილვართ „აუდიტორიელები“, დასვენების დღეები იყო და ამ დღეებში გადავწყვეტთ, როგორ ვიმოქმედებთ, დაველოდებით 14 ივლისს და ცვლილებებს, თუ ახლავე გავაპროტესტებთ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. თან კანცლერის არჩევნებისთვისაც დაიწყო მზადება, უკვე განაცხადები შეაქვთ, კანდიდატები ვინ იქნებიან, შევხედავთ და უნივერსიტეტის ინტერესისთვის მიუღებელს რომ არ გავაჭაჭანებთ, ფაქტია.

**— პრემიერთან აპირებდით კიდევ ერთხელ შეხვედრას. როდის უნდა შეხვდეთ?**

– რაც შეეხება პრემიერთან დაწყებულ მოლაპარაკებებს, აქაც მოლოდინის რეჟიმში ვართ, არაკონსტრუქციულობა რომ არ დაგვწამონ, წავედით მოლაპარაკებებზე. პოზიციას არ დავთმოთ, არ გაუქმდება თვითმმართველობა ამ ფორმით? შედეგებზე პასუხისმგებლობას მერე ვეღარავინ მოგვთხოვს და მიიღებენ ისევ პროტესტს, ოღონდ ბევრად მასშტაბურსა და რადიკალურს.

რაოდენობა არ შეცვლილა, რაც სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის პროტესტის მიზეზი კიდევ ერთხელ გახდა, თუმცა ჯერჯერობით სტუდენტები რადიკალურ ზომებს არ მიმართავენ.

რატომ არის მუდმივად პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი საბჭოს არჩევნები თუ მისი წევრობა? ამაზე პასუხი მარტივია. აკადემიური საბჭო თსუ-ს მართვის ორგანოა, რომლის უფლებამოსილებას განსაზღვრავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი. აკადემიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას; ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს; თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს. შესაბამისად, პოლიტიკური თუ ძალოვანი უწყებე-

## „როცა ეკლესიას აკრიტიკებთ აჯობებს რელიგიას ნუ შეეხებით“



საზაოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ივერიის" წევრი მამუკა გამყრელიძე მორწმუნეებსა და ათეისტებს შორის გამართულ პაექრობაზე თავის აზრს აფიქსირებს.

– ბევრი ვითმინე, მაგრამ მაინც ჩავთვალე საჭიროდ ამ უკანასკნელ დღეებში, მორწმუნეებსა და ათეისტებს შორის გამართულ პაექრობაზე, ჩემი აზრის დაფიქსირება.

1. ალბათ ელემენტარული ტაქტია საჭირო, რომ დღესასწაულის დღეებში მაინც შეიკავო თავი და არ უძახო ბნელები იმ ადამიანებს, ვისაც ცეცხლის გადმოსვლისაც სწამთ და ადამ და ევასიც. თუ ასე უფრო მშვიდად გრძნობენ თავს, სწამდეთ. რატომ ახვევთ მათ თავზე თქვენს შეხედულებებს ?

2. რწმენას პარტიული ნიშანი არ გააჩნია და მორწმუნენიც და ათეისტებიც ყველგან დაახლოებით თანაბრად არიან.

3. ის, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია რუსულ ეკლესიასთან ზედმეტად დაახლოებულია და ამის გამო საზოგადოების გარკვეული ნაწილის (ჩემიც მათ შორის) კრიტიკას იმსახურებს, არავითარ კავშირში არაა რელიგიასთან და რწმენის საკითხებთან. ეკლესია ჩვეულებრივი ადამიანებისაგან შემდგარი ორგანიზაციაა, რომელიც ხშირად ქრისტეს მცნებისაგან საკმაოდ შორს დგას ხოლმე. ამიტომ როცა ეკლესიას აკრიტიკებთ, აჯობებს რელიგიას ნუ შეეხებით. ეს ყველა მორწმუნე ადამიანს აღიზიანებს.

და საერთოდ, „პროგრესულობა“ სულ არ ნიშნავს მაინცა და მაინც ათეისტობას. (news.ge)

## ისტორიული საკათედრო ტაძარი დაიწვა



აღდგომის სადღესასწაულო მესის დასრულებიდან რამდენიმე საათში, ნიუ-იორკში, მანჰეტენზე მდებარე სერბულ მართმადიდებლურ ეკლესიას ცეცხლი გაუჩნდა.

მეხანძრეები ხანძრის ჩაქრობას მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდნენ. ხანძრის შედეგად განადგურებულია შენობის სახურავი. არიან დაშავებულები. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ნიუ-იორკის წმინდა საბას სახელობის საკათედრო ტაძარი 1850-იან წლებში აშენდა. (mediamall.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ღმერთის რწმენა უბრალოდ სისულელეა“ - ცოტნე გამსახურდია



ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე წერს:

– ნებისმიერი სახის და წარმოშობის ღმერთის რწმენა უბრალოდ სისულელეა, თუ მას ყველაფრის ერთიანობის რწმენა არ ახლავს თან. და თუ ყველაფრის ერთიანობისა გწამთ, მაშინ „ღმერთის“ რწმენა აღარცაა აუცილებელი.

პოსტულატი ჩემი რელიგიიდან, - წერს გამსახურდია.

(etanews.ge)

## „უკრაინაში წყდება არა საქართველოს, არამედ მიხეილ სააკაშვილის მომავალი“




უკრაინაში წყდება არა საქართველოს მომავალი, არამედ მიხეილ სააკაშვილის მომავალი. ეს განცხადება, „მემარცხენე ალიანსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, ქართული ჯარი უკრაინის ტერიტორიაზე უნდა იბრძოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორ ქვეყანას შორის არსებობს ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში, გადაცემა „პრიორიტეტებში“ მწვავე დებატები სოსო შატბერაშვილსა და „თავისუფალი ზონის“ დამფუძნებელმა ბადრი შუბლაძეს შორის შატბერაშვილის მიერ გაკეთებულ ამ განცხადებას მოჰყვა. შატბერაშვილის თქმით, უკრაინაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. მისივე განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას თავმოყვარეობა რომ ჰქონედეს, უკრაინასთან დიპლომატიური ურთიერთობის გარდა ყველანაირი ურთიერთობა გაწყვეტილი უნდა ჰქონდეს. ბადრი შუბლაძემ განაცხადა, რომ სოსო შატბერაშვილს მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავს.

## Johnson&Johnson-ს კიბოთი დაავადებული ქალბატონისთვის 55 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა




მისურის შტატის სასამართლომ კომპანია Johnson&Johnson-ს 55 მილიონი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა იმ ქალბატონის სასარგებლოდ, რომლის განცხადებითაც, კომპანიის ტალკის გამოყენების შედეგად კიბოთი დაავადდა.

გლორია რისტესანდის განცხადებით, შედეგად მას საშვილოსნო მოკვეთეს.

„გარდიანის" ინფორმაციით, კომპანიის წინააღმდეგ ანალოგიური ბრალდებით 1 200 სარჩელია მომზადებული. მომჩივანთა თქმით, კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებების მწარმოებელი კომპანია მომხმარებელს არ აფრთხილებს, რომ Johnson&Johnson-ის ტალკის სისტემატურმა მოხმარებამ შესაძლოა, კიბოთი დაავადება გამოიწვიოს.

კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, სასამართლოს ვერდიქტი 30-წლიან კვლევას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად, Johnson&Johnson-ის ტალკი უსაფრთხოა. კომპანია მისურის შტატის სასამართლოს განაჩენს უახლოეს ხანებში გაასაჩივრებს. (bpn.ge)

## თუ შსს-ს და მთავრობას ნამდვილად სურთ ავტოპარკის წახალისება-განახლება, აი, ასე უნდა მოიქცნენ!



გერმანიის ხელისუფლება და ადგილობრივი ავტომწარმოებლები ელექტრომობილის მყიდველებს პრემიას გადაუხდიან.

მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების თანახმად, ელექტრომობილის შეძენის შემთხვევაში, მყიდველს მანქანის ღირებულების ნაწილი - ჯამში 4 000 ევროს ოდენობით აუნაზღაურდება.

3 ათასი ევროს კი ჰიბრიდული ძრავის მქონე ავტომობილების მყიდველები მიიღებენ.

პროგრამაში სუბსიდირების მიზნით გერმანიის მთავრობა 1 მილიარდ დოლარს გამოყოფს.

„დოიჩე ველეს" ინფორმაციით, პროგრამა მაისიდან ამოქმედდება და მისი მიზანი 2020 წლისთვის გერმანიაში ელექტრომობილების რაოდენობის სულ მცირე ერთ მილიონამდე გაზრდაა.

დღეისთვის გერმანიაში არსებული 45 მილიონი ავტომობილიდან ელექტრომობილების რაოდენობა დაახლოებით 50 ათასია. (allnews.ge)

# „დებატები იმაზე მიდის, პარლამენტში ვინ როგორ სკამს მოირგებს“



მმართველი გუნდი ოპოზიციის მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭისყრაზე ჩაგდებისთვის ამზადებს, უმრავლესობის მიერ ინიცირებული ვერსიის მხარდაჭერას კი, ოპოზიციას სთხოვს.

პარლამენტმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თაობაზე, ოპოზიციისა და უმრავლესობის მიერ წარდგენილ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობა უკვე დაიწყო. ოპოზიციის ვერსია პირველი მოსმენით განხილულია, უმრავლსობის ვარიანტზე მსჯელობა კი, მომავალ სასესიო კვირას გაგრძელდება. კენჭისყრის ჩატარების თარიღი უცნობია, თუმცა, ცვლილებების მხარდაჭერისთვის უმცირესობა უმრავლესობას ულტიმატუმს უყენებს.

როგორც for.ge-ს „ნაციონალმა“ მიხეილ მაჭავარიანმა განუცხადა, უმცირესობა გადაწყვეტილებას მარტო ვერ მიიღებს, მაჟორიტარული სისტემის 2020 წლიდან გაუქმებას მხარი დაუჭიროს თუ არა.

დეპუტატის მოსაზრებით, უმრავლესობამ უნდა დააკონკრეტოს, საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს თუ არა სამივე მოსმენით.

– ჩვენ გვაინტერესებს, არის თუ არა „ოცნება" მზად, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები სამივე მოსმენით გაიტანოს?! საკითხის პირველი მოსმენით გატანის შემთხვევაში, ხალხს ვატყუებთ? ასევე, გვაინტერესებს, სამი მოსმენის ხმებისთვის იქნება თუ არა საკმარისი ხმები?! - აცხადებს მაჭავარიანი.

კანონმდებლის თქმით, მოქალაქეებისთვის ამ ორ მოდელს შორის შესაძლოა, განსხვავება არ იყოს, თუმცა, დებატები იმაზე მიდის, პარლამენტში ვინ როგორ სკამს მოირგებს.

– „ოცნებამ" საარჩევნო სისტემა საკუთარ სკამებს მოარგო. ხონი და ვანი გააერთიანა, რომელსაც ერთმანეთთან საზღვარი არ აქვს. ოპოზიციის მიერ მომზადებული მოდელი მოსახლეობაზეა მორგებული და ხალხს საშუალება ექნება, ის ლიდერები აირჩიოს, რომელსაც ენდობა. ვანელს, ხონელსა და საჩხერელს ეცოდინება, ვინ არის პასუხისმგებელი. სადაც მაჟორიტარი დეპუტატი ოპოზიციონიერია, მას საქმიანობაში თვითმართველობები ხელს უშლიან, - აცხადებს მაჭავარიანი.

უმცირესობისგან განსხვავებით, ფრაქცია „თავისუფალ დემოკრატებში" უკვე იციან, რომ ისინი მხარს როგორც უმრავლესობის, ასევე, ოპოზიციის მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუჭერენ. ფრაქციის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი აცხადებს, რომ „თავისუფალი დემოკრატებისთვის" მნიშვნელოვანია, ქვეყანაში მაჟორიტარული სისტემა შეიცვალოს.

– 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა შევაგროვეთ, რომელიც პარლამენტს წარვუდგინეთ. თუ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, პოლიტიკური პასუხისმგებლობა მათზეა. მზად ვართ, მხარი მათ ვარიანტსაც დავუჭიროთ, რათა ხელისუფლებას იმის თქმის საბაბი არ ჰქონდეს, რომ რეფორმის ჩავარდნა სხვას გადააბრალონ. ამ თვალსაზრისით კი, სრული კრახი გვაქვს, - ამბობს ჩიქოვანი.

ოპოზიციისგან განსხვავებით, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი ზაქარია ქუცნაშვილი არ უჭერს.

ქუცნაშვილი საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებზე საუბრობს და ამბობს, რომ ქვეყნისთვის ყველაზე კარგი შერეული სისტემის არსებობაა. დეპუტატი ამბობს, რომ ის პროპორციული საარჩევნო სისტემის მოწინააღმდეგე არ არის, თუმცა, არჩევნების მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარება პოლიტიკური საქმიანობის მონოპოლიზებას გამოიწვევს.

– პოლიტიკური საქმიანობა მონოპოლიზებული არ უნდა იყოს და ამის კეთების უფლება მხოლოდ პარტიებს არ უნდა ჰქონდეთ. ეს სისტემა ამომრჩეველსა და დეპუტატს შორის კავშირს შეამცირებს. დღეს, ამომრჩეველმა იცის, მისი მაჟორიტარი დეპუტატი ვინ არის და პასუხი ვის მოსთხოვს, ხოლო პროპორციული სისტემის შემთხვევაში, სიაში ხალხს პარტიის თავმჯდომარე წერს. სისტემა ხელს წამომადგენლობითობას უნდა უწყობდეს, პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში კი, მეორე ტური გამორიცხულია. პირველ ადგილზე გასული მაქსიმალურ შესაძლებლობას იტოვებს, - აცხადებს ქუცნაშვილი.

დეპუტატი ყურადღებას საკითხის სხვა ასპექტებზეც ამახვილებს და განმარტავს, რომ კონსტიტუციის თანახმად, რეგიონული პარტიების შექმნა დაუშვებელია, რადგან ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აქვს.

– სოხუმი და ცხინვალი რეგიონულ პარტიებს ვერ შექმნიან. ანუ, გამოდის, რომ რეგიონალური პარტიები ვერ შეიქმნებიან და თბილისური პარტიების ფილიალს არ დაიქმევენ. ანუ, საარჩევნო სისტემა ქვეყნის ინტეგრაციას კი არა, დეზინტეგრაციას უწყობს ხელს. ამიტომ, მაჟორიტარული სისტემის არსებობით ცხინვალსა და აფხაზეთში მცხოვრებ პირებს შეუძლიათ, საქართველოს პარლამენტში დეპუტატი იყვნენ, - ამბობს ქუცნაშვილი, რომლის გადაწყვეტილებას ფრაქცია „კონსერვატორების" თავმჯდომარე გიგა ბუკია ეხმაურება.

ბუკია აცხადებს, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ზაქარია ქუცნაშვილი მხარს არც აქამდე უჭერდა, რადგან საკითხზე უმრავლესობაში სრული თანხვედრა არ არის.

დეპუტატის განმარტებით, „კონსერვატორები" ცვლილებებს მხარს დაუჭერენ და იმ პირობას შეასრულებენ, რაც საზოგადოებას მისცეს.

– 113 ხმა მოგროვდება თუ არა, ეს ოპოზიციაზეა დამოკიდებული. ჩვენ დათვლით, ვიტყვით, ცვლილებებს მხარს რამდენი დეპუტატი დაუჭერს. გასაღები ოპოზიციის ხელშია. რაც შეეხება მაჭავარიანის მოთხოვნას, ეს პროცესია და მთავარია, მსჯელობა დავიწყოთ. ეს ყველაფერი ტექნიკის საკითხია და არა - პრინციპის. თუკი პრინციპზე შევთანხმდებით, ტექნიკური საკითხები პრობლემას არ წარმოადგენს. პრინციპზე რომ შევთანხმდებით, ყოფით საკითხებზე შეთანხმება ბევრად უფრო მარტივად მეჩვენება, - დასძენს ბუკია.

113 ხმის შეგროვებასა და პროცედურულ საკითხებზე აქცენტირებს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი.

როგორც კახიანი აცხადებს, საკონსტიტუციო ცვლილებებს უმცირესობის მხარდაჭერა სჭირდება.

მისი მოსაზრებით, 2016 წლიდან მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას მხარი 113-მა დეპუტატმა რომც დაუჭიროს, პროცედურულად ამის განხორციელება შეუძლებელია.

– რომც მოვინდომოთ, არჩევნები პროპორციული სისტემით ჩავატაროთ, ეს შეუძლებელია. აქამდე სად ვიყავით? - ეს სხვა კითხვაა. აქამდე 113 ხმა ოქრიაშვილთან, ქუცნაშვილთან და რამდენიმე დეპუტატთან ერთად გვიგროვდებოდა? ეს ადამიანები მხარს არ უჭერენ, მაგრამ ეს კენჭისყრის შედეგებზე არსებით გავლენას ვერ მოახდენს, თუკი ცვლილებებს მხარს უმცირესობა დაუჭერს, - აცხადებს დეპუტატი.

კახიანი ამბობს, რომ საკითხზე ფრაქცია „ქართულ ოცნებაშიც" განსხვავებული მოსაზრებებია.

– მხარს ჩვენს ინიციატივას ვუჭერ. ოპოზიციის წინადადებას მხარი რომც დავუჭიროთ, ვერ ვხვდები, როგორ შეიძლება ამ ინიციატივის მიღება მოხდეს? - კარგ შემთხვევაში ეს რომ აგვისტოს ბოლოს მივიღოთ, არჩევნების 60 დღით ადრე პარტიები კანდიდატურების დასახელებას იწყებენ და ამასობაში ახალი კონსტიტუცია უნდა მივიღოთ, რაც პროცედურულად რთულია, - აღნიშნავს კახიანი.

შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას 2016 წლიდან ითხოვს, უმრავლესობა კი, 2020 წლიდან. ცვლილებების გატანას 113 ხმა სჭირდება, უმრავლესობას კი, საკუთარ რიგებში 82 დეპუტატი ჰყავს. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოდესაში ადგილობრივი ტელევიზიის ჟურნალისტებს ცეცხლი გაუხსნეს - არიან დაშავებულები



ოდესაში თავდამსხმელებს ეძებენ, რომლებმაც ადგილობრივი ტელევიზიის „მე-7 არხის" გადამღებ ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს.

ჟურნალისტმა დაზიანებები თავის არეში მიიღო, ორ ოპერატორს კი, მოტეხილობები აღენიშნება. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მედიკოსების თქმით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდასხმა ტელევიზიის ოფისთან დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

„ჰონდას" მარკის ავტომობილი, რომელშიც სამი უცნობი პირი იმყოფებოდა, ტელეკომპანიის ოფისთან გაჩერდა. ავტომაქანიდან ორი მათგანი გადმოვიდა. მათ ტელევიზიის ერთ-ერთ თანამშრომელს ცემა დაუწყეს. კოლეგის დასახმარებლად ჩხუბში ორი ახალგაზრდა ჩაერთო. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, რომელიც ჩხუბის დროს მანქანიდან გადმოვიდა, ცეცხლი გახსნა.

ჟურნალისტებმა მანქანის ნომრის დაფიქსირება მოახერხეს, რომლითაც თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

უკავშირდება თუ არა ჟურნალისტებზე თავდასხმა მათ საქმიანობას, ჯერჯერობით უცნობია. (info9.ge)

## მანანა დუმბაძე: პასუხი თბილისელებისა და სოფლელების თემაზე ატეხილ კამათს!



ნოდარ დუმბაძის შვილი, მანანა დუმბაძე ე.წ. „ჩამოსულების“ თემაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა, სოციალურ ქსელში წერს:

– პასუხი თბილისელებისა და სოფლელების თემაზე ატეხილ კამათს (რბილად რომ ვთქვათ):

თბილისში მართლაც საოცარი სიმშვიდე იყო გუშინ და გუშინწინ. ხალხი, „სოფლელები“ აქ რა შუაშია, მანქანებისგან იყო დაცლილი, გამონაბოლქვი იყო ნაკლები. ჩემი სახლის წინ 3 რიგად აღარ იდგა ავტოარმია. მეორად მანქანებს რომ ყიდიან კაპიკებად და ყველას მანქანა რომ ყავს და ქალაქს აბინძურებს, თუ შესახედაობით თუ გამონაბოლქვით - ესაა მისახედი ჯერ.

მერე თვითონ სოფელი: ეგებ ისე ააწყონ რეგიონში ცხოვრება, რომ ხალხს ამ დაბინძურებულ თბილისში არ უწევდეს ჩამოსახლება ლუკმაპურის საშოვნელად. რეგიონებში რომ სამუშაო და გართობა არსებობდეს, არა მგონია იმ ბუნებრივი წალკოტიდან ვინმეს აქეთ გამოუწიოს გულმა. ცოტა უტოპიურად კი ჟღერს ეს ჩემი განაცხადი მაგრამ აბა გაიხსენეთ, თბილისიდანაც ხომ გავარდნილია ეს „ქალაქელი“ ხალხი უცხოეთში სამუშაოდ. აი, ისინი სააღდგომოდაც ვერ ბრუნდებიან უკან: ბილეთი ღირს ძალიან ძვირი! უდავოდ, ამათზეც ლაპარაკობენ ისინი – ფრანგები, გერმანელები, ბერძნები, ებრაელები, შეგვჭამეს ამ „ჩამოთრეულებმაო“...

არც ჩვენ ვართ პირველები და არც ისინი უკანასკნელნი, მთელი მსოფლიო ასე დუღს და თუხთუხებს, მაგრამ მეტნაკლებად აგრესიულად - ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვისი ცხოვრების დონე როგორ უძლებს ამ საერთო სიტუაციას! (რეპორტიორი)

## ნინო ჯღარკავა: მეუფე კალისტრატე ხელში რომ აიტაცა ,,მიხუილა“ გიჟმა, მამა ხარ ჩემიო...



ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა იმერეთის ეპისკოპოსთან მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს იხსენებს:

– რომ მახსენდება, გიჟივით ვხარხარებ. იმერეთის ეპისკოპოსი, მეუფე კალისტრატე რომ ხელში აიტაცა ჩვენმა „მიხუილა“ გიჟმა, მამა ხარ ჩემიო და მერე იმან სამლიტრიანი ბანკით თაფლი რომ მისცა, ჩვენი ფუტკრებისაა და შეგერგებაო, ნეტა შაერგო?

ისე, თათი კი ტაკა იმ ბანკაში პრეზიდენტად წოდებულმა, ჭკუა დაუშლიდა თუ აღზრდა... (რეპორტიორი)

## შოთაძე ჟვანიას საქმეზე: ასეთი ძველი დანაშაულის გამოძიება მარტივი არ არის



საქართველოს მთავარი პროკურორი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე მიმდინარე გამოძიების კომენტირებისას აცხადებს, რომ ასეთი ძველი დანაშაულის გამოძიება მარტივი არ არის, მით უმეტეს, როცა ათწლეულის განმავლობაში ამ სისხლის სამართლის საქმეზე რეალურად გამოძიება არ ჩატარებულა. თუმცა ირაკლი შოთაძის თქმით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დეტალებზე ვერ ისაუბრებს.

– ჩვენ გვიწევს ყველაფრის თავიდან ჩატარება. იმ გარემოებების აღდგენა, რა გარემოებებშიც მოხდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება. შესაბამისად, ეს არის საკმაოდ რთული და სპეციფიური გამოძიება და ამიტომ, ამით არის გამოწვეული ის დროის ხანგრძლივობა, რასაც საჭიროებს გამოძიება. ყოველდღიურ, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა უფრო დეტალებზე ვერ ვისაუბრებ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, - აღნიშნა ირაკლი შოთაძემ. (პირველი რადიო)

## ლევან ბერძენიშვილი: სამი უპატიოსნესი არჩევნების შემდეგ, გაყალბების საშუალებას არავინ არავის მისცემს



– სამი უპატიოსნესი არჩევნების შემდეგ, გაყალბების საშუალებას არავინ არავის მისცემს, - ამის შესახებ „რესპუბლიკელი“ დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს. როგორც ბერძენიშვილმა განაცხადა, საქართველოში რამე ტიპის საარჩევნო გაყალბებას აბსოლუტურად გამორიცხავს.

– სამი უპატიოსნესი არჩევნების შემდეგ, გაყალბების საშუალებას არავინ არავის მისცემს, მით უმეტეს, „მკვდარი სულებით“. თუ ერთხელ პატიოსან არჩევნებს ატარებ, მერე გაყალბების არანაირი შანსი არ გაქვს - ეს მინდა ყველამ იცოდეს, ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც. როცა კონტროლის მექანიზმი 50 პარტიას აქვს და ვიღაც რაღაცას აყალბებს, ეს არაფრით გამოვა, - აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მიშამ ყველაზე კარგად იცოდა, როგორ და სად გამოიყენებდნენ ასეთ ფოტოს...“



საქართველოს მესამე პრეზიდენტის ყოფილი პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ფოტოებთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში გამოხმაურებებზე წერს:

– ამ „ფორთხვაზეც“ დავწერ. ეს უკვე მეორე კატეგორიას ეხება (ჩვენთან ხომ ორი საქართველოა). არც ეს იყო ფორთხვა, მაგრამ ხშირად მოყოლასაც არ აქვს აზრი, ვისაც არ უნდა, რომ დაიჯეროს, არ დაიჯერებს. არადა სულ რამდენიმე ადამიანმა ნახა ეს კადრი ე.წ. „ლაივში“, მათ შორის მეც (მიკროფონით და კამერით ვიყავი). ეს გორია, დაბომბილი გორი. ომი, დროებითი დერეფანი. ხალხი, უამრავი მანქანა, წამსვლელი, წამომსვლელი... ცეცხლწაკიდებული კორპუსები... და გორის გასასვლელში მიშა გორის ამბებს უყვება და აჩვენებს კუშნერს - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. მერე ინტევიუ ქართულ მედიას, მერე უცხოურს და ამ დროს რუსული ავიაცია... როგორ ფიქრობთ, დაცვას როგორ უნდა ემოქმედა? არ უნდა გაეყვანა ქვეყნის პირველი პირი? არ უნდა გაეყვანა ეპიცენტრიდან? არ უნდა დაეცვა?????? ხოდა, გადაეფარა, ზემოდან გადაეფარა. დაიცვა დაცვის ობიექტი, ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. ეს ზუსტად იმ დროს გადაღებული კადრია.

ვინ, ვინ და მიშამ ყველაზე კარგად იცოდა როგორ და სად გამოიყენებდნენ ასეთ ფოტოს... აქ ხმამაღლა ყვირის და აღარ დავკონკრეტდები, რას ყვირის...

გორი მეორე დღესაც დაიბომბა. იქ, სადაც რამდენიმე საათით ვიდექით მოედანზე - სტალინის ძეგლთან რამდენიმე ადამიანი დაიღუპა... და რადგან ასეთ პარალელს ავლებთ, არც ეს არის ჩემთვის ფორთხვა და არც ის - პრემიერი სამებაში. რაღაც არსებითზე რომ ვიდავოთ, ვიკამათოთ... არა, რა, ვერ გამოვედით საყმაწვილო ასაკიდან, ზუსტად ჩვენზეა „მანანა და ლალი“.

„ - რადგან ასე მეუბნები, რადგან ასე მაჯავრებ, დამიბრუნე ჩემი ვაშლი, მე რომ გუშინ გაჭამე. ლ ა ლ ი - არაფერიც, არაფერიც, არაფერსაც არ მოგცემ, იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს, ლოყაზე რომ გაკოცე? მ ა ნ ა ნ ა - მე რომ წიგნი მოგიტანე კარგი წასაკითხავი?.. ლ ა ლ ი - მერე მე რომ მოგარჩინე, ექიმი რომ ვიყავი? მ ა ნ ა ნ ა - ჰო-ჰო-ჰო-ჰო, დიდი საქმე, სულ არ იცი თამაში, გახსოვს, მე რომ მოგეხმარე კანფეტების ჭამაში? ლ ა ლ ი - მერე მე რომ შენს თოჯინას გავუკეთე ნემსები?! მ ა ნ ა ნ ა - მერე მე რომ წაგიკითხე დიდი, გრძელი ლექსები?! ლ ა ლ ი - როგორც ვხედავ, ქალბატონო, უმადური ბრძანდები, დაგავიწყდა, გუშინწინ რომ გამომართვი ბაბთები? მ ა ნ ა ნ ა - არც თოჯინა მინდა შენი, აღარც შენი ვაშლები, ბუტე, ბუტე, გაგებუტე, აღარ გეთამაშები! - წერს მანანა მანჯგალაძე სოციალურ ქსელში. (frontnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რუსეთის საქართველოში შეჭრა უნდა ყოფილიყო გამაფრთხილებელი ნიშანი“ - აშშ-ში რუსეთზე ორიენტირებული დაზვერვის გაძლიერებაზე საუბრობენ



– ამერიკას აქვს ძალიან მცირე სადაზვერვო საშუალება, რომელიც რუსეთიდან მომდინარე საფრთხეზე იქნებოდა ორიენტირებული. ქვეყანამ უნდა მოახდინოს მისი ტექნიკური შესაძლებლობების კონცენტრირება, მოსკოვში გაზრდილი სამხედრო შესაძლებლობების ფონზე, - განცხადება აშშ-ის ევროპული სარდლობის მეთაურმა და ნატოს მოკავშირეთა გაერთიანებული ძალების (SHAPE) უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა The Wall Street Journal-თან ინტერვიუში გააკეთა.

მისი განცხადებით, აშშ-ს სჭირდება უფრო მეტი ტექნიკური სადაზვერვო საშუალებები, ჯაშუშური ორგანიზაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს ქვეყანას, თვალი ადევნოს სამხედროების გადაადგილებას, ტერორისტების საწვრთნელ ბანაკებს და ორიენტირებული იქნება რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზეც.

– ვხედავთ, რომ რუსეთმა არ მიიღო პარტნიორობისთვის გაწვდილი ხელი და აირჩია საომარი გზა. თავიდან უნდა განვსაზღვროთ ის მიზნები, რაც გვაქვს, - ამბობს გენერალი.

რუსული საფრთხეების კუთხით, არასაკმარის დაზვერვაზე საუბრობს სადაზვერვო კომიტეტის თავმჯდომარე დავინ ნუნიე.

როგორც იგი ამბობს, 2008 წელს, რუსეთის საქართველოში შეჭრა უნდა ყოფილიყო გამაფრთხილებელი ნიშანი. მას შემდეგ, რაც ვერ მოხერხდა ყირიმის ანექსია, უფრო მეტი რესურსი უნდა ყოფილიყო გადამისამართებული რუსული საფრთხეების მიმართულებით, - „9/11-ის შემდეგ, ეს ყველაზე დიდი სადაზვერვო მარცხია". (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მაღრაანის ტყეში 18 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი აღმოაჩინეს




ახმეტის რაიონის სოფელ მაღრაანის ტყეში 18 ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი აღმოაჩინეს. წინასწარი ინფორმაციით, ასაფეთქებელი მასალა რუსული წარმოშობისაა.

ტბა, სადაც ყუმბარები იპოვეს, ერთ-ერთ ადგილობრივს, დავით იმერლიშვილს ეკუთვნის, თუმცა მან ამის შესახებ საუბარი არ ისურვა.

ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გამნაღმველები რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ. რა ვითარებაში აღმოჩნდა სოფლის ტბაში საბრძოლო მასალა, უცნობია.

ადგილობრივების თქმით, ჭურვები მეთევზეებმა იპოვეს და სამართალდამცავებს შეატყობინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ყუმბარები ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის მუხლით დაიწყო, რაც ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას, სამ წლამდე ვადით ითვალისწინებს. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა



უკრაინის აღმოსავლეთით საბრძოლო მოქმედებებს კიდევ ერთი ქართველი შეეწირა. 33 წლის რევაზ წიკლაური დონეცკის მახლობლად ქალაქ აბიევკაში, ანტიტერორისტული ოპერაციის ზონაში დაიღუპა. ის ნაღმმტყორცნის აფთქებას ემსხვერპლა.

წიკლაური 90-ე სადესანტო მოიერიშე ბატალიონის წევრი იყო. დაღუპულ მებრძოლს უკრაინის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული. მას სავარაუდოდ საქართველოში გადმოასვენებენ და სამშობლოში დაკრძალავენ.

წიკლაური თელავის რაიონის სოფელი ლაფანყურიდან იყო. ის ბოლო 13 წლის განმავლბოაში უკრაინაში ცხოვრობდა.

წიკლაური უკრაინის ჯარში კონტრაქტით იმყოფებოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ლაფანყურში მისი გამზრდელი ბიძა და ბიცოლა ცხოვრობენ. (rustavi2.com)

## „გვიჩიანის საქმეზე ცრუ მოწმემ მთელი საგამოძიებო სისტემა ტყუილზე წამოაგო“



უფლებადამცველ სოფო ხორგუანის თქმით, გია გვიჩიანის საქმეზე ცრუ მოწმემ, რომლის იმედიც ჰქონდათ, რომ სადღაც გამოიყენებდნენ, მთელი საგამოძიებო სისტემა ტყუილზე წამოაგო.

ხორგუანის თქმით, ამის შესახებ მას თავად გია გვიჩიანმა უთხრა.

– გია გვიჩიანისგან ვიცი, რომ ცრუ მოწმემ, რომლის იმედი ჰქონდათ, რომ სადღაც გამოიყენებდნენ, მთელი საგამოძიებო სისტემა ტყუილზე წამოაგო. ხელისუფლება მიხვდა, რომ ჩიხში აღმოჩნდა, მაგრამ შეცდომის აღიარება გაუჭირდათ, - განაცხადა ხორგუანმა 2030-ში.

მისი თქმით, წინა ხელისუფლებას მცირედი შეცდომა მაინც რომ ეღიარებინა, დღემდე უამრავი ადამიანი სამართლის ძიებაში არ იქნებოდა. (pia.ge)

## თხილის ხარისხი გაკონტროლდება



1-ელი ივნისიდან თხილის ყველა საექსპორტო პარტია გაკონტროლდება. თხილის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, პროდუქციის ხარისხი ლაბორატორიულად შემოწმდება, დარღვევების შემთხვევაში კი თხილი ექსპორტზე არ დაიშვება.

რეგლამენტით განსაზღვრულია, ასევე, შენახვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების წესების დაცვის კონტროლი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, რომ დარგის რეგულირებით ექსპორტზე დაბალი ხარისხის და ფალსიფიცირებული პროდუქციის გატანის შესაძლებლობა გამოირიცხება.

თხილის გადამმუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციაში კი აცხადებენ, რომ ხარისხის კონტროლი საერთაშორისო ბაზარზე ქართული თხილისადმი ნდობას გაზრდის. (რეპორტიორი)

## თბილისის მერიის თანამშრომელმა თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვა



თბილისის მერიის თანამშრომელმა დაკავებული თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვა. როგორც თბილისის მერიის უკვე ყოფილმა თანამშრომელმა ნინო ქაცარავამ განაცხადა, ის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობდა.

თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, მისთვის მნიშვნელოვანია არა დასაქმება, არამედ სახელმწიფო ინტერესები. ამასთან, ნინო ქაცარავას თქმით, თბილისის მერიაში ყველა ორიენტირებულია ბიძინა ივანიშვილის სურვილების აღსრულებაზე, ხოლო მისთვის მსგავს უწყებაში მუშაობა მიუღებელია.

– ჩემთვის მნიშვნელოვანია დასაქმება, თუმცა როდესაც საქმე სახელმწიფო ინტერესებს ეხება, მე ვერ დავრჩებოდი მერიის თანამშრომლად. ყველა ორიენტირებულია მერიაში ბიძინა ივანიშვილის სურვილების აღსრულებაზე, - განაცხადა ნინო ქაცარავამ.

კითხვაზე, რომელი წლიდან მუშაობდა თბილისის მერიაში, ქაცარავამ აღნიშნა, რომ ის მერიაში 2013 წლიდან მუშაობს, შემდეგ ის გაათავისუფლეს. სასამართლო დავის მოგების შემდეგ კი მერიის თანამშრომლად კვლავ აღადგინეს. (ინტერპრესნიუსი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ქალაქი რუსეთში
2. დახვეული გზა
3. ადამიანის წინაპარი
4. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
5. სამშობლოს მოყვარული
6. ძვ. თბილისური მიმართვა
7. ქალაქი ინგლისში
8. გამოძიების ერთ-ერთი გზა
9. მხ/ფ „ზოლიანი ...“
10. სწრაფი მოტორიანი ნავი
11. კონდახიანი მშვილდ-ისარი
12. იტალიის დედაქალაქი
13. ნილოსის დუმფარა
14. მსახიობი ჰარი ...
15. ფაიფურის თეთრი თიხა
16. ჯუჯა ცხენი
17. სკის წებო
18. სახედარი
19. კომპოზიტორი ნინო ...
20. მხ/ფ „... წუნეთელი“
21. შტატი აშშ-ში
22. „... და მარგარიტა“
23. ზაზა კოლელიშვილი ფილმში „ხატვრის ნე“
24. დიუმა „... წლის შემდეგ“
25. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი
26. რუსი საბჭოთა კლოუნი
27. რუსული ხის თოჯინები
28. ქრისტიანთა წმინდა თასი
29. სამკაციანი ანსამბლი
30. მკაცრი ცხოვრების წესის მიმდევარი
31. კუტიური ... ცქვიტინიძე
32. დაბა მდინარე ივრის სანაპიროზე
33. ჰომეროსის პოემა
34. მსახიობი ... პაჩინო
35. მოტორიანი ნავი
36. იანის საპირისპირო
37. დიდი ჯოხი
38. ინგლისის ძველი სახელწ.
39. ამერიკ. ავტომობილი
40. მსახ. ... ბეგალიშვილი
41. მერკურის ძველი სახელწ.
42. სახელმწიფო აზიაში
43. მწერალი არტურ კონან ...
44. ადმირალი ჰორაციო ...
45. სომეხი რევოლუციონერი
46. ზღვის კომბოსტო
47. ქიმიური ელემენტი
48. ცურვის სტილი
49. მწერალი ტომას მაინ ...
50. მხ/ფ „ბორნის ...“
51. მახრჩობელა გველი
52. მწერალი დენი ...
53. სახელმწიფო აზიაში
54. საფრანგეთის იმპერატორი
55. ფილოსოფოსი ემანუელ ...
56. სანელებელი
57. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
58. ციმბირის მიმდებარე ზღვა, რომელშიც მდინარე ენისეი ჩაედინება
59. ორგანული ნივთიერება
60. მწერალი ლუიჯი ...
61. საუბარი
62. ექსპრეზიდენტი რონალდ ...
63. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
64. ერთ-ერთი ბორცვი, რომელზეც გაშენებულია რომი
65. ..., ბრუტო, ნეტო
66. ბაში აჩუკის ქუდი
67. მომღერალი ... ლანცა
68. ნოტების დასადები სადგარი
69. რეჟისორი ჯონ ...
70. „სიყვარული ყველს უნდა“ მევლეები ბანრო და ...
71. მსახიობი მონიკა ...
72. პატარა ტანის ძაღლი
73. მუსლიმანური მარხვა
74. ქალაქი საფრანგეთში
75. გერმანიის დედაქალაქი
76. მეფე ძველ ეგვიპტეში
77. „ანა ფრანკის ...“
78. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
79. პატარძლის თავსაბურავი
80. მსახიობი ჟერარ ...
81. ადამიანშებმული ეტლი
82. მდინარე საფრანგეთში
83. სისხლძარღვი
84. სოფელი მარტვილის რაიონში
85. მსახიობი ჟერარ ...
86. ფილმი, ანუ ...
87. მარკ ტვენის გმირები: ტომ ... და ჰეკლბერი ფინი
88. კუზიანი ცხოველი
89. ჰეპბერნი და ოტული ფილმში „როგორ მოვიპაროთ ...“
90. ქალაქი საფრანგეთში
91. კომში
92. მსახიობი ... ჯიროტი
93. მოსკოვის ტელეკოშკი
94. მომღერალი ლეონიდ ...
95. ... ცეცხლს მუა
96. მწერალი ალექსანდრე ...
97. ტბა თბილისში
98. ხმლის ბუდე
99. საპნის ოპერა
100. დათვის ნაშიერი
101. ნორვეგიის სანაპირო ყურე
102. შინაარსი, ნუ ...
103. ..., ენა, სარწმუნოება
104. ჟან რენო ფილმში
105. ქალაქი გერმანიაში ...-ბადენი
106. ტურ ჰეიერდალის ტივი
107. მათემატიკის ნაწილი
108. კავშირებითი სიტყვა
109. ... გათეთრდების ყორანი
110. მდინარე აფრიკაში
111. ბილიარდის ჯოხი
112. სოფელი ხარაგაულის რაიონში
113. ... ფონ ბისმარკი
114. მსახიობი ... რურკი





პასუხები: 1. სანკტ-პეტერბურგი; 2. სერპანტინი; 3. ნეანდერტალელი; 4. კილიმანჯაროს; 5. პატრიოტი; 6. ტო; 7. ბრისტოლი; 8. ვერსია; 9. რეისი; 10. გლისერი; 14. ოლდმენი; 15. კაოლინი; 16. პონი; 17. პროპოლისი; 18. ვირი; 19. როტა; 20. მაია; 21. აიოვა; 22. ოსტატი; 23. შეთე; 24. ოცი; 25. ეთნოსი; 26. კარანდაში; 27. მატრიოშკა; 28. გრაალი; 29. ტრიო; 30. ასკეტი; 31. ავთანდილ; 32. თიანეთი; 33. „ილიადა“; 34. ალ; 35. კატერი; 36. ინი; 37. კეტი; 38. ალბიონი; 39. „კადილაკი“; 40. ბადრი; 41. ოტარიდი; 42. იორდანია; 43. დოილი; 44. ნელსონ; 45. კამო; 46. ლამინარია; 47. ტიტანი; 48. ბრასი; 49. რიდი; 50. იდენტიფიკაცია; 51. ბოა; 52. დიდრო; 53. ლაოსი; 54. ნაპოლეონი; 55. კანტი; 56. დაფნა; 57. პაპი; 58. ლაპტევები; 59. ანილინი; 60. პირანდელო; 61. ბაასი; 62. რეიგანი; 63. ტორტილა; 64. კვირინალი; 65. ტარა; 66. ფაფანაკი; 67. მარიო; 68. პიუპიტრი; 69. ვუ; 70. გივილო; 71. ვიტი; 72. ფინია; 73. რამაზანი; 74. მენგი; 75. ბერლინი; 76. ფარაონი; 77. დღიური; 78. სირიუსი; 79. ფატა; 80. ფილიპი; 81. რიქშა; 82. ლუარა; 83. ვენა; 84. ბანძა; 85. დეპარდიე; 86. კინო; 87. სოიერი; 88. აქლემი; 89. მილიონი; 90. ლიონი; 91. ბია; 92. მასიმო; 93. ოსტანკინო; 94. აგუტინი; 95. ორ; 96. დიუმა; 97. ლისი; 98. ქარქაში; 99. სერიალი; 100. ბელი; 101. ფიორდი; 102. არსი; 103. მამული; 104. „ლეონი“; 105. ბადენ; 106. „კონ-ტიკი“; 107. ტრიგონომეტრია; 108. რომ; 109. არ; 110. ნილოსი; 111. კიი; 112. მარელისი; 113. ოტო; 114. მიკი. იკითხება: გილოცავთ აღდგომას.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## „დაყენებული“ ღიმილი ფსიქიკის დაუძინებელი მტერია?



ვინც ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სერიოზულად მოვიკოჭლებთ და არ შეიძლება, მომხმარებელს შუბლშეჭმუხნული გამყიდველი, ოფიციანტი ან გნებავთ, ბენზინის ჩამსხმელი ემსახურებოდეს, აბსოლუტურად ვეთანხმებით. როგორც ამბობენ, ამ მხრივ, ძალიან ბევრი ქვეყანა გამორჩეულია და მომსახურების სფერო უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი. ყოველ შემთხვევაში, მომსახურე პერსონალს თავაზიანი ღიმილი მაინც აქვს სახეზე და წაქცეული ბუღასავით სულაც არ იბღვირება. მაგრამ რის ფასად? საკითხავი აი, ეს არის!

ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, „დაყენებული“ ღიმილის სანაცვლოდ გამყიდველებს, სასტუმროების ადმინისტრატორებს ან, გნებავთ, ბენზინის გამყიდველებს, ძალიან დიდი საფასურის გადახდა უწევთ.

– უმიზეზოდ, არაგულღიად გაღიმება ფსიქიკის დაუძინებელი მტერია და მას უდიდეს ზიანს აყენებს, – ამტკიცებენ სპეციალისტები.

გერმანელი ფსიქოლოგების აზრით, ასეთი ყალბი ღიმილი სტრესსა და დეპრესიასაც კი იწვევს. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადამიანი მუდმივად გამოხატავს ემოციებს, რომლებსაც სინამდვილეში ის არ განიცდის.

– ეს ორგანიზმისთვის ნამდვილი წამებაა და ჯანმრთელობაზე, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აისახება, – განმარტავენ მოსაზრების ავტორები.

ადამიანებს, რომლებსაც დღეების მანძილზე დადებითი განწყობის იძულებითი დემონსტრირება უხდებათ, ფსიქოლოგები ურჩევენ, რაც შეიძლება, დიდხანს დაისვენონ და მოდუნების სხვადასხვა ხერხი გამოიყენონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს მიაყენებენ.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## თმის გასწორებას ალერგია და კიბო მოჰყვება?



სილამაზე რომ მსხვერპლს მოითხოვს, მგონი, ასეთი მსხვერპლი ბოროდინოს ბრძოლას არ მოჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით ყველაზე უსაფრთხო პროცედურების უკანაც კი ისეთი საშინელებები იმალება, თმები ყალყზე დაგიდგებათ.

ზუსტად თმების, უფრო კონკრეტულად კი თმის გასწორების შესახებ უნდა მოგიყვეთ, რომელსაც თურმე შესაძლოა, საუკეთესო შემთხვევაში ალერგია, უარეს შემთხვევაში კი... კიბო მოჰყვეს!

საქმე ისაა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე დამღუპველად მოქმედებს ფორმალდეჰიდი, კოსმეტიკური საშუალება, რომელსაც ჩვეულებრივ, თმების გასწორებისას იყენებენ.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ ფორმალდეჰიდს იმ კოსმეტიკურ პროდუქტებშიც კი მიაგნეს, რომლებშიც მათი არარსებობა იყო დეკლარირებული.

*woman.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ათლეტების მარათონი გეიაღლუმში აერიათ და...



ამ ცოტა ხნის წინ კალინინგრადის ოლქში ჩხუბი მომხდარა, დედა შვილს ვერ აიყვანდა თურმე ხელში. ადგილობრივი პოლიცია კი ვერ მიმხვდარა, რა ქნას, ვინ დასაჯოს – თავდამსხმელები თუ ისინი, ვინც თავს იცავდა.

ცნობილი ხდება, რომ გასულ დღეებში კალინინგრადის ოლქში მარათონი გაიმართა, რომელშიც რამდენიმე ათეული გვარიანად ნავარჯიშები სპორტსმენი მონაწილეობდა.

როგორც ჩანს, ამდენი მამაკაცი ერთად რომ დაინახეს, ადგილობრივებს სპორტული ღონისძიება გეიაღლუმში აერიათ და დისტანციის ერთ-ერთ მონაკვეთში ჩასაფრება მოაწყვეს.

აი, სწორედ აქ დაწყებულა ისეთი ჩხუბი, ჩაკ ნორისი რომ ჩაკ ნორისია, ისიც რომ არ ჩაერეოდა.

საბედნიეროდ, ინციდენტს არავინ შეეწირა, თუმცა სხეულის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში რამდენიმე ათეული ადამიანი წევს, ძირითადად მაინც თავდამსხმელები...

*cu.forenet.info*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ორგანიზმის 10 სიგნალი, რომლებიც უყურადღებოდ არ უნდა დატოვოთ



იგნორირებაზე არც კი იფიქროთ და იცოდეთ, რომ ეს ის 10 ნიშანია, რომლებითაც თქვენი ორგანიზმი პრობლემების შესახებ გამცნობთ:

1. წონის უმიზეზოდ კლება – თუკი შეამჩნევთ, რომ წონას თქვენი მცდელობის გარეშე კარგავთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. წონის უმიზეზოდ კლების ნიშნებია: საერთო წონის 5 პროცენტის დაკარგვა 1 თვის მანძილზე; საერთო წონის 10 პროცენტის დაკარგვა 6-12 თვის მანძილზე.

წონის უმიზეზოდ კლება შეიძლება ბევრი დაავადებისგან იყოს გამოწვეული. მათ შორისაა ფარისებრი ჯირკვლის გადაჭარბებული აქტიურობა (ჰიპოთირეოზი), დეპრესია, ღვიძლის დაავადებები და ასე შემდეგ.

2. ტემპერატურის გამუდმებული ზრდა – თუკი ნორმალური იმუნიტეტი გაქვთ, არ მკურნალობთ, მაგალითად, ქიმიოთერაპიით, ტემპერატურის ზრდა მთელი კვირის მანძილზე ან უფრო მეტხანს გრძელდება, ექიმთან მისვლისთვის საფუძველი ნამდვილად არსებობს, თანაც რაც შეიძლება სწრაფად.

მუდმივი ტემპერატურა შეიძლება გამცნობდეთ ფარული ინფექციების შესახებ – დაწყებული საშარდე გზების ინფექციიდან და დასრულებული ტუბერკულოზით. სხვა შემთხვევაში, მაღალ ტემპერატურას ისეთი ავთვისებიანი დაავადება იწვევს, როგორიც ლიმფომაა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, მიზეზი სხვადასხვა მედიკამენტიც იყოს.

3. ქოშინი – ცხვირის გაჭედვისა და ფიზიკური დატვირთვის გამორიცხვით, თუკი ქოშინი დაგჩემდათ, ესეც სერიოზული სიგნალია ორგანიზმისგან, რომ რაღაც წესრიგში არ უნდა იყოს. თუკი გრძნობთ, რომ არ გყოფნით ჰაერი, ჩასუნთქვა გიჭირთ და ასე შემდეგ, ექიმთან კონსულტაცია აუცილებელია. მიზეზი შეიძლება იყოს: ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ქრონიკული ბრონქიტი, ასთმა, გულის პრობლემები, პანიკური შეტევები, პნევმონია, ტრომბი ფილტვებში და ასე შემდეგ.

4. კუჭის მუშაობის უეცარი ცვლილება – აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს, თუკი შემდეგ ცვლილებებს შენიშნავთ: ძლიერი ფაღარათი ორ კვირაზე მეტხანს; არცთუ ძლიერი ფაღარათი ერთ კვირაზე მეტხანს; კუჭის შეკრულობა ორ კვირაზე მეტხანს; სისხლიანი ფაღარათი; გამოცლის გაურკვეველი სურვილი.

5. ფსიქიკის ცვლილებები – თუკი შენიშნეთ, რომ გაქვთ აზროვნების უეცარი ან მუდმივი შეფერხება, დეზორიენტაცია, აგრესიული ქმედებების უეცარი შეტევები, ჰალუცინაციები, ორგანიზმი გამცნობთ, რომ ექიმთან მისვლის დროა და გადადება არაფრით არ შეიძლება.

ცვლილებები ფსიქიკასა და ქცევაში შეიძლება გამოწვეული იყოს თავის ტრავმისგან, ინსულტისგან, სისხლში შაქრის დაბალი დონით და ასე შემდეგ.

6. სუსტი ან ძლიერი თავის ტკივილები (განსაკუთრებით 50 წლის შემდეგ) – უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს: უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; თავის ტკივილები ტემპერატურის მატებასთან, გამონაყართან, გულის შეტევასთან, მხედველობის გაუარესებასთან ერთად; თავის ტკივილები ტრავმის ფონზე.

ჩამოთვლილი უსიამოვნებების მიზეზად სპეციალისტები ასახელებენ: ინსულტს, სისხლძარღვების ანთებას, მენინგიტს, ტვინის სიმსივნეს, ანევრიზმას ან თავის ტრავმის შემდეგ ფარულ სისხლდენას.

7. მხედველობის, მეტყველების ან სხეულის მოძრაობის კონტროლის დროებითი დაკარგვა – ასეთი სიმპტომები, ჩვეულებრივ, ინსულტის ან იშემიური შეტევებისგან ჩნდება. სასწრაფოდ მიაკითხეთ ექიმს, თუკი რაიმე მსგავსს გრძნობთ: უეცარი სისუსტე ან სახის, ხელის ან ფეხის გაშეშება სხეულის ერთ მხარეს; მხედველობის დროებითი დაკარგვა; უეცარი ძლიერი თავის ტკივილი; უეცარი თავბრუსხვევები და ორიენტაციის დარღვევა.

8. თვალებში განათება – თვალებში სინათლის უეცარი გამოვლენა ბადურას სერიოზული პრობლემების მომასწავებელია და სამედიცინო დახმარება აუცილებელია.

9. დანაყრების შეგრძნება მცირე



საკვების მიღების დროს – დანაყრების შეგრძნება დროზე ადრე და გულის რევა, რომელიც კვირაზე მეტხანს გრძელდება, ორგანიზმის ნიშანია, რომელსაც ძალიან ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო, კუჭის კიბო და ასევე, საკვერცხეების კიბო.

10. გახურებული, წითელი ან დასიებული ძარღვები – ეს საგანგაშო ნიშნები ძარღვების ინფექციას უკავშირდება და გადაუდებელი დახმარებაა აუცილებელი, რათა ბაქტერიებს გავრცელების საშუალება მოესპოთ. გარდა ამისა, არსებობს სხვა მიზეზებიც. მაგალითად, ნიკრისის ქარი ან ართრიტის სახეობები.

დაბოლოს: ძალიან ხშირად სხვადასხვა ჩივილის მიზეზი შესაძლოა, უძილობაც გახდეს. მაგალითად, მას შეუძლია, გამოიწვიოს ძარღვების პრობლემები, წელის ქრონიკული ტკივილები, ქრონიკული დაღლილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, აზროვნებისა და მეხსიერების გაუარესება. ამ უსიამოვნებების დაძლევაში კარგად შერჩეული ორთოპედიული მატრასი დაგეხმარებათ.

*obozrevatel.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მრევლის მისაზიდად, ამერიკელმა მღვდელმა ეკლესიაში ტატუ სალონი გახსნა



მიზანი ამართლებს საშუალებას და ეს, ალბათ, ყოველთვის ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ფიქრობს სასულიერო პირი მიჩიგანის შტატიდან სტივ ბენტლი, რომელმაც მრევლის მიზიდვის მიზნით ეკლესიაში ტატუ სალონი გახსნა.

ამერიკელი სასულიერო პირი განმარტავს, რომ მორალის მხრივ ტატუები სრულიად უწყინარია და ის ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი სახეობაც კია.

რა პრინციპით მუშაობს ტაძარში გახსნილი ტატუ სალონი და მრევლს უფასოდ ემსახურება თუ ფასდაკლებებით, უცნობია, თუმცა, როგორც უცნაური სასულიერო პირი ამტკიცებს, მხოლოდ ბოლო ერთი თვის მანძილზე მის სამწყსოს დაახლოებით 150 ადამიანი შეემატა.

*rokf.ru*



– ექიმო, ეს ნემსი მტკივნეულია?
– ნუ, ვისთვის როგორ.
– ეგ რას ნიშნავს, ექიმო?
– რას და, მე არ მტკივა, პაციენტებს კი სტკივათ.

*****

პატარა ბიჭმა კინოში ნახა, როგორ იღებავდნენ ინდიელები სახეს.

– მამიკო, ამას რატო აკეთებენ ინდიელები?

– იმიტომ რომ ომისთვის ემზადებიან.

ერთი საათის შემდეგ ბიჭმა მამასთან მიირბინა:

– მამიკო, მამიკო, დედიკო სარკესთან დგას და მე მგონი, ომისთვის ემზადება, ხომ არ გავიქცეთ?

*****



– კაკო, ეს რა დაგმართნია, შე უბედურო, ბომჟი გამხდარხარ.

– ვის უბედავ, ბომჟი კი არა, ბოთლების ჩაბარების მენეჯერი ვარ.

*****

– მომისმინე, ნიკოლოზ, როგორ გამოვიცნო ხეების დახმარებით, სად იქნება ჩრდილოეთი და სად – სამხრეთი?

– რა უნდა, ბიჯო, მაგას, ნაძვის ხე თუა, ესე იგი ჩრდილოეთში ხარ, თუ პალმებია ესე იგი – სამხრეთში, გაიგე?

*****

ქართული ენით გასაგებად გითხარი, რომ ხუთ წუთში მანდ ვიქნები. რა არის, რომ ყოველ ნახევარ საათში მირეკავ და მეუბნები, სად ხარო?

*****

ახლა ისეთი დროა, რომ ოპტიმისტი სწავლობს ინგლისურ ენას, პესიმისტი სწავლობს ჩინურ იეროგლიფებს, რეალისტი კი – „კალაშნიკოვის“ დაშლა-აწყობას.

*****



გერმანიაში, ქალაქ ბერლინში ჩატარდა ლუდის ფესტივალი, ყველაზე მეტი ლუდი დალია ჯუმბერამ, რომელიც ფესტივალის მიმდინარეობას ტელევიზორში უყურებდა.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ცოცხალი ბუნების გამორჩეული რეკორდსმენები



*** ნაკელის ხოჭო, რომლის წონაც 0,2 გრამია, სამართლიანად მიიჩნევა სუპერმძლეოსნად. ხოჭოს შეუძლია, ზიდოს ტვირთი, რომელიც მის წონას 500-ჯერ აღემატება. უნდა ითქვას, რომ ეს აბსოლუტური რეკორდი მაინც არ არის. ნაკელის ხოჭოს ხოჭო-მარტორქამ აჯობა, რომელსაც საკუთარი სხეულის წონასთან შედარებით ზურგზე 850-ჯერ მძიმე ტვირთის დადება შეუძლია.

*** ხარისებრი ბაყაყი სიგრძეში ხტომის მხრივ ჯაბნის არა მხოლოდ საკუთარ თანამოძმეებს, არამედ ადამიანსაც კი – შეუძლია, ძალიან ადვილად გადახტეს 6,5 მეტრზე, რაც მის სიგრძეს 65-ჯერ აღემატება. აი, რწყილის რეკორდი კი სიმაღლეზე ხტომაა. ის საკუთარ სხეულზე 130-ჯერ მაღლა ხტება.

*** ტარაკნის რეაქციის სისწრაფე 0,011 წამია, რაც პლანეტის უსწრაფესი სპრინტერების რეაქციას მნიშვნელოვნად ჯაბნის.

*** ჩრდილოეთ ამერიკაში ბინადრობს მატლი, რომლის ჭუპრიც სიცოცხლის პირველ 48 საათში საკუთარ წონასთან შედარებით 86 ათასჯერ მეტ საკვებს იღებს. შედარებისთვის წარმოვიდგინოთ ახალშობილი ბავშვი, რომელიც ორ დღეში 250 ტონა საჭმელს გაავლებდა მუსრს.

*** არცთუ დიდი ზომების მქონე თევზის სახეობა ზღვის ჯამბაზი ასეთ სახელს საკუთარ უჩვეულო და აჯაჯულ-დაჯაჯულ „სამოსს“ უნდა უმადლოდეს. ღია ფერების გამო, ის წყლის უამრავი ბინადრის ყურადღებას იპყრობს, რაც ამ უკანასკნელებს ძალიან ძვირი უჯდებათ: პირს თითქმის მყისიერად, სულ რაღაც, 1/6000 წამში აღებს, რა დროსაც მისი მოცულობა 12-ჯერ იზრდება და ყველაფერს ინოვს, რაც გზად შეეჩეხება.



*** ბუნების მიერ შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე სანდო ტუმბო გულია. ჩვეულებრივ, ადამიანის გულისცემის სიხშირე წუთში დაახლოებით 60-80 დარტყმაა. აი, იადონის გულისცემის მაჩვენებელი კი წუთში დაახლოებით... 1000 დარტყმაა.

*** შესანიშნავ მშენებლებად მიიჩნევიან ობობები. მათი ძაფი, რომლითაც ქსელს ხლართავენ, ბამბაზე მჩატეა. მიუხედავად იმისა, რომ ობობის ძაფის სისქე 5 მიკრომეტრს არ აღემატება, გამძლეობის მხრივ ფოლადსაც კი ჯაბნის.

*** ზვიგენი რეკორდსმენია კბილების რაოდენობის მიხედვით. დაახლოებით 7 სანტიმეტრის სიგრძის მქონე კბილები მის საშინელ ხახაში რამდენიმე წყებადაა განლაგებული. თითო ყბა 6-მდე რიგით შედგება, თითოეულ მათგანზე კი 26-26 კბილია. ძალიან ხშირად, ზვიგენი პირველი რიგის კბილს კარგავს, თუმცა ერთი კვირაც კი არ სჭირდება, რომ შესაბამისი კბილი უკანა რიგიდან წინ ინაცვლებს. 10 წლის მანძილზე ზვიგენი დაახლოებით 24 ათას კბილს იცვლის.

*planete-zemlya.ru*

## სიზარმაცე გონებას ღუპავსო



დამტკიცებულია, რომ მავნე ჩვევებს გონების ხარისხზე უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გულმავიწყობა და უყურადღებობა ერთგვარი სიგნალებია ადამიანისთვის, რათა სასწრაფოდ შეცვალოს ჩვეულებრივი დღის წესრიგი.

აღნიშნული მოსაზრება მეცნიერებს ექსპერიმენტმა გაუჩინა, რომელშიც 5 ათასამდე მოხალისე მონაწილეობდა.

გამოკითხვის ჩატარებისა და მათი დღის განრიგის შესწავლის შემდეგ, მეცნიერებმა დაადგინეს: ცხოვრების მჯდომარე წესი, მოწევა და ალკოჰოლთან მეგობრობა გონებრივ შესაძლებლობებს დამღუპველ დარტყმას აყენებს. ასევე, მინიმუმ 2-3-ჯერ აქვეითებს მეხსიერებასაც.

აქედან გამომდინარე, ვისაც სურს, დიდხანს და ჯანმრთელად იცოცხლოს, აუცილებელია საკუთარი ცხოვრების წესს გადახედოს.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

***ვერძი 21.03-21.04***

**4 მაისი:** სამყარო უცნაური მოგეჩვენებათ. შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ და ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც თქვენს რეპუტაციას ავნებს.

***კურო 22.04-21.05***

**4 მაისი:** თუ ვინმეს მიმართ უკბილო ხუმრობას დააპირებთ, ეს ისე გააკეთეთ, რომ ვერ ამოგიცნონ. შედეგი ძალიან არასახარბიელო იქნება.

***ტყუპები 22.05-21.06***

**4 მაისი:** როგორც ჩანს, ვიღაცა მოტყუებას გიპირებთ. თუმცა, შესაძლოა, ეს უბრალო, მეგობრული ხუმრობა იყოს. ყოველი შემთხვევისთვის, ყურადღებით იყავით.

***კირჩხიბი 22.06-22.07***

**4 მაისი:** ძალიან დიდი ალბათობით, თავშეუკავებელი იქნებით. ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც სანანებელი გაგიხდებათ.

***ლომი 23.07-22.08***

**4 მაისი:** შეიძლება ეს დღე მოსაწყენი მოგეჩვენოთ. სანამ ხელს ჩაიქნევთ, მიმოიხედეთ, არც ისეთი მოსაწყენია ცხოვრება, როგორიც თქვენ გგონიათ.

***ქალწული 23.08-22.09***

**4 მაისი:** თქვენი მომავალი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვის ესაუბრებით და რა საკითხზე. შეეცადეთ, ისეთი ადამიანი შეარჩიოთ, ვისაც ჭკუა მოეკითხება.

***სასწორი 23.09-22.10***

**4 მაისი:** შეიძლება, დღეს ყველაფერი იმაზე ადვილად გამოგივიდეთ, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ახლობლები საინტერესო ამბავს შეგატყობინებენ.

***მორიელი 23.10-21.11***

**4 მაისი:** თქვენს საუბარსა და ქმედებებს ყურადღება მიაქციეთ, რადგან თქვენი თითოეული ნაბიჯი თქვენს რეპუტაციაზე აისახება.

***მშვილდოსანი 22.11-21.12***

**4 მაისი:** ბოლო დროს ძალიან ბევრი ენერგია დახარჯეთ. შეეცადეთ, ყველაფერი იღონოთ დასასვენებლად, თორემ წინსვლა გაგიჭირდებათ.

***თხის რქა 22.12-19.01***

**4 მაისი:** თუ თვლით, რომ რაღაც მოვლენას შეაგვიანდა, შეეცადეთ, მისი პროვოცირება მოახდინოთ. უაზროდ ჯდომა და ლოდინი ნამდვილად არ ღირს.

***მერწყული 20.01-18.02***

**4 მაისი:** ძალიან ენერგიული იქნებით. შეეცადეთ, თავი ხელში აიყვანოთ და ისეთი არაფერი მოიმოქმედოთ, რაც თქვენს რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება.

***თევზები 19.02-20.03***

**4 მაისი:** რაღაცის, ან ვიღაცის მიმართ დიდი წინააღმდეგობის გაწევა მოგიწევთ. ეს დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ, მაგრამ უფრო რთული ბრძოლებისთვის შეგამზადებთ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

## მამაკაცმა ბანკიდან 1 დოლარი მოიპარა



ბანკის გაძარცვა გადაწყვიტო, შეძლო შენობაში შეღწევა და მხოლოდ და მხოლოდ 1 დოლარი მოიპარო? მგონი, ძალიან დიდი სისულელეა, არა?! ერთი შეხედვით, ასე ჩანს, თუმცა ძაღლის თავი სულ სხვაგან იმალება და ახლავე ყველაფერს მოგახსენებთ.

ეს უცნაური შემთხვევა ამერიკაში, კერძოდ კი ჩრდილოეთ კაროლინაში მოხდა, სადაც პოლიციამ 59 წლის მამაკაცი ბანკიდან 1 დოლარის მოპარვის ბრალდებით დააკავა.

როგორც აღმოჩნდა, მამაკაცს იმედი ჰქონდა, რომ ქურდობის გამო ციხეში მოხვდებოდა, სადაც უფასო სამედიცინო მომსახურებას მიიღებდა.

გამოძიების ინფორმაციით, ქურდობისთვის დაპატიმრებულ მამაკაცს ცოტა ხნით ადრე კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. იმის გამო, რომ ის უმუშევარია, შესაბამისად, ვერ იმკურნალებდა. ჰოდა, აი, ასეთ რადიკალურ ზომებს მიმართა, თუმცა მოხვდება თუ არა ციხეში, ეს უკვე აღარ ზუსტდება.

*rokf.ru*

## გაციების საწინააღმდეგო აბის ნაცვლად — ყველი



ყველი გაციების დასამარცხებელი შესანიშნავი საშუალება ყოფილა – პროდუქტი არაერთ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს, რომელთაც ადამიანის იმუნიტეტის მუშაობის გაუმჯობესება შეუძლიათ.

სიახლის ავტორები ბრიტანელი მეცნიერები არიან.

მათი ინფორმაციით, კვლევებმა აჩვენა, რომ ყველი სავსეა ა და ბე ვიტამინებით, რაც ადამიანს გაციებასთან გამკლავების მშვენიერ შანსს აძლევს.

გეტყვით იმასაც, რომ პროფილაქტიკისთვის საკმარისია დღეში 100-150 გრამი ყველის მიღება.

განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილა შედარებით მაგარი ყველი, რომელსაც, გარდა ზემოაღნიშნულისა, შეუძლია, ადამიანი გულის პათოლოგიებისგანაც დაიცვას.

*dr20.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ფსიქიატრიულში ახალი პაციენტი მიიყვანეს.

– აბა, გვითხარით, ვინ ბრძანდებით?

– მე ნაპოლეონი გახლავართ და ცალკე ოთახი მინდა სადმე გრილ ადგილას.

– გასაგებია, ჩვენთან უკვე იმყოფება ერთი იმპერატორი ნაპოლეონი. იმედია, გაუგებთ ერთმანეთს.

– ხო, მაგრამ, მე იმპერატორი არ ვარ, მე ნამცხვარი ვარ!..

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40